

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

მათემატიკის ინსტიტუტი

თ. ბაგჩალიძე

სიბილანთა მესაფხვისობანი
და
ქართული ენათა უძველესი
სვრუქურის ზოგი საქითხი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა

1959

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედ.-საგამომც. საბჭოს დადგენილებით

რედაქტორი გ. წერეთელი

გამომცემლობის რედაქტორი დ. ნათიშვილი

ტექნიკური ა. თოდუა

კორექტორი ც. კახაბერაშვილი

გადაეცა წარმ. 17.3.1959; ანაწეობის ზომა 6×10 ; ხელმო-
წერილია დასაბუებლად 21.7.1959; ქალაქის ზომა $60 \times 92\frac{1}{16}$
ქალაქის ფურცელი 2,75; საბეჭდი ფურცელი 5,5; სააგტორო
ფურცელი 4,95; საალრიცხვო-საგამომცემლო ფურც. 5,04;
შეკვეთა 497; უე 03817; ტირაჟი 1000

ფასი 3 მან. 30 კაპ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის სტამბა
თბილისი, გ. ტაბიძის ქ. 3/5

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

ეს ნარკვევი ეხება ქართველურ ენათა ისტორიული ფონოლოგიის საკითხებს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მასში მორფოლოგიურ-სინტაქსურ პრობლემებს, წარმოშობილს ქართველურ ენათა ფონოლოგიურ ანალიზთან დაკავშირებით, რომელმაც კვლევის პროცესში ბუნებრივად მიგვიყვანა ქართველური გრამატიკული სისტემის სტრუქტურულ საკითხთა განხილვამდე.

აქ წარმოდგენილ ფონოლოგიურ საკითხთა კომპლექსი ჩამოყალიბდა ქართველური ენების თანხმოდანთა სისტემის შედარებითი ანალიზის შედეგად. ამ სისტემათა შეფარდება, რომელიც ძირითადად სპირანტებისა და აფრიკატების რიგებს შორის არსებული შესატყვისობებით განიხილვება, ავლენს რიგ გადახრებს საერთო ქართველურ სიბილანტურ ფონემათა კანონზომიერი რეფლექსებისაგან ისტორიულად დამოწმებულ ქართველურ ენებში. ეს არსებითად შეეხება ქართველური /**შ*/ ფონემის (ქართ. /*შ*/) არაცალსახა წარმოდგენას ზანურსა (მეგრულ-ჭანურსა) და სვანურში /*შქ*/ (სვან. /*შგ*/) და /*სქ*/ (სვან. /*სგ*/) კომპლექსთა სახით.

ამ კომპლექსთა დისტრიბუციული ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ /*სქ*/ (სვან. /*სგ*/) კომპლექსი, ქართული /*შ*/ ფონემის შესატყვისად წარმოდგენილი დასავლურ-ქართველურ ენებში, ამოსავალი /*შქ*/ (სვან. /*შგ*/) კომპლექსის კომბინატორულ ვარიანტს წარმოადგენს. ამგვარი ანალიზი საშუალებას იძლევა დადგენილ იქნეს ზანურ-სვანური არეალისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური კანონზომიერება, რომელიც გამოიხატებოდა ამოსავალი /*შქ*/ (resp. /*ჯგ*/) კომპლექსის სისინა /*სქ*/ (resp. /*ძგ*/) კომპლექსად ქცევაში მომდევნო ბაგისმიერი /*ჟ*/ ფონემის გავლენით.

ამ ფონეტიკური კანონზომიერების თვალსაზრისით ქართ. /*შ*/ სპირანტისა და შიშინა რიგის აფრიკატების ზანურ-სვანურ შესატყვისობათა კომპლექსი განხილულ უნდა იქნეს როგორც რთული სისტემა, რომელიც ჩამოყალიბდა შედარებით გვიანდელი კომბინატორული ხასიათის ფონეტიკური კანონზომიერების დართვის შედეგად უძველეს კანონზომიერ თანხმოდანთშეფარდებათა მოდელზე.

ბსენებული ფონეტიკური კანონზომიერება ფორმალურ ფონეტიკურ კრიტერიუმს გვაწვდის რიგ ქართველურ სახელურ და ზმნურ ფორმათა რეკონსტრუირებისათვის: ისტორიულად დამოწმებული /შ/ — /სქ/ შესატყვისობა გულისხმობს ამ ერთეულთა განაწილებას /ჟ/ ფონემის წინ, ამ უკანასკნელის შესაძლებელი დაკარგვით წინამავალ შიშინა კომპლექსში კომბინატორული ფონეტიკური ცვლილების დასრულების შემდეგ.

შინაარსობლივი ინტერპრეტაცია ფორმალურად რეკონსტრუირებულ ერთეულთა, რომელნიც ქართველურ ენათა განვითარების უძველეს ეტაპებს ასახავენ, საფუძველს იძლევა ვიმსჯელოთ ობიექტთა ორ ძირითად კატეგორიას (კლასს) შორის [აღამიანი—ნივთი] არსებული სემანტიკური დაპირისპირების სტრუქტურული გამოხატვის შესახებ ქართველურ გრამატიკულ სისტემაში.

ეს უპირველეს ყოვლისა ეხება ქართველურ პირისა და კუთვნილებით ნაცვალსახელთა ფორმალურად რეკონსტრუირებული სისტემის ინტერპრეტაციას, სადაც წარმოდგენილია -ჟე- კლას-დეტერმინანტი პირველი და მეორე პირის ფორმებში საპირისპიროდ „არაპერსონალური“ მესამე პირის არამარკირებული ფორმებისა.

პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელური ფორმების ამგვარი მორფოლოგიური დაპირისპირებით „არაპერსონალური“ მესამე პირის ფორმებთან აიხსნება აგრეთვე ქართველურ ნაცვალსახელურ სისტემაში შინაგანად რეკონსტრუირებული ინკლუზიურ-ექსკლუზიური კატეგორიის არსებობა. ეს ნაცვალსახელური კატეგორია სტრუქტურულად მოტივირებულია გრამატიკულ კლას-კატეგორიათა ბინარული (ორობითი) სისტემით. ბინარული სტრუქტურის გრამატიკულ კლას-კატეგორიათა მორფოლოგიური სისტემა [აღამიანი — ნივთი (ე. ი. არააღამიანი); სულიერი—უსულო] გულისხმობს ინკლუზიუ-ექსკლუზივის კატეგორიის არსებობას ნაცვალსახელურ სისტემაში*.

ეს მორფოლოგიური დაპირისპირება აიხსნა აგრეთვე ქართველური მიცემითი ბრუნვის ფუნქციებშიც (ძველი ქართულის მონაცემების მიხედვით).

გრამატიკულ კლას-კატეგორიათა ამგვარი ორობითი დაპირისპირება ენობრივ სისტემაში, რაც ენის პირველად ბინარულ სტრუქტურას ასახავს, შინაგანად განსაზღვრავს პარადიგმატული და სინტაგმატური რიგის სტრუქტურულ თავისებურებათა არსებობას. გრამატიკული

* სულიერისა და უსულოს ბინარული დაპირისპირებით ინდოევროპულ მორფოლოგიურ სისტემაში უნდა აიხსნებოდეს ი.ე. პრონომინალურ სისტემაში ინკლუზიუ-ექსკლუზივის ფუნქციონირება.

მატიკულ კლას-კატეგორიათა ბინარული სისტემის დარღვევა (სისტემის გართულების შედეგად ახალი გრამატიკული კლასების გაჩენის გზით ან კლას-კატეგორიათა სრული მოშლის გამო), შეპირობებული ენის შინაარსობლივ სისტემაში მომხდარი ცვლილებებით, იწვევს ამ თავისებურებათა სტრუქტურულ გარდაქმნას და მის მიერ მოტივირებულ გრამატიკულ კატეგორიათა ცვლას.

ქართველურ ენათა გრამატიკულ სისტემაში ორი ძირითადი სტრუქტურული ფენა გამოიყოფა: კატეგორიათა სისტემა, მოტივირებული გრამატიკულ კლასთა ბინარული სტრუქტურით, და კატეგორიათა სისტემა, მოტივირებული ზმნური პოლიპერსონალიზმით. კატეგორიათა ის სისტემა, რომელიც ჩამოყალიბდა გრამატიკულ კლასთა ბინარული სტრუქტურის საფუძველზე, ქართველურ ენათა უძველეს სტრუქტურულ ფენას ქმნის. შემდგომი კვლევა-ძიება ქართველური ენობრივი სისტემისა, ეჭვს გარეშეა, გამოავლენს კიდევ მეტ სტრუქტურულ თავისებურებებს, მოტივირებულს ორი გრამატიკული კლასის [ადამიანი — ნივთი] მორფოლოგიური დაპირისპირებით.

გრამატიკულ კლას-კატეგორიათა სისტემის თანდათანობითმა რღვევამ ქართველურში გამოიწვია მოშლა პირველი და მეორე პირის მორფოლოგიური დაპირისპირებისა „არაპერსონალურ“ მესამე პირთან და ამ დაპირისპირებით მოტივირებული ინკლუზიურ-ექსკლუზიური კატეგორიის გაქრობა ნაცვალსახელურ სისტემაში. სვანური პოლიპერსონალური ზმნის სისტემაში ინკლუზიურ-ექსკლუზივის ჩამოყალიბება ერთგვარ კომპენსაციას წარმოადგენდა ამ კატეგორიის სტრუქტურულად შეპირობებული დაკარგვისა ნაცვალსახელურ სისტემაში.

ქართველურ პირისა და კუთვნილებით ნაცვალსახელთა რეკონსტრუირებულმა სისტემამ შესაძლებელია მნიშვნელოვანი ტიპოლოგიური ინფორმაცია მოგვაწოდოს მთის კავკასიური ენების ნაცვალსახელურ სისტემათა რიგი სტრუქტურული თავისებურების გარკვევისათვის [პირის ნაცვალსახელურ ფუძეებში არსებული (ან აღსადგენი) უ/უ ფონემის განხილვა როგორც კლას-დეტერმინანტის გაქვავებული ფორმისა (შდრ. ქართვ. { -ჟე-)}; ნაცვალსახელურ სისტემაში ინკლუზიურ-ექსკლუზიური კატეგორიის შინაგანი მოტივირება მთის კავკასიურ ენათათვის ისტორიულად დამახასიათებელი გრამატიკული კლასების ბინარული სტრუქტურით; ამ ნაცვალსახელური კატეგორიის გაქრობა ზოგიერთ ენაში გრამატიკულ კლას-კატეგორიათა ბინარული სტრუქტურის დარღვევის შედეგად და სხვ.].

ეს ნაშრომი მიზნად არ ისახავს მთის კავკასიურ ენათა ზემოდა-სახელებულ თავისებურებათა განხილვასა და გარკვევას. ეს ამოცანა, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს იბერიულ-კავკასიურ ენათა შორის არსებულ მიმართებათა გაშუქებისათვის, შეიძლება განხორციელდეს მთის კავკასიურ ენათა ნაცვალსახელო სისტემის დეტალური სტრუქტურული ანალიზის შედეგად რეკონსტრუირებულ ქართველურ ნაცვალსახელო სისტემასთან შედარებით.

ПРЕДИСЛОВИЕ

Настоящая работа посвящена исследованию некоторых вопросов исторической фонологии картвельских языков. Особое внимание уделяется в ней морфологическо-синтаксическим проблемам, которые возникли в связи с фонологическим анализом картвельских языков, естественно приведшим нас в процессе исследования к рассмотрению некоторых структурных особенностей картвельской грамматической системы.

Комплекс рассматриваемых в работе фонологических вопросов сложился в результате сравнительного анализа консонантных систем исторически засвидетельствованных картвельских языков.

Сопоставление этих систем, определяемое в основном соответствиями между фонологическими рядами спирантов и аффрикат, выявляет ряд отклонений от закономерных отражений в картвельских языках общекартвельских фонем сибиллянтной группы. Это касается главным образом неоднозначности отражения общекартвельской фонемы шипящего ряда /*ʃ/*¹⁾ (груз. /ʃ/) в занском (мегрело-чанском) и сванском языках в виде комплексов /ʃk/ (сван. /ʃg/) и /sk/ (сван. /sg/).

Выявляемая в результате дистрибутивного анализа этих комплексов комбинаторная обусловленность отражения фонемы /*ʃ/ (груз. /ʃ/) в виде /sk/ (сван. /sg/) дает возможность установить фонетическую закономерность, действовавшую в занско-сванском ареале и выразившуюся в регулярном переходе комплекса /ʃk/ в его свистящий вариант /sk/ под влиянием последующей фонемы /w/. Аналогичный переход был характерен также для занско-сванского рефлекса общекартвельской аффрикаты /*ʃ̥/: /ʃ̥gw/ → /ɕgw/ (сван. /sgw/). Сравнительный анализ ряда сванских форм, содержащих комплекс /sg/, подтвер-

¹⁾ В картвельской консонантной системе отсутствовала звонкая разновидность /*ʃ/ в качестве независимой фонологической единицы.

ждает действие этой фонетической закономерности еще в период обособленного развития сванского языка.

В свете устанавливаемой фонетической закономерности исторически засвидетельствованный комплекс занско-сванских соответствий фонемы /ʒ/ и шипящих аффрикат следует рассматривать как сложную систему, возникшую в результате наложения на древнюю модель закономерных соответствий фонем шипящего ряда другой, более поздней закономерности, обусловленной причинами комбинаторного порядка.

Эта фонетическая закономерность дает формальный фонетический критерий для реконструкции ряда общекартвельских именных и глагольных форм: исторически засвидетельствованное соответствие /ʒ/ — /sk/ предполагает распределение этих единиц перед фонемой /w/, с возможной потерей последней после завершения комбинаторного фонетического процесса в предшествующем шипящем комплексе.

Смысловая интерпретация формально реконструируемых форм, отражающих древнейшие ступени развития картвельских языков, дает основание судить о структурном отображении в грамматической системе общекартвельского языка семантического противопоставления объектов по двум основным категориям (классам) — категории человека и категории вещи.

Вышесказанное относится прежде всего к интерпретации восстанавливаемой таким путем общекартвельской системы личных и притяжательных местоимений^{*)}. Особо характерной чертой реконструируемых общекартвельских форм личных и притяжательных местоимений является симметричное распределение элемента *-we-* в основе. Эта дистрибутивная особенность элемента *{-we-}* дает возможность выделить его в качестве морфемы, функционального элемента местоименных форм.

Наличие данной морфемы только лишь в формах первого и второго лица ед. и мн. числа, являющихся субъектами акта

*) ед. ч.

1. m-we-n'aʔ/ʒ-we-m-

2. ʒ-we-n'aʔ/ʒ-we-n-

мн. ч.

1. ʒ-we-n'aʔ/ʒ-we-n-

2. tk-we-n'aʔ/tk-we-n-

Общекартвельские формы притяжательных местоимений могут быть квалифицированы (за исключением формы первого лица ед. ч.) как личные местоимения, функционирующие в качестве атрибута в определенных синтаксических условиях.

речевой коммуникации, т. е. в местоименных формах, определяющих однозначно класс людей (в противовес немаркированным формам „неперсонального“ третьего лица), дает основание судить о морфологической выраженности в местоименных формах категории человека и вещи с помощью означенной морфемы, квалифицируемой как класс-детерминант.

Подобным морфологическим противопоставлением местоименных форм первого и второго лица формам „неперсонального“ третьего лица объясняется существование в прономинальной системе общекартвельского языка внутренне реконструируемой категории инклюзива - эксклюзива, выражавшей сочетание первого лица со вторым (* \check{c} -we-n¹a¹ инкл.) или с третьим лицом (* \check{c} -wa- экскл.).

Эта прономинальная категория была структурно мотивирована бинарной (двоичной) системой грамматических классов. Морфологическая система грамматических классов бинарной структуры [человек — вещь (т. е. личный — неличный); одушевленный — неодушевленный] предполагает наличие категории инклюзива - эксклюзива в прономинальной системе*).

Это противопоставление грамматических классов находит отражение также в функциях общекартвельского дательного падежа (по данным древнегрузинского языка).

Подобное двоичное противопоставление классов в языковой системе, отражающее первоначальную бинарную структуру языка, внутренне обуславливает появление в данной системе целого ряда структурных особенностей парадигматического и синтагматического порядка. Нарушение бинарной системы грамматических классов (путем ее осложнения появлением новых грамматических классов или в результате полного их исчезновения), вызванное изменениями в системе содержания языка, влечет за собой структурное преобразование этих особенностей и изменение мотивированных ею грамматических категорий.

В грамматической системе картвельских языков следует различать два основных структурных слоя: систему категорий, мотивированных бинарной структурой грамматических классов, и

*) Бинарным противопоставлением одушевленного и неодушевленного классов в морфологической системе индоевропейского языка следует объяснить функционирование в и.-е. прономинальной системе категории инклюзива — эксклюзива.

систему категорий, мотивированных глагольным полиперсонализмом. Система категорий, возникшая на базе бинарной структуры грамматических классов общекартвельского языка, образует древнейший структурный слой картвельских языков. Нет сомнения, что дальнейшее изучение картвельской языковой системы вскроет еще немало структурных особенностей, мотивированных морфологическим противопоставлением двух грамматических классов — человека и вещи.

Постепенное отмирание системы грамматических классов в общекартвельском языке обусловило уничтожение морфологического противопоставления первого и второго лица „неперсональному“ третьему лицу и исчезновение мотивированной этим противопоставлением категории инклюзива-эксклюзива в прономинальной системе. Появление инклюзива-эксклюзива в системе сванского полиперсонального глагола явилось своего рода компенсацией структурно обусловленной утраты этой категории в прономинальной системе.

Реконструируемая система личных и притяжательных местоимений картвельских языков может дать значительную типологическую информацию для разъяснения ряда структурных особенностей местоименных систем горских кавказских языков [рассмотрение представленной (или восстанавливаемой) в основах личных местоимений фонемы w/i в качестве окаменевшей формы класс-детерминанта (ср. картв. {-we-}); внутренняя обусловленность различения прономинальной категории инклюзива-эксклюзива исходной для этих языковых систем бинарной структурой грамматических классов; утеря категории инклюзива-эксклюзива в ряде языков в результате нарушения бинарной структуры и др.].

Настоящая работа не ставит себе целью разбор и определение отмеченных выше структурных особенностей горских кавказских языков. Эта задача, имеющая первостепенное значение для освещения отношений между иберийско-кавказскими языками, может быть разрешена лишь при детальном структурном анализе прономинальных систем горских кавказских языков в сравнении с реконструируемой местоименной системой общекартвельского языка.

PREFACE

The present paper is devoted to the investigation of certain problems of the historical phonology of Kartvelian languages. Special attention is paid in it also to morphologic-syntactic problems, since the phonological analysis of Kartvelian languages led us in the process of research to the discussion of some structural phenomena of the Kartvelian grammatical system.

The set of phonological problems dealt with in this paper originated in connection with a comparative analysis of consonant systems of the historical Kartvelian languages. The analysis of these systems reveals divergent developments of the Common Kartvelian (CK) phonemes of sibilant range. This applies, first of all, to the divergent representation of the CK /*ʒ/ spirant*) and ʒ-affricates in individual Kartvelian dialects.

We were primarily concerned with the clarification of the causes of non-unique reflection of the CK spirant /*ʒ/ (Georg. /ʒ/) represented in the Zanian (Čano-Megrelian) and Svanian languages by both the clusters /ʒk/ (Svan. /ʒg/) and /sk/ (Svan. /sg/).

The distributional analysis of these clusters makes it clear that /sk/ (resp. /sg/) as a Zanian (resp. Svanian) reflex of /*ʒ/ occurs in a particular type of environment, viz. before the phoneme /w/. The establishment of this fact provides a basis for demonstrating the existence of a regular phonetic tendency which was in effect at a very remote stage of Zano-Svanian unity. This phonetic tendency affected the original cluster /ʒk/ which changed to /sk/ under the influence of the following phoneme /w/. The same is true for the evaluation of the Zano-Svanian reflexes of CK /*ʒ/ (Georg. /ʒ/) represented by

*) There was no voiced counterpart of /*ʒ/ as an independent phonemic unit in the Kartvelian consonant system.

both the clusters /ʒg/ and /ʒg/. A comparative analysis of the Svanian word-forms containing the cluster /sg/ points to the fact that this phonetic tendency was still operative in the period of the independent development of the Svanian language. The phonetic process involved may be represented as /ʒkw/→/skw/ and /ʒgw/→/ʒgw/.

In view of this phonetic regularity the historically attested set of correspondences of the Kartvelian /ʒ/ spirant and ʒ-affricates may be regarded as a complex system which originated in consequence of an overlapping of the ancient pattern of regular correspondences by a later one resulting from the phonetic regularity of combinatory character.

The establishment of this phonetic regularity affords a formal phonetic criterion for reconstructing a number of CK word-forms: the historically attested correspondence Georg. /ʒ/—Zano-Svan. /sk/ || /sg/ presupposes the distribution of these units before /w/, with eventual loss of the latter upon the completion of the conditioned sound change in the preceding cluster.

The interpretation of the forms thus reconstructed which represent earlier stages of the development of Kartvelian languages provides a reasonable basis for drawing certain conclusions as to the structural reflection in CK of semantic opposition between the two main object categories (classes)—the categories of men and things.

This applies primarily to the interpretation of the formally reconstructed CK system of personal and possessive pronouns*). One of the most characteristic structural features of the reconstructed pronominal forms is a symmetric distribution in them of the segment -we-. On the grounds of this distributional phenomenon the segment {-we-} may be separated out as a morpheme of the pronominal forms. The occurrence of this morpheme only in the forms of the first and second persons which represent the subjects of the act of communication, i. e. in the pro-

	*) Pers.	Possess.		Pers.	Possess.
Sg.	1. m-we-n'a¹	ʒ-we-m-	Pl.	1. ʒ-we-n'a¹	ʒ-we-n-
	2. ʒ-we-n'a¹	ʒ-we-n-		2. tk-we-n'a¹	tk-we-n-

The CK forms of the possessive pronouns may be qualified (with the only exception of the form of the first person sg.) as personal pronouns functioning as attributes under certain syntactic conditions.

nominal forms determining uniquely the class of men (persons) [as opposed to the unmarked forms of the „impersonal“ third person], points to morphologic differentiation in the pronominal system between the categories of men and things denoted by this morpheme which may be qualified as a class-determinant.

This morphologic opposition of the first and second persons to the „impersonal“ third person in CK must have given rise to the internally reconstructed pronomial category of inclusive-exclusive which expressed the combination of the first person with the second (*č-we-n'a¹, incl.) or the third person (*na-, excl.). This pronomial category was structurally motivated by the binary system of grammatical classes. A morphologic system of grammatical classes of a binary structure [men: things (i. e. personal: impersonal); animate: inanimate] implies the existence of the pronomial category of inclusive-exclusive*).

The binary opposition involved is reflected also in the functions of the CK dative (as represented in Old Georgian).

Such a binary opposition of grammatical classes in a language system, this being a reflection of the originally binary structure of language, motivates internally the appearance of a number of structural phenomena of paradigmatic and syntagmatic order. The destruction of the binary system of grammatical classes (by its complication in consequence of the introduction of new grammatical classes or by the complete disappearance of classes), due to changes in the system of content of the language, may cause certain structural modifications of these phenomena and changes in the motivated grammatical categories.

In the grammatical system of Kartvelian languages there are two principal structural strata to be distinguished: a system of categories motivated by the binary structure of grammatical classes and a system of categories resulting from the verbal polypersonalism. The system of categories due to the binary structure of grammatical classes of CK constitutes the oldest structural stratum of Kartvelian languages. There is no doubt that further investigation of the Kartvelian grammatical system will reveal still more structural phenomena motivated by morpho-

*) The IE pronomial category of inclusive-exclusive may be interpreted as being motivated by the binary opposition animate vs inanimate.

logic opposition between the two grammatical classes — those of men and things.

The gradual disappearance of grammatical classes in CK caused the elimination of the morphologic opposition of the first and second persons to the „impersonal“ third person and the loss of the pronominal category of inclusive-exclusive which was originally motivated by this opposition. The development of inclusive-exclusive in the system of the Svanian polypersonal verb served as a compensation for the structurally motivated loss of this category in the pronominal system.

The reconstructed system of personal and possessive pronouns of Kartvelian languages may yield important typological information for the clarification of some structural features of the pronominal systems of the Mountain Caucasian languages [the qualification of the phoneme w/u occurring regularly in the stems of personal pronouns as a petrified form of class-determinant (cf. Kartv. {-we-}); the internal motivation of the pronominal category of inclusive-exclusive by the binary structure of grammatical classes which was originally characteristic of the Mountain Caucasian languages; the loss of this pronominal category in some of the languages as a result of the destruction of the binary system of classes, etc.].

The present paper does not aim at determining these structural phenomena of the Mountain Caucasian languages. This goal which is of primary importance for the clarification of the relationships between the Ibero-Caucasian languages may be achieved only by a detailed structural analysis of the pronominal systems of the Mountain Caucasian languages as compared with the reconstructed pronominal system of Common Kartvelian.

I. ერთი გამონაკლისი შიშინა თანხმოვანთა შესატყვისობიდან

§ 1. ქართველურ ენათა შედარებით-ისტორიულნა შესწავლამ გამოავლინა ის მეტად საყურადღებო ფაქტი, რომ თანხმოვანთა სისტემაში ფონოლოგიური გადაწვევები ძირითადად და განსაკუთრებით სისინა და შიშინა სპირანტებისა და აფრიკატების რიგებში ვეაქვს. თანხმოვანთგადაწვევა ქართველურ კონსონანტურ სისტემაში ძირითადად ამ რიგებს შეეხება. ქართულ სისინა რიგის სპირანტებსა და აფრიკატებს ზანურში შეეფარდება შიშინა რიგის შესატყვისი სპირანტები და აფრიკატები. ქართულის წყება სისინაა, ქანურისა და მგვრულისა კი შიშინა¹. სვანურის მონაცემები ამ მხრივ ზანურის რიგისაა.

ქართ. /ს/ — ზან. /შ/ — სვან. /შ/:

ქართ. სვან-ი: მგვრ.-ქან. შონ-ი; სვან. მუშტან.

ქართ. ას-ი: მგვრ.-ქან. ოშ-ი; სვან. აშ-ირ (ლექსიკონი, გვ. 219).

ქართ. სვ-ენ- (გან-ი-სუენ-ე): ქან. შვ-აჯ- (მოიშვაჯამან „ისვენებენ“), მგვრ. შვ-ანდ- || სვ-ანჯ- || სვ-ანდ- (იქვე, გვ. 361)²; სვან. იშტმინე „ისვენებს“, ლი-შტმინ-ე „დამშვიდება, დასვენება“.

ქართ. სვ- || ძვ. ქართ. სუ- (სუ-მა, არა შუ-ვ-სუ, მ. C 24.42; სუ-თ, მ. C 26.27): ქან. შუ- < შუ- (ოშუ „დალია“, ოშვეს „დალიეს“), მგვრ. შუ- < შუ- (წყარი გეშუ „წყალი დალია“, ღვინი შუ „ღვინო სვა“) (იქვე, გვ. 360); სვან. მნშუა „მისვამს“, ნშუ „ნასვამი“.

ქართ. სვ-ელ-: ქან. შუ- || შვ-ელ- || შოლ- „დასველებს“ (დოშოლაფან „დაასველებენ“; შველარე „დაზელ [ფქვილს]“,

¹ არნ. ჩიქობავა, ქანურ-მგვრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბილისი, 1938, გვ. 6 (შემდეგში შემოკლებით: არნ. ჩიქობავა, ლექსიკონი).

² სისინა ვარიანტი მგვრულ ფორმებში დისიმილაციურად უნდა იყოს მიღებული: *შვ-ანჯ- > სვ-ანჯ-.

„დაასველებ“), მეგრ. შოლ- (დნშოლუ „დასველდა“) (იქვე გვ. 362); სვან. შუელ „სველი“¹.

ქართ. /ზ/ — ზან. /ჟ/ — სვან. /ჟ/:

ქართ. ზე-და || ზე: ზან. ჟი; სვან. ჟი.

ქართ. მზე: ჰან. მჟ-ორ-ა, მეგრ. ბჟა; სვან. მიჟ (ლექსიკონი, გვ. 202).

ქართ. /ძ/ — ზან. /ჯ/ — სვან. /ჯ/ || /ჟ/²:

ქართ. ძალ-ლი: მეგრ.-ჰან. ჯოლ-ორ-ი; სვან. ჟალ-ჰ (მიც. ბრ.) (იქვე, გვ. 82).

ქართ. ძმა < ძამ-ა: ჰან. ჯუმ-ა, მეგრ. ჯიმ-ა; სვან. ჯუმ-ილ (იქვე, გვ. 25 შმდ.).

ქართ. ძველ-ი: ჰან. მ-ჯვე-ეშ-ი || ნ-ჯვე-ეშ-ი, მეგრ. ჯვე-ეშ-ი; სვან. ჯუშ-ინ-ელ (იქვე, გვ. 238).

ქართ. ძვე-ალ-: ზან.-სვან. ჯი-ჯუშ < *დი-ჯუშ³.

ქართ. /ც/ — ზან. /ჩ/ — სვან. /ჩ/:

ქართ. კაც-ი: მეგრ.-ჰან. კოჩ-ი; სვან. კუშ⁴.

ქართ. ხუ-ც-ეს-ი: მეგრ. უ-ჩ-აშ-ი „უფროსი“; სვან. ხო-შ-ა „ლიდი, უფროსი“, მა-ხუშ-ი „უფროსი“ (ნ. მარი)⁵.

ქართ. /წ/ — ზან. /ჭ/ — სვან. /ჭ/:

ქართ. წყრთა: მეგრ. ჰყითა || ჰყირთა; სვან. ჰითხ⁶.

ქართ. ანწ-ლ-ი: ჰან. ინჭ-ირ-ი, მეგრ. ინჭ-ირ-ია; სვან. ვანჭუშ (შდრ. ლექსიკონი, გვ. 132).

ქართ. წამ-ლ-ი: ჰან. ჰუმ-ურ-ი || ჰუმ-რ-ი, მეგრ. ჰუმ-ურ-ი (იქვე, გვ. 127).

¹ ს. ქლენტი, სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, თბილისი, 1949, გვ. 129.

² სვანური /ჟ/, ქართ. /ძ/ და ზან. /ჯ/ ფონემების შესატყვისად წარმოადგენილი, მომდინარეობს პირვანდელი /ჯ/ ფონემის სპირანტიზაციის (დებაფრი-კატიზაციის) გზით. იგვევ შევხება სვანურ /შ/-ს, რომელიც ქართ. /ც/: ზან /ჩ/ ფონემებს შეეფარდება (გ. როგავა, ქართველურ ენათა ფონეტიკის ისტორიულ-შედარებითი შესწავლის ძირითადი საკითხები: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, IV, 1953, გვ. 47); დებაფრიკატიზაციის შესახებ სვანურში იხ. აგრეთვე ს. ქლენტი, სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, თბილისი, 1949, გვ. 180 შმდ.

³ არნ. ჩიკობავა, ქართული ძვალ-ფუძის ზანური შესატყვისისათვის: საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. I, № 1, 1940, გვ. 93 შმდ.

⁴ Н. Я. М а р р, *Тубал-кайнский вклад в сванском*: Известия императорской Академии Наук, 1912, I, გვ. 1094.

⁵ შდრ. კ. თოფური, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან. III: სტალინის სახელობის თბილისის საბ. უნივერსიტეტის შრომები, XV, 1940, გვ. 48 შმდ.

⁶ ს. ქლენტი, ხსენ. ნაშრ., გვ. 131..

ასეთსავე კანონზომიერ ხასიათს ატარებს ქართული შიშინა აფრიკატებისა და /შ/ სპირანტის შესატყვისობანი ზანურსა და სვანურში¹. ქართულ /შ/ ფონემასა და შიშინა რიგის აფრიკატებს ამ ენებში, როგორც წესი, ორწევრიანი თანხმოვანთკომპლექსი შეეფარდება, რომლის პირველი კომპონენტი შესატყვისი შიშინა სპირანტი ან აფრიკატი (სვანურში ამგვარი აფრიკატი შესატყვის სპირანტში გადადის დეზაფრიკატიზაციის შედეგად), ხოლო მეორე წევრი — უკანანისმიერი ხშული. ქართული /შ/ სპირანტის შესატყვისად მეგრულში დასტურდება /შქ/ (ქანურში /შქ/ კომპლექსის ნაცვლად ხშირად /შქ/ გვაქვს), სვანურში — /შგ/, რონელიც მომდინარეობს თავდაპირველი /შქ/-საგან სვანურისათვის დამახასიათებელი დისიმილაციური გამეღერების შედეგად².

ქართ. /შ/ — ზან. /შქ/ — სვან. /შგ/:

ქართ. შეიდ-ი: ქან. შქვით-ი || შქით-ი, მეგრ. შქვით-ი; სვან. ი-შგჷიდ³.

ქართ. მო-ა-შთ-ო: ქან. დო-შქვიდ-უ, მეგრ. დო-შქვიდ-ჟ; სვან. ა-შგჷიდ⁴.

ქართ. ლა-შ-ი „ბაგე, ტუჩი“, „პირის ქვედა ბაგე“ (ს ა ბ ა): ქან. ლე-შქ-ი, მეგრ. ლე-ჩქე-ი⁵ (ლექსიკონი, გვ. 51).

¹ ქართველური სისინა რიგის სპირანტები უპირისპირდებიან ერთმანეთს კორელაციურად მელერობა-სიყრუის თვალსაზრისით. ამგვარი კორელაცია არა გვაქვს შესატყვისი შიშინა რიგში, სადაც წარმოდგენილია მხოლოდ /შ/ ფონემა; /შ/ ფონემის მგღერი კორელატი არ იყო დამახასიათებელი ქართველური კონსონანტური სისტემისათვის. /ც/ ფონემა ქართულში მეორეული წარმოშობისაა (გ. ა ხ ე ლ ე დ ი ა ნ ი apud Т. Г о н и а ш в и л и н, *К истории одного звука в грузинском языке*: ენიმის მოამბე II, 1937, გვ. 111, შნშ. 2). ამგვარი წევრნაკლი თანხმოვანთრიგებისა და მათი შეესების შესახებ ენათა ისტორიული განვითარების პროცესში იხ. A. Martinet, *Économie des changements phonétiques*, Berne, 1955, გვ. 79 შმდ.; შდრ. ანალოგიური ვითარება /*ხ/ ფონემის შემთხვევაში ინდოევროპულში (H. Pedersen, *Die gemeinindoeuropäischen und die vorindoeuropäischen Verschlusslaute*: Det kgl. Danske Videnskaberne Selskab, XXXII, 5, København, 1951, გვ. 10 შმდ.).

² დისიმილაციური გამეღერების შესახებ სვანურში იხ. ს. ე ლ ე ნ ტ ი, ხსენ. ნაშრ., გვ. 167 შმდ.; შდრ. გ. ა ხ ე ლ ე დ ი ა ნ ი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბილისი, 1949, გვ. 383 შმდ.

³ ამ ფორმათა შესახებ დაწერილებით ქვემოთ გვექნება საუბარი.

⁴ ამ ფორმათა შესახებ დაწერილებით — ქვემოთ.

⁵ მეგრ. ლე-ჩ-ქ-ე-ი ფორმაში -გ- მეორეული წარმოშობისა ჩანს. იგი არ არის წარმოდგენილი არც ქართულსა და არც ქანურ ფორმაში; შდრ. აა მხრივ ქართ. ნ ა-შ ხ-ი რ-ი || ნ ა-ხ შ-ი რ-ი: ქან. ნ ო-შ ქ-ე რ-ი, მაგრამ მეგრ. ნ ო-შ ქ-ე რ-ი || ნ ო-შ ქ-ე-ე რ-ი (ლექსიკონი, გვ. 160).

ქართ. შ-ი-ა: ქან. შქ-ირ-ონ-ს, მეგრ. შქ-ირ-ენ-ს (ლექსიკონი, გვ. 368).

ქართ. შ-ინ- („ნუ გეშინინა“): ქან. ა-შქ-ურ-ინ-უ „შეეშინა“, მეგრ. დნ-შქ-ურ-ინ-უ „შეაშინა“ (იქვე, გვ. 369).

ქართ. შე-შა (<“სე-შა“): ქან. დი-შქ-ა || დი-შქ-ა; მეგრ. დი-შქ-ა (იქვე, გვ. 157).

ქართ. ვაშ-ლ-ი: ქან. ოშქ-ურ-ი || უშქ-ურ-ი, მეგრ. უშქ-ურ-ი; სვან. ურსგ-უ (იქვე, გვ. 121).

ქართ. შე- (გა-შე-ებ-ა): ქან. მე-ვა-შქე-ი „დაეტოვე“, მეგრ. გეი-აშქუ „აუშვა“ (მაგ. დაბმული ხარი) (იქვე, გვ. 366).

ქართ. შუ-ა: ქან. შქ-ა || შქ-ა, მეგრ. შქ-ა, „შუა“; სვან. ი-სგ-ა.

ქართ. მ-შვილ-ღ-ი: მეგრ. შქვილ-ი; შქვილ-ან-ს „შნივილდავს; ბამბას პენტავს“¹.

ქართულ შიშინა /ჯ/, /ჩ/, /ჭ/ აფრიკატებს ზანურსა და სვანურში შეეთარდება შესაბანიისად /ჯგ/, /ჩქ/, /ჭკ/ კომპლექსები, რომლებიც სვანურში შესატყვის დეზაფრიკატიზაციას განიცდიან:

ქართ: /ჯ/ — ზან. /ჯგ/:

ქართ. ჯ-ობ-ნ-: ქან. (რ)-ჯგ-ინ-, მეგრ. რ-ჯგ-ინ- (ლექსიკონი, გვ. 435).

ქართ. /ჩ/ — ზან. /ჩქ/ — სვან. /შგ/:

ქართ. ჩემ-ი: ქან. ჩქიმი || შქიმი, მეგრ. ჩქიმი || ჩქემი; სვან. მ-ი-შგუ-ი.

ქართ. *ჩიჩუ-ილ- (> ძვ. ქართ. ჩჩლ-ი): ქან. ჩუჩქუ || ჩიჩქუ, მეგრ. ჩქიჩქუ; სვან. მუ-შგუ-უ (იქვე, გვ. 242).

ქართ. უ-ჩ-ა-(ნ)-ს „მისთვის ჩანს, შესაცნობია“: ქან. უ-ჩქ-ი-ნ || უ-შქ-უ-ნ, მეგრ. უ-ჩქ-უ-(ნ) „იცის“ (იქვე, გვ. 379).

ქართ. /ჭ/ — ზან. /ჭკ/ — სვან. /შკ/:

ქართ. ჭედ-ვა, მ-ჭედ-ელ-ი: ქან. ჭკად- (ნოჰკადამან „მიაჰედავენ“), მეგრ. ჭკად-უ „მჰედელი“; სვან. ლი-შკაღ-ი „ჰედვა“, მ-შკიდ „მჰედელი“ (შდრ. ლექსიკონი, გვ. 412).

ქართ. ჭარ- || ჭერ- (გა-ჭარ-ი || გა-ჭერ-ი): ქან. ჭკორ- || ჭკირ- (დო-ჭკორ-უ „დაქრა“), მეგრ. ჭკირ- (დო-ჭკირ-უ) (იქვე, გვ. 417).

ქართ. ჭამ-ა: მეგრ.-ქან. ჭკომ-უ (იქვე, გვ. 415).

ამ რაგალითების საფუძველზე შეიძლება ნათლად იქნეს წარმოდგენილი ის სქემა, რომელიც ქართული სისინა და შიშინა სპირანტებისა და აფრიკატების შესატყვის ზანურსა და სვანურ ფონემებთან ან თანხმოვანთკომპლექსებთან შეფარდებისას ჩამოყალიბდება: ქართულ სისინა რიგს ამ ენებში შეესატყვისება შიშინა

¹ არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი, 1942, გვ. 99 (შემდგენი — არნ. ჩიქობავა, ფუძის აგებულება)-20

რიგი, ხოლო ქართულ შიშინა რიგის ფონემებს — შესატყვისი შიშინა თანხმოვნები უკანაენისმიერი ხშულის დართვით¹. ქართული ენა მასში წარმოდგენილი ქართველური სპირანტებისა და აფრიკატების რეფლექსთა თვალსაზრისით სისინა რიგისაა, ხოლო ხანური და სვანური შიშინა წრეს განეკუთვნება².

¹ რიგი ისეთი ფორმები, რომლებშიც ქართულ შიშინა თანხმოვანს ხანურში შიშინავე შესატყვისება (და არა შიშინა + უკანაენისმიერი ხშული), ქართულიდან უნდა იყოს შესული ხანურში სესხების გზით; მაგ., ქართ. ჩ ა ლ-ა: ქან. ჩ ა ლ-ა, მეგრ. ნ ა-ჩ ა ლ-ი; ქართ. ჯ ე რ- (და ი-ჯ ე რ-ა); მეგრ.-ქან. ჯ ე რ- (დი-ჯ ე რ-უ); ქართ. 'კ ი რ- (ნ-კ ი რ-დ-ე ბ-ა); მეგრ.-ქან. კ ი რ- (მეგრ. მ ო-კ ი რ-უ[ნ]) და სხვ. ზოგიერთ პირველად შიშინათანხმოვნიან მეგრ.-ქან. ფორმაში (მაგ. ქართ. ლ ე კ-ა: მეგრ. ლ ა კ-უ-ა; ქართ. ს-კ ე ი ჩ-ა: მეგრ.-ქან. კ ე ი ჩ-ა/ი და სხვ.) შიშინა თანხმოვნის შენდევ მოსალოდნელი უკანაენისმიერი ხშული დაკარგული (ან განუვითარებელი?) ჩანს, —საფიქრებელია, ველარ თანხმოვანთა დისიმილატიური გავლენით (გ. მ ა კ ა ვ ა რ ი ა ნ ი).

² არ მოგვეპოვება არც ერთი მაგალითი, რომელიც საპირისპირო შეფარდებას ამჟღავნებდეს აფრიკატების რიგში, ე. ი. ისეთი ფორმები, რომლებშიც ქართ. შიშინა აფრიკატებს ხანურში შესატყვისი სისინა აფრიკატები (და არა ბგერათკომპლექსები!) შეეფარდებოდეს. ამგვარი შესატყვისობა, ერთი შეხედვით, თითქოს წარმოდგენილია ფორმებში: ქართ. ჯ ა გ ა რ-ი; მეგრ. ძ ა გ ე რ-ი; ქართ. ფ-რ-ჩ ბ-ი ლ-ი; ქან. ბ უ-ც ხ-ა, მეგრ. ბ ი-რ-ც ხ-ა და ქართ. კ ი ბ-ი; მეგრ. კ ი ბ-ი, ქან. „წ ი ბ ა“ (ლექსიკონი, გვ. 69). მაგრამ საქმე ისაა, რომ შიშინა ვარიანტები ქართულში შედარებით გვიანდელი ფორმებია და შესატყვისი სისინა ვარიანტებისაგან უნდა ნომდინარეობდნენ. ჯ ა გ ა რ- ფორმის პარალელურად ქართულში მოგვეპოვება ძ ა გ ა რ- ფორმა, რომელიც ნასესხები ჩანს მეგრულში ძ ა გ ვ ა რ- ფორმის სახით (არ დასტურდება ხნოვანთშესატყვისობა!); ქან. ბ უ-ც ხ-ა, მეგრ. ბ ი-რ-ც ხ-ა კანონზომიერად შეეფარდება ქართ. ფ-რ-ც ხ-ი ლ- ფორმას (შდრ. ლექსიკონი, გვ. 61), ხოლო ქან. „წ ი ბ ა“, რომელიც ნ. მარს აქვს დადასტურებული ათინურში, კანონზომიერი შესატყვისი უნდა იყოს ქართ. კ ი ბ-ი ფორმის სისინა ვარიანტისა, რომელსაც განსხვავებული მნიშვნელობა შერჩა (clitoris). ამგვარი მონაცვლეობა ერთი ენის ფარგლებში სისინა და შიშინა თანხმოვნებს შორის (შდრ. აგრეთვე ძვ. ქართ. დ ა კ ს ვ ა || დ ა ჯ შ ვ ა; ს ხ ა-მ ი || შ ხ ა მ ი (ს ა ბ ა); ი ს ხ ა რ ი „ჩქარი წვიმა ადრე მომდარებელი“ || ქ ა რ-ი შ ხ ა ლ ი „წუწა ქარიანი მძაფრი“ (ს ა ბ ა); ხ ი წ ე ი || ხ ი კ ე ი და სხვ.) ხშირად კომბინირებულ ხასიათს ატარებს (ს → შ აქ მოყვანილ ფორმებში შემპრობებული ჩანს უკანაენისმიერი სპირანტის მეზობლობით (შდრ. ანალოგიური ვითარება გერმანულ ენებში). რიგ შემთხვევაში (ე. წ. „ხალხური წარმოების“ სიტყვებში, „formations populaires“ — ა. მ ე ა ე) იგი ექსპრესიულ ფუნქციას ასრულებს: შდრ. ქან. წ უ ტ ა || კ ე ტ ა; სვან. კ ო ტ ო ლ || კ ო წ ო ლ || კ ო კ ო ლ „პატარა, პაწია“ და სხვ. (ექსპრესიული ბგერათმონაცვლეობის შესახებ ქართულში შდრ. Fr. Neisser, Studien zur georgischen Wortbildung: Abhandlungen für die Kunde des Morgenlandes, XXXI, 2, Wiesbaden, 1953, გვ. 7 შმდ.). ქართ. კ ი ბ-ი; ქან. „წ ი ბ ა“-ს შემთხვევაში მას, საფიქრებელია, ეფემისტური საფუძველი აქვს.

ყველა ამ ხასიათის სპორადული თანხმოვანთმონაცვლეობა, ცალკეულ ენათა ნიადაგზე წარმოქმნილი, ამ ენათა შედარებით გვიანდელ ფონეტიკურ

ქართული შიშინა რიგის ფონემების შესატყვისად შიშინავე რიგის ფონემათა დადასტურება უკანაენისმიერ ხშულთან კომპლექსში ზანურსა და სვანურში სვამს საკითხს ამ ენებში ამგვარ დეცესიურ კომპლექსთა წარმოშობის შესახებ. საესებით ბუნებრივია დაუშვავთ ამ ბგერებთან უკანაენისმიერი თანხზოვნების განვითარება თავდაპირველი შიშინა რიგის ფონემათათვის დამახასიათებელი ლაბიო-ველარიზებული არტიკულაციის შედეგად¹. მაგრამ ქართველურ შიშინა თანხზოვანთა ეს ფონეტიკური თავისებურება არ უნდა ყოფილიყო ამ ფონემათა ფონოლოგიურად რელევანტური ნიშანი. ქართულს, რომელმაც შიშინა რიგის ფონემები მარტივი სახით შემოინახა, ამ მხრივ უძველესი ინდო-ევროპული დაუცავს ზანურთან და სვანურთან შედარებით.

მაგრამ რიგ შემთხვევაში შიშინა თანხზოვნების შესატყვისობათა ეს მწყობრი სურათი ირღვევა. განსაკუთრებით ეს შეეხება /შ/ სპირანტის შესატყვისებს ზანურსა და სვანურში. ქართული /შ/ ფონემის შემცველ ფორმათა მცირე ნაწილი აელენს ზანურის (resp. სვანურის) ეტიმოლოგიურად ეკვივალენტურ ფორმებში არა შიშინა სპირანტისათვის მოსალოდნელ /შქ/ (resp. /შგ/) კომპლექსს, არამედ ამ კომპლექსის სისინა /სქ/ (resp. /სგ/) ვარიანტს. ერთადერთ შემთხვევაში (მხოლ. რიცხვის მეორე პირის ნაცვალსახელურ ფორმაში) ქართული /შ/ ფონემის შესატყვისად გვაქვს /ს/. ეგვევ წეებება ქართული /გ/ ფონემის შესატყვისებს ზანურსა და სვანურში. კანონზომიერ /გგ/ კომპლექსის გვერდით დასტურდება მისი სისინა /ძგ/ (სვან. /სგ/)² ვარიანტი. ამგვარ ვითარებაში გასარკვევია, თუ

სინამდვილეს განეკუთვნება და არ წარმოადგენს ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკის კვლევის ობიექტს. ამგვარი ფონეტიკური ცვლილებები ვერ არღვევს იმ კანონზომიერ შეფარდებათა სქემას, რომელიც ქართველურ შიშინა და სისინა აფრიკატთა რიგებს შორის ჩამოყალიბდება.

¹ შდრ. ს. ე დ ე ნ ტ ი, კანურ-მეგრულის ფონეტიკა, თბილისი, 1953, გვ. 89 შმდ.; მ ი ს ი ვ ე, ლაბიალიზებულ თანხზოვანთა საკითხისათვის ქართველურ ენებში: ენიმის მონბე, X, 1941, გვ. 188; მ ი ს ი ვ ე, სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, თბილისი, 1949, გვ. 138 შმდ.

² /სგ/ კომპლექსი სვანურში მიღებულია თავდაპირველი /ძგ/ კომპლექსისაგან სისინა აფრიკატის სპირანტიზაციისა და დისიმილაციური დაყრუების შედეგად (შდრ. გ. რ ო გ ა ვ ა, ქართველურ ენათა ფონეტიკის ისტორიულ-შედარებითი შესწავლის ძირითადი საკითხები: იბერ.-კავკ. ენათმეცნიერება, IV, 1953, გვ. 48).

რატომ აქვს ქართ /შ/ (resp. /ჯ/) ფონემას ორგვარი შესატყვისი ზანურსა და სვანურში. მომდინარეობს ამგვარი /სქ/ კომპლექსი იმავე ფონემისაგან, რომელმაც სხვა წემთხვევაში კანონზომიერად /შქ/ კომპლექსი მოგვცა, თუ წარმოადგენს იგი რეფლექსს სულ სხვა ფონემისა, რომელიც ქართულში /შ/ სპირანტის სახით იქნა წარმოდგენილი და შიშინა რიგს დაემთხვა? /შქ/ (resp. /შჯ/) და /ჯგ/ კომპლექსები ვერ ჩათვლება ქართული /შ/ და /ჯ/ ფონემების კანონზომიერ შესატყვისად ზანურსა და სვანურში, სანამ არ იქნება მოცემული დამაკმაყოფილებელი ფონეტიკურ ფონოლოგიური ახსნა ამ შესატყვისობათა დარღვევისა, რაც შ — სქ, სგ, ჯ — ძგ/სგ შესატყვისობებში იჩენს თავს. ამ გამონაკლისების ახსნა (ე. ი. გარკვევა იმისა, თუ რატომა გვაქვს ერთ შემთხვევაში შ — შქ/შჯ, ჯ — ჯგ. ხოლო მეორე შემთხვევაში შ — სქ, სგ, ჯ — ძგ/სგ) ამგვარ შესატყვისობას კანონზომიერი ფონეტიკური ტენდენციის განხორციელებად დასახავდა.

3. გრასმანის მიერ წამოყენებული დისიმილაციის კანონის უდიდესი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობდა, რომ მისი საშუალებით ფონეტიკური საფუძველი მოეძებნა და აიხსნა რიგი გამონაკლისები, რომლებიც შეინიშნებოდა ხშულ თანხმოვანთა შესატყვისობებში სხვადასხვა ინდოევროპულ ენათა შორის. ამიერიდან ეს შესატყვისობანი მტკიცედ დადგენილ კანონზომიერებად იქცა. ეგვევ შეეხება კ. ვერნერის მიერ აღმოჩენილ კანონს გერმანული ყრუ სპირანტების გამჟღერების შესახებ, რამაც სრული კანონზომიერება დაამყარა ინდოევროპულ ხშულ თანხმოვანთა კომპლექსურ ფონეტიკურ ცვლილებათა ახსნაში, რომელიც „გრიმის კანონის“ სახით ჩამოყალიბდა¹.

აქამდე არსებული ახსნა შ — სქ შესატყვისობისა იმ ზოგად დებულებას ემყარებოდა, რომ სისინა-შიშინა თანხმოვნების შეფარდებაში ამოსავალი ვითარება სისინა ვარიანტს აქვს დაცული. მაშასადამე, შ — სქ შეფარდებაში აღდგება თავდაპირველი 'ს, რომელიც ქართულში შეიცვალა შ-თი, მეგრულ-ქანურში კი შენახულია, ოღონდ მის შემდეგ განვითარებულია ქ². ამის თაობაზე გ. როგავა წერს: „ზოგჯერ შეიმჩნევა საწინააღმდეგო შემთხვევა, როცა ზანურის სისინა ბგერებს ქართულში შეესატყვისება შიშინა

¹ შდრ. K. Verner, Eine Ausnahme der ersten Lautverschiebung: Zeitschrift für vergleichende Sprachforschung auf dem Gebiete der indogermanischen Sprachen. 23, 1877, გვ. 97 შმდ.

² არ ნ. ჩიქობავა, შედარებითი ლექსიკონი, გვ. 7 შმდ.

ბგერები. ასეთ შემთხვევაში ამოსავალი ვითარება ზანურს აქვს და-
ცული...

ასეთ შემთხვევაში ნაწილობრივი ცვლილება ზანურმაც განი-
ცადა სათანადო უკანანისძიერი (გ — ქ — კ) ბგერების განვითარე-
ბის სახით¹. ამავე ნაშრომში გ. როგავას მოყვანილი აქვს რამდე-
ნიმე რიგი, რომლებიც გამოიყოფა სპირანტებისა და აფრიკატე-
ბის შესატყვისობებიდან სამივე ენის მონაცემთა გათვალისწინებით.
ამ რიგების განხილვისას ბუნებრივად იბადება კითხვა, რატომ
მობდა ქართ. ვაშლი: ზან. უშქური: სვან. ჭისგჷ რიგის შესატყვი-
სობაში ამოსავალი /*ხ/ სპირანტის შიშინაში გადაწევა ზანურ
ფორმაში, მაშინ როდესაც ქართ. შენი: ზან. სქანი: სვან. ისგჷრ
რიგის მაგალითებში ზანურს, ისე როგორც სვანურს, ქართული-
საგან განსხვავებით, უძველესი ვითარება აქვს დაცული.

აპასთან დაკავშირებით ჩვენს ყურადღებას ის ფაქტი იქცევა,
რომ ამგვარი გადახრა ზანურისა და სვანურის მონაცემებში, რომ-
ლებიც სპირანტებისა და აფრიკატების შესატყვისობათა თვალსაზ-
რისით ერთ სიბრტყეზე დგანან და ქართულს უპირისპირდებიან,
სწორედ ისეთ კომპლექსში გვაქვს, რომელიც ქართულ /შ/ ფონე-
მის შესატყვისება (შდრ. აგრეთვე ქართ. შუა: ზან. შქა: სვან.
ი-სგა). რით უნდა აიხსნებოდეს ამგვარი გადახრები? რამ შეაპი-
რობა შ — შქ/შგ შესატყვისობის გვერდით შ — სქ/სგ შეფარდების
არსებობა?

თუ იმ დებულებიდან ამოვალთ, რომ შ — სქ/სგ შეფარდე-
ბაში პირველადია სქ/სგ (←ხ), ამდენადაც იგი სისინა სპირანტს
შეიცავს, უნდა დავუშვათ, რომ ქართულში, რომელიც სისინა
წრის ენაა, ეს სისინა /*ხ/ სპირანტი შესატყვისის შიშინაში გადავი-
და, მაშინ როდესაც ზანურსა და სვანურში, რომლებიც შიშინა
წრის ენებია, ამავე ფონემას არ მოუცია შიშინა რეფლექსი. ამ-
გვარი ფონეტიკური ცვლილება შეიძლებოდა მომხდარიყო, მაგრამ
იგი ვერ ჩაითვლებოდა სპონტანური ხასიათის ბგერათცვლილებად,
რამდენადაც ამ შემთხვევაში ჩვენ აუცილებლობით უნდა დავგვეშა
არსებული /*ხ/ ფონემისაგან (ე. ი. იმ ფონემისაგან, რომელიც ქარ-
თულში წარმოდგენილია /ხ/, ხოლო ზანურსა და სვანურში /შ/
სპირანტის სახით) ფონოლოგიურად განსხვავებული მეორე სისინა
სპირანტის არსებობა, რომელმაც ქართულში მოგვცა შიშინა /შ/
სპირანტი, ხოლო ზანურსა და სვანურში კანონზომიერი რეფლექსი
სქ/სგ კომპლექსის სახით. მაგრამ ამგვარი სპირანტის პოსტული-

¹ გ. როგავა, ხსენ. ნაშრ., გვ. 43.

რებისათვის ქართველურ კონსონანტურ სისტემაში ჩვენ საკმაო ფონოლოგიური საფუძველი არ მოგვეპოვება¹. მაშასადამე, გადასვლა შ ←/*ხ/ → სქ/სგ ქართველურ ენებში უნდა მომხდარიყო ნხოლოდ ფონეტიკურ ნიადაგზე, გარკვეულ ფონეტიკურ გარემოცვაში. რა იყო მიზეზი ამ ამოსავალი /*ხ/ სპირანტის სისინა წრის ენაში რიგ ფორმებში შიშინა სპირანტში გადასვლისა, ხოლო ში-შინა წრის ენებში სისინა სპირანტად დარჩენისა? ამაზე პასუხი არავის გაუცია; ალბათ იმიტომ, რომ ამგვარი ფონეტიკური პირობები, რომლებსაც უნდა განესაზღვრა ამოსავალი /*ხ/ ფონემის ქართულში /შ/-დ ქცევა და სქ/სგ კომპლექსში გადასვლა ზანურსა და სვანურში, არ არსებობს. ამგვარი /შ/ ქართულში, რომელიც თითქოს /*ხ/-დან მომდინარეობს და რომელიც ზანურსა და სვანურში სქ/სგ კომპლექსს გვაძლევს, გვხვდება ისეთსავე ფონეტიკურ გარემოცვაში, როგორშიც ის /ხ/ სპირანტი, რომელსაც ზანურსა და სვანურში შიშინა /შ/ ფონემა შეეფარდება. მეორე მხრივ, რა უნდა ყოფილიყო მიზეზი იმისა, რომ ზანურისა და სვანურის ფორმებში ამგვარად პოსტულირებულმა /*ხ/ სპირანტმა უკანაენისმიერი ხშული განიფითარა? აქაც კომბინატორული მიზეზებია საძიებელი. მაგრამ საქმე ისაა, რომ ამგვარი ფონეტიკური მიზეზები კომბინატორული ხასიათისა არა ჩანს: სქ/სგ კომპლექსი ზანურ-სვანურში ისეთ ფონეტიკურ გარემოცვაში გვხვდება, რომელიც ქართული /ხ/ ფონემის შესატყვისად არსებული შიშინა /შ/ სპირანტისათვის დასტურდება რიგ ფორმებში.

ამგვარი ორმხრივი შედარების საფუძველზე განიორიცხება ქართული /შ/ ფონემის შესატყვისად დადასტურებული სქ/სგ კომპლექსის წარმომავლობა თავდაპირველი /*ხ/ სპირანტისაგან. ამ მხრივ მეტად დამახასიათებელია ის გარემოება, რომ ზანურსა და სვანურში არ არსებობს პირველადი სქ/სგ კომპლექსი, რომლის შესატყვისად ქართულში /ხ/ სპირანტი იყოს წარმოდგენილი. უკანაენისმიერი ხშული ზანურსა და სვანურში დასტურდება მხოლოდ ისეთ /ხ/ სპირანტთან, რომლის შესატყვისად ქართულში /შ/ სპირანტი გვაქვს. მაშასადამე, ამ მხრივ სრული იდენტობა არსებობს იმ თავდაპირველ შიშინა სპირანტთან, რომელიც ზანურსა და სვანურში უკანაენისმიერ ხშულს იჩენს და რომელიც ქართულში ში-

¹ ამგვარივე შესატყვისობანი უნდა ჰქონოდა ქართველურ ენებში ამავე რიგის მეორე წევრს, მკლერ /*ჟ/ ფონემას. ანალოგიური სურათი მოსალოდნელი იქნებოდა ასეთ შემთხვევაში სისინა აფრიკატთა რიგის ყველა წევრის მიმართ.

ამავე მიზეზების გამო ჩვენ ვერ დავუშვებთ ორი განსხვავებული რიგის არსებობას ში შინა სპირანტებსა და აფრიკატებში.

შინა /შ/ სპირანტის სახით არის წარმოდგენილი. ეს გარემოება გადამწყვეტია შ — შქ/შგ და შ — სქ/სგ შესატყვისობათა სწორ წესდებაში. რანდენადაც ქართ. /შ/ ფონემის შესატყვისად ხმარებული სქ/სგ კომპლექსის წარმომავლობა თავდაპირველი სისინა სპირანტისაგან გამორიცხულია, რჩება ერთი შესაძლებლობა — შქ/შგ და სქ/სგ კომპლექსთა ერთ სიბრტყეზე დაყენება და მათი მიჩნევა თავდაპირველი შიშინა /შ/ სპირანტის კანონზომიერ რეფლექსად ზანურსა და სვანურში. ეს შიშინა სპირანტი ქართულში დარჩა უცვლელად, ხოლო ზანურსა და სვანურში მან განივითარა უკანაენისმიერი ხშული თანხმოვანი. მაშასადამე, იმ შემთხვევაშიც, როდესაც ქართული /შ/ სპირანტის შესატყვისად ზანურსა და სვანურში სქ/სგ კომპლექსი დასტურდება, ამოსავალი ისევ ქართულის ვითარება, როგორც ამას ადგილი აქვს შ — შქ/შგ შეფარდებაში¹.

შქ/შგ და სქ/სგ კომპლექსთა ერთი და იმავე ფონემის რეფლექსებად მიჩნევა, ერთი და იმავე რიგის მოვლენად განხილვა ბუნებრივად სვამს საკითხს მათ შორის არსებული სხვაობის შესახებ. რა მიზეზებმა შეაპირობა ამგვარი სხვაობა, რით არის გამოწვეული ამ კომპლექსთა სისინა და შიშინა ვარიანტების არსებობა, თუკი ისინი ზანურსა და სვანურში ერთი და იმავე ფონემის რეფლექსებად გვევლინება, რომელიც ქართულში შიშინა /შ/ სპირანტის სახით არის წარმოდგენილი? რანდენადაც შქ/შგ და სქ/სგ კომპლექსები ერთი და იმავე ფონემის რეფლექსებად ივარაუდება, ნათ შორის არსებული სხვაობა, ბუნებრივია, მეორეული ხასიათისა უნდა იყოს, იმ ფონეტიკური გარემოცვით შეპირობებული, რომელშიც ამოსავალი /შ/ ფონემა იხმარებოდა². შ — შქ/შგ შეფარდების დისტრიბუციული ანალიზის³ შედეგად ვრწმუნდებით, რომ შქ/შგ კომპლექსის ჩამოყალიბება თავდაპირველი შიშინა /შ/ ფონემისაგან სპონტანური ბუნებისაა და არ არის გამოწვეული კომბინატორული ხასიათის ფონეტიკური მიზეზებით. სულ სხვა სურათი ვლინდება ამ თვალსაზრისით სქ/სგ კომპლექსის შემთხვევაში: იგი შეეფარდება ქართულში ისეთ შიშინა /შ/ სპირანტს, რომელსაც, როგორც წესი, ბაგისმიერი /ვ/

¹ ის ერთადერთი შემთხვევა, როდესაც ქართული /შ/ სპირანტის შესატყვისად /ხ/ გვაქვს ზანურსა და სვანურში (შდრ. ქართ. შენ: ხან. ხე; სვან. ხე), ამავე რიგის მოვლენა (ამის შესახებ იხ. ქვემოთ).

² შდრ. ს. ქლენტი, კანურ-მეგრულის ფონეტიკა, თბილისი, 1953, გვ. 91.

³ დისტრიბუციული ანალიზის შესახებ იხ. Zellig S. Harris, *Methods in Structural Linguistics*, Chicago, 1955, გვ. 5 შდრ.

ან /ფ/ ფონემა მოსდევს¹. ეგვე შეეხება ქართ. /ჯ/ ფონემის შესატყვისებს ზანურსა და სვანურში, რომელსაც აქ ძგ/ზგ კომპლექსი შეეფარდება:

ქართ. /შვ/ფ/ — ზან. /სქვ/ — სვან. /სგფ/:

ქართ. შუ-ენ-ი-ს; შუ-ენ-ი-ერ- „მშვენიერი“: ქან. მეგომსქუ „გშვენიის“; მ-სქე-ა < მ-სქე-ან „ლამაზი, მშვენიერი“; მეგრ. მოსქუ(ნ) < მ-ო-სქე-უ-(ნ) „მშვენიის“, სქეამ-ი „ლამაზი“ (ლექსიკონი, გვ. 230; 315); სვან. ბქე. ხ-ე-სგუიჭ „შვენიის“, მუსგუენ „მშვენიერი“, ბხ. მა-სგუ-ა „შესაფერისი, სარგო“.

ქართ. შვ-ელ-ი: ქან. მ-სქე-ერ-ი || მ-სკე-ერ-ი, მეგრ. სქე-ერ-ი (იქვე, გვ. 91); შდრ. ოსურ. sk'e².

ქართ. შა-შ-ე-ი < *შა-შ-ე-ი (ძვ. ქართ. შაშვ): ქან. მ-ზე-სქ-უ < *მ-ზე-სქ-ე-ი, მეგრ. ზე-სქ-ე-ი (იქვე, გვ. 105).

ქართ. შვ-ილ-ი: ქან. სქ-ირ-ი || სკ-ირ-ი < *სქე-ირ-ი „შვილი“, მეგრ. სქ-ი < სქ-ირ-ი < *სქე-ირ-ი „ვაჟიშვილი (საქებური)“ (იქვე, გვ. 21).

ქართ. /ჯფ/ — ზან./ძგვ/ — სვან. /სგფ/:

ქართ. მა-რჯუ-ენ-ე: მეგრ. მა-რძგვ-ან-ი; სვან. ლე-რსგუ-ენ.

ქართ. ჯვ- „გარეთ გასვლა“, „исправляться“: მეგრ.-ქან. ძგვ- (იქვე, გვ. 388); სვან. სგ- < *სგუ-; ჩბხ., ლხმ. ლა-სგ-არ „საპირფარეშო“.

ქართული შვ-ილ-ი: ზან. სქე- ფორმები ადასტურებს იმ დებულებას, რომ ქართული /შვ/ კომპლექსის შესატყვისად არსებული /სქვ/ კომპლექსი ზანურში არ უნდა წარმოადგენდეს შიშინა /*შ/ სპირანტისაგან რაღაც განსხვავებული ფონემის რეფლექსს. საგულისხმო აბ მხრივ ის არის, რომ ქართული /შვ/ კომპლექსი ამ ფორმაში მეორეულია და მიღებულია თაუდაპირველი შვე- ძირისაგან (შდრ. მე ვ-შვე, შენ ჰ-შვე, მან შვ-ა) ძირისეული ე-ხმოვნის რედუქციის შედეგად: შდრ. ქართ. შვ-ა < *შვე-ა: მეგრ. ქოსქუ < *ქო-სქე-უ, ქან. ქოდოსქუ < *ქო-დო-სქე-უ „კვერცხი დადო“; მეგრ. მასქუალი ქოთომი „ქათამი, რომელიც კვერცხსა დებს“ (ლექსიკონი, გვ. 315 შმდ.). ეგვე შეეხება შა-შ-ე-ი: ქან. მ-ზე-სქ-უ, მეგრ. ზე-სქ-ე-ი ფორმებს, რომლებშიც არან ჩიქობავა

¹ [ვ] და [ფ] ბგერებს შორის განსხვავება ისტორიულად პოზიციურ ხა-სიათს ატარებდა. წარმოშობით ისინი ერთი და იმავე ფონემის კომბინატორულ ვარიანტებს წარმოადგენენ, რომელთაც დროთა ვითარებაში ფონოლოგიზაცია განიცადეს. ძვ. ქართულში ისინი უკვე ფონემურ ერთეულებად გვევლინება.

² В. И. Абаев, *Мегрелизмы в осетинском*. Осетинский язык и фольклор, М.—Л., 1949, გვ. 327.

გამოყოფს ძირეულ -შ- თანხმოვანს და -ვ- დეტერმინანტ-სუ-
ფიქსს¹.

ქართული შვ/ჟ კომპლექსის ზანურ-სვანურ სქვ/სვჟ კომ-
პლექსთან შედარება ნათლად წარმოგვიდგენს სქ/სვ კომპლექ-
სის ბუნებასა და გენეზისს. ქართული /შ/ ფონემის კანონზომიერ
შესატყვისად ზანურსა და სვანურში უნდა მიგველო შქ/შვ კომ-
პლექსი, რომელიც ბაგისმიერ ვ/ჟ ფონემასთან უშუალო კონტაქტში
შესატყვის სისინა ვარიანტში გადადიოდა: ქართ. /შ/: ზან. /შქ/
სვან. /შვ/, მაგრამ ქართ. შვ/ჟ: ზან. /შქვ/ → /სქვ/: სვან. /შვტ/ →
/სვტ/ - ეგვევ შეეხება /ჯვ/ — /ძვ/ კომპლექსთა ურთიერთობას:
'ძვ/ კომპლექსი მიღებულია ზანურსა და სვანურში თავდაპირველი
კანონზომიერი /ჯვ/ კომპლექსისაგან მომდევნო ვ/ჟ ფონემის გავ-
ლენით: ქართ. ჯვ/ჟ: ზან. /ჯვვ/ → /ძვვ/ (სვან. /ავტ/). მაშასა-
დამე, შქ/შვ და სქ/სვ კომპლექსთა შეფარდებაში ამოსავალია
შქ/შვ კომპლექსი, რომელიც შიშინა /შ/ სპირანტის კანონზომიერ
რეფლექს წარმოადგენს დასავლურ-ქართველურ ენებში, ხოლო
სქ/სვ მიღებულია პირველადი შქ/შვ კომპლექსისაგან გარკვეულ
ფონეტიკურ გარემოცვაში, სახელდობრ, ბაგისმიერ ვ/ჟ ფონემას-
თან უშუალო კონტაქტში.

§2. ამ დებულების საფუძველზე საშუალება გვქმევა ამ ფონე-
ტიკური პროცესის რელატიური ქრონოლოგიის დადგენისა ქართ-
ველურ ენებში. იგი უნდა დაწყებულიყო მას შემდეგ, რაც მოხდა
თავდაპირველი შიშინა სპირანტისა და აფრიკატების გადაწევა,
ანუ მათ რეფლექსებად შესატყვისი შიშინა-ხშულთანხმოვიან კომ-
პლექსთა ჩამოყალიბება, რამდენადაც ქართველურ ენებში არ დას-
ტურდება მაგალითები /შტ/ → /სტ/ რიგის გადაწევებისა. მაშასა-
დამე, ის ფონეტიკური პროცესი, რომელიც სქემატურად შეიძლება
შქ/შვ-ვ/ჟ → სქ/სვ-ვ/ჟ ფორმულის სახით წარმოვიდგინოთ,
საკუთრივ ზანური და სვანური რიგის მოვლენაა, მხოლოდ ამ
ენათათვის დამახასიათებელი ფონეტიკური პროცესი. ამ მხრივ
მეტად მნიშვნელოვან მონაცემებს გვაწვდის სვანური ენა, სადაც
აშკარად შეინიშნება ტენდენცია თუნდაც მეორეული წარმო-
შობის /შვ/ კომპლექსის შესატყვის სისინა /სვ/ კომპლექსში გა-
დასვლისა, თუკი მასთან უშუალო კონტაქტში მომდევნო ბაგის-
მიერი ჟ/უ ფონემა აღმოჩნდა. სვანურის მონაცემები ამ მხრივ
რიგ შემთხვევაში ზანურისაგან დამოუკიდებელ ხასიათს ატარებს,
რაც გვაპარაუდებინებს ამ ფონეტიკური პროცესის მოქმედებას სა-

¹ არ ნ. ჩ ი ქ ბ ა ვ ა, შედარებითი ლექსიკონი, გვ. 105.

კუთრივ სვანურში, მისი დამოუკიდებელი განვითარების გარკვეულ პერიოდში.

აქ წარმოდგენილი დებულება სვანურის შემდეგ მონაცემებს ემყარება:

1. ქართული ვაშლ-ი ზანურში კანონზომიერად შეესატყვისება. ოშქ-ურ-ი || ოშქ-ურ-ი || უშქ-ურ-ი ფორმებს. თავკიდური ბაგისმიერი ვ-ს გავლენით ო → უ. ქართ. -ნალ- დეტერმინანტი კანონზომიერად შეეფარდება ზან. -ორ → -ურ სუფიქსს (შდრ. ლექსიკონი, გვ. 121). სვანურში ამ ფორმათა შესატყვისად გვაქვს ბზ. ჟისგ-ჟ, ლშხ. უსკ-ჟ. სვანურ ფორმაში გამოიყოფა -ჟ დეტერმინანტი-სუფიქსი¹ (შდრ. ძალ-ლ-ი: მეგრ. ჯოდ-ორ-ი: სვან. მიც. ბრ. ჟალ-ჟ), რომლის გავლენით ქართ. /შ/ სპირანტის შესატყვისად მოსალოდნელი კანონზომიერი /შგ/ კომპლექსი სისინა /სგ/ კომპლექსში გადავიდა².

2. ქართ. ექვს-ი (ძვ. ქართ. ექუს): ქან. აშ-ი || ანშ-ი, მეგრ. აშვ-ი: სვან. უსგჷ-ა; მწ-ჟსგჷ-ე „მეექვსე“. ქანურ ფორმაში დაკარგულია -ვ-: აშ-ი || ანშ-ი < *აშვ-ი || *ანშვ-ი. მეგრ.-ქან. მ || ნ განვითარებულია შ-ს წინ³, რომელიც ქართული /ს/ თანხმოვნის კანონზომიერი შესატყვისია.

ზანურ ფორმათა გათვალისწინებით ამ რიცხვითი სახელის არქეტიპი აღდგება როგორც *ექსჷ-, რომელმაც მოგვცა ისტორიულად დამოწმებული ქან. აშ-ი < *აშვ-ი: -ქს- კომპლექსი ზანურში გამარტივდა -ქ- თანხმოვნის დაკარგვის შედეგად (შდრ. ქსოვს: ქან. შუმს, მეგრ. შუნს)⁴. სვანურ ფორმაში მოსალოდნელი /შ/ სპირანტის ნაცვლად გვაქვს /ს/. სვანური უსგჷ-ა ფორმა ამოსავალი *უქსჷ-ფორმისაგან უნდა მომდინარეობდეს. ამ ფორმებში (ე-ქსჷ- || უ-ქსჷ-) შესაძლებელია ისეთსავე მონაცვლეობასთან გვეკონდეს საქმე, როგორც ქართ. ე-რთ- || უ-რთ- ან სვან. ე-შხუ „ერთი“, უ-შხუდ „ერთად“, უ-შხჷ-არ „ერთმანეთს“ ფორმების შემთხვევაში⁵. ეს ამოსა-

¹ -ჟ დეტერმინანტი-სუფიქსის შესახებ სვანურში იხ. ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ფუძის აგებულება, გვ. 85 შმდ.

² სვანური ფორმის ვოკალიზმისათვის: *ჟისგ-ჟ > (ჟ)უსგ-ჟ > ჟისგ-ჟ იხ. Г. И. М а ч а в а р я н и, *Случаи л а б и а л и з а ц и и г л а с н о г о „а“ в с в а н с к о . м я з ы к е* (Сообщения АН Груз. ССР, XVII, 4, 1956, გვ. 366).

³ ამგვარი მ || ნ თანხმოვნის განვითარების შესახებ მეგრულ-ქანურში იხ. ს. ქ ღ ე ნ ტ ი, ქანურ-მეგრულის ფონეტიკა, თბილისი, 1953, გვ. 91 შმდ.

⁴ ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, შედარებითი ლექსიკონი, გვ. 216.

⁵ შდრ. ივ. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, თბილისი 1954, გვ. 292. თავკიდური უ-ხმოვნის გაჩენა ამ სვანურ ფორმაში ე-ხმოვნის ნაცვლად, რომელიც დამახასიათებელია ქართული და ზანური (ა — ე) ფორმებისათვის, შესაძლებელია აგრეთვე მომდევნო ბაგისმიერი ჟ-ს გავლენით აიხსნებოდეს; შდრ. ი მ ჯ ჯ ა ე ი || უ მ ჯ ჯ ა ე ი „როგორც“

ვალი *უქსტ- ფორმა სვანურში მოგვეცემდა *უქშტ- ფორმას. -ქშ- კომპლექსში მომხდარი მეტათეზისის შედეგად მივიღეთ სვანურისათვის მეტად ბუნებრივი დეცესიური რიგის შქ→შგ კომპლექსი: *უქშტ-ა >*უშგტ-ა¹. -შგ- კომპლექსის გასისინების შედეგად მომდევნო ბაგისმიერი ტ-ს გავლენით ჩამოყალიბდა სვანურში ისტორიულად დამოწმებული უსგტ-ა ფორმა.

3. ქართ. თქუე-ნ-ი: მეგრ.-ქან. თქვა-ნ-ი: სვან. ი-სგტე-ჲ. მეგრ.-ქანური თქვა-ნ-ი კუთვნილებითი ნაცვალსახელის ფორმა ქართული თქუე-ნ-ი ფორმის კანონზომიერი შესატყვისია. სვანურ ფორმაში გაუგებარია /ს/ სპირანტის გაჩენა ქართული და ზანური /თ/ ფონემის შესატყვისად. ქართულ /თ/-ს სვანურში შესატყვისება /თ/ ფონემა: შდრ. ქართ. თხ-ელ-ი, ქან. თი-თხ-უ, მეგრ. თხი-თხ-უ: სვან. დღ-თხ-ელ²; ქართ. თეთრ-ი: სვან. თქეთნე || თეთუნე; ნ-თთუნ-ი „სითეთრე“³. ამგვარი შეფარდების საფუძველზე მოსალოდნელი იყო ქართ. თქუე-ნ- ნაცვალსახელის შესატყვისად სვანურში თქტ- კომპლექსიანი ფორმა ანლაუტში, მით უმეტეს, რომ -თქ(ტ)- კომპლექსიანი ფორმები დასტურდება სვანურში: შდრ. მითქტ „ჩვევა“, ითქ „მარცვალი“ და სხვ.

მაშასადამე, თქტე-ნ- ნაცვალსახელში თავიკიდური თ- თანხმოვანი არ ასახავს იმ ფონემას, რომელსაც სვანურში /თ/ შეესატყვისება. გვრჩება მეორე შესაძლებლობა: ნაცვალსახელურ თქტე-ნ-ფორმაში წარმოდგენილია ის ფონემა, რომლის შესატყვისად სვანურში -შდ- კომპლექსი გვაქვს: შდრ. ქართ. ათი: სვან. ეჟშდ; ქართ. და-თ-ვი; ქან. მ-თუ-თ-ი, მეგრ. თუ-ნ-თ-ი; სვან. დშ-შდ-ტ ||

(ა. შ ა ნ ი ძ ე დ ვ. თ ო ფ უ რ ი ა, სვანური პროზაული ტექსტები, თბილისი 1939, გვ. 272_{აბ}), იმჭა>უ მ ტ ჰ ა (იქვე, გვ. 294_{აბ}) (შდრ. ს. ქ დ ე ნ ტ ი, სვანური ვნის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, თბილისი, 1949, გვ. 116). უ-ხმოვნის მიღების შესახებ სვანურში ბაგისმიერი თანხმოვნის გავლენით იხ. გ. მაჭავაძე რ ი ა ნ ი, ხსენ. ნაშრომი, გვ. 36 შმდ.

¹ მეტათეზისის გზით აქცესიური რიგის კომპლექსთა სუპერაციის შესახებ იხ. გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბილისი, 1949, გვ. 334 შმდ. აქცესიური -ქშ- კომპლექსის სუპერაციის შედეგი უნდა იყოს აგრეთვე ქ კომპონენტის დაკარგვა ქან. ა შ ვ-ი ფორმაში, რომელიც *ქ ქ ს ტ- ფორმისაგან მომდინარეობს. ქართული ე ქ უ ს < *ე ქ ს ტ- ფორმაში მომხდარი მეტათეზისიც აქცესიური -ქხ- კომპლექსის სუპერაციით უნდა აიხსნებოდეს. ირკვევა, რომ ერთსა და იმავე *ე ქ ს ტ- ფორმაში ქართველურ ენათა მიხედვით სხვადასხვა ფონეტიკურ პროცესებს ჰქონდა ადგილი იმ ზოგადი ფონეტიკურ-ფიზიოლოგიური ტენდენციის განსახორციელებლად, რომელსაც გ. ახვლედიანმა ა ქ ე ს ი უ რ კ ო მ პ ლ ე ქ ს თ ა ს უ პ ე რ ა ც ი ა უწოდა.

² ა რ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ფუძის აგებულება, გვ. 177.

³ იქვე, გვ. 245.

ლშხ. დე-შდ-ჟ; ქართ. თხ-ილ-ი: სვან. შდიხ; ძვ. ქართ. თ-თუე- II თუ-თ-ე „თვე“; მეგრ.-ქან. თუ-თ-ა „თვე; მთვარე“: სვან. დო-შდ-ულ „მთვარე“; ქართ. თავჯ: სვან. შდუგჟ და სხვ.¹ მაშასადამე, თქუე-ნ- ნაცვალსახელის კანონზომიერ შესატყვისად სვანურში უნდა გვქონოდა *შდქუე-. ანლაუტში ოთხთანხმოვნიანი ბგერათკომპლექსის თავიდან ასაცილებლად ჩავარდა -დ- თანხმოვანი², რის შედეგადაც ჩამოყალიბდა სვანურისათვის მეტად ბუნებრივი დეცესიური რიგის -შგ- კომპლექსი, რომელიც მომდევნო ბაგისმიერი ჟ-ს გავლენით შესატყვის სისინა -სგ- კომპლექსში გადავიდა. ანლაუტში მოქცეულ სგჟ- < შგჟ- კომპლექსს დაერთო პროთეტული ი-ხმოვანი³, რის შედეგადაც მივიღეთ ისტორიულად დამოწმებული ი-სგჟუ- ფორმა როგორც ქართ. თქუე-ნ-, მეგრ.-ქან. თქვა-ნ- ფორმათა კანონზომიერი შესატყვისი.

ეგვევ შეეხება სვან. სგჟა „თქვენ“ პირის ნაცვალსახელის წარმომავლობას; სგჟა იმავე თქუე-ნ ფორმას შეესატყვისება. სვანური ფორმის ვოკალიზმი და ჟ-ს გაუჩინარება (*სგჟუ- > სგჟა) განსაზღვრა პირველი პირის ნჟა „ჩვენ“ ნაცვალსახელთან ანალოგიამ.

4. ქართული შუბ-ლ-ი ფორმის შესატყვისია სვანურში ბზ. სგჟუბ-ინ, ბქვ. სგჟბ-ინ „წინ“⁴. *შუბ- ფუძის კანონზომიერი შესატყვისი სვანურში უნდა ყოფილიყო *შქუბ- > *შგჟბ- ფორმები.

¹ ვ. თ. ფ. უ. რ. ი. ა, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, 1: „მიმომხილველი“, თბილისი, 1926, გვ. 201 შმდ.; შდრ. ა. რ. ნ. ჩ. ი. ქ. ო. ბ. ა. ვ. ა, ფუძის აგებულება, გვ. 174 შმდ.

² შდრ. ღ-ს დაკარგვა -რდგ- კომპლექსში: უ რ დ გ ი ლ „უადგილო“, მაგრამ უ რ გ ი ლ ა რ გ ი ლ ა ს „უადგილო ადგილას“ (ა. შ ა ნ ი ძ ე, ვ. თ. ფ. უ. რ. ი. ა, მ. გ. უ. ჯ. ე. ჯ. ი. ა. ნ. ი, სვანური პოეზია. I. თბილისი, 1939, გვ. 194_გ). ღ-ს ჩავარდნის შემთხვევები ბგერათკომპლექსში დასტურდება აგრეთვე ლახამულურში ნ ზ - ბ ნ ე რ ი, შდრ. ნ ა ბ დ ნ ი ე რ ი (ლშხ.) „ნაბდნიერები“; ლ გ მ ე რ დ ე, შდრ. ლ ე გ დ მ ე რ დ ე (ჩბხ.) „აუადმკოფი“ (მ. ქ ა ლ დ ა ნ ი, სვანური ენის ლახამულური კილოკავის ფონეტიკური თავისებურებანი: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, VII, 1955, გვ. 173).

³ სვანურისათვის უცხოა ანლაუტში თანხმოვანთა ერთად შეყრა. ამის თავიდან ასაცილებლად ენა ხშირად ამგვარ ფორმებში პროთეტულ ხმოვანს აჩენს: შდრ. ქართ. შე-ნ-ი, მეგრ.-ქან. ს ქ ა ნ-ი: სვან. ი-ს გ უ ო ი-ს გ ჟ-ი, ქართ. შ უ ა; მეგრ.-ქან. შ ქ ა: სვან. ი-ს გ ა (შდრ. ს. ე. ლ. ე. რ. ი, სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, თბილისი, 1949, გვ. 189 შმდ.).

⁴ ს გ ჟ ე ბ-ი ნ ო ს გ ე ბ-ი ნ ფორმაში -ენ ნაწილაკი იმავე რიგისაა, რაც ქართ. გ უ შ-ი ნ, -მდ-ი ნ ფორმებში (შდრ. ვ. თ. ფ. უ. რ. ი. ა, ნ და ხ ფენებისათვის ქართველურ ენებში: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. 11, № 1-2, 1941, გვ. 192).

მომდევნო უ-ს გავლენით თავიიდური შგ- კომპლექსი გადავიდა შესატყვისის სისინა ვარიანტში: *შგუბ-ინ > *სგუბ-ინ. *სგუბ- ფუძეს შეენაცვლა სგომ- ფორმა (შდრ. ლშხ. სგომ-ინ)¹. სგომ-ინ ფორმაში ო-ხმოვანმა მომდევნო ი-ს გავლენით გამოწვეული უმლაუტის შედეგად განიცადა დიფთონგიზაცია², და მივიღეთ სგუბ- ფუძე, რომელიც წარმოდგენილია ისტორიულად დამოწმებულ ბალსზემოურ ფორმაში³. ბალსქვემოურში -ჟე- დიფთონგის. გამარტივების⁴ შედეგად მივიღეთ სგუბ-ინ ფორმა.

5. -ეშგ- და -ესგ- სუფიქსები გამოიყოფა სვანურ ზმნაში როგორც დროთა პირველი ჯგუფის თემატური ნიშანი. ამათგან -ეშგ- სუფიქსი აწმყოს ფუძეში ამჟამად მხოლოდ ერთ ზმნაში გვხვდება: ბზ. ხოდ-ეშგ-ი, ბქვ. ხოდ-ეშგ, ლშხ. ხოდ-ეშ „ართმევს“ — ზ. სვ. ლშხ. ოთ-ღ-ე (< *ად-ხოდ-ე) „წაართვა“; ნამყო უსრ. ხოდ-ეშგ-დს. „ვართმევდი“, ხოდ-ეშგ-და „ართმევდა“⁵. -ესგ- სუფიქსი ზმნის აწმყოს ფუძეში შედარებით უფრო გავრცელებულია, რამდენიმე ზმნაშია დამოწმებული დროთა პირველი ჯგუფის ფორმებში: ბზ. დ-ჟ-ესგ-ი „ღღებ“ — ნ. უსრ. დ-ჟ-ესგ-დს; ად-ესგ-ი „მიაქვს, მიყავს“ — ნ. უსრ. ად-ესგ-და; ხხჟ-ესგ-ი „ახვედრებს (ნიშანს)“ — ნ. უსრ. ხხჟ-ესგ-და. ბალსქვემოურში -ესგ- სუფიქსის პარალელურად -ისგ არის გამოყენებული: ხჟ-ესგ || ხჟ-ისგ „ვარჩენ (მაგ. ოჯახს); მიმაქვს, წავიღებ“ — ნ. უსრ. ხჟ-ად-ესგ-ჟ; ად-ისგ (შდრ. ბზ. დ-ესგ-ი) „ღღებს“ — ნ. უსრ. ად-ესგ-ჟ (|| ად-ესგ-ჟ)⁶. გ. მაქავარიანის ღიერ გამოთქმული იყო აზრი იმის შესახებ, რომ -ესგ- (> || -ისგ-) სუფიქსი როგორც აწმყოს თემატური ნიშანი ძველად

¹ უ — ა პროცესისათვის სვანურში შდრ. ქართ. ხ-ჟ-ც-ე-ს-ი, მგრ. უ-ჩ-ა-შ-ი: სვან. ხ-ა-შ-ა.

² ა ხმოვნის უმლაუტის შესახებ იხ. ა. შანიძე, უმლაუტი სვანურში: ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, I, თბილისი, 1957, გვ. 367 შმდ.

³ აქვე საჭიროა აღინიშნოს, რომ მეორეული ჟ ბგერის წინ, ე. ი. ან უ ხმოვნის უმლაუტის შედეგად მიღებული დიფთონგისეული ჟ-ს წინ, -შგ- კომპლექსი არ განიცდის გასისინებას: შდრ. ი შ გ ჟ ე მ „ითხოვს“: ნ. უსრ. ი-შ გ ო მ-და ა; ლ ა-შ გ ო მ „სათხოვი“ და სხვ. შგჟ- > ხგჟ- ფონეტიკური პროცესი, როგორც ჩანს, აღარ მოქმედებდა იმ პერიოდში, როდესაც დაიწყო ა და უ ხმოვნების დიფთონგიზაცია უმლაუტის შედეგად, რაც თანამედროვე სვანური დიალექტებისათვის არის დამახასიათებელი.

⁴ ამგვარი ფონეტიკური მოვლენის შესახებ სვანურში იხ. ვ. თოფურია, კვლავ უმლაუტისათვის სვანურში: თბილისის უნივერსიტეტის მოამბე, VIII, 1928, გვ. 337 შმდ.; შდრ.ს. ქ ღ ე ნ ტ ი, ხსენ. ნაშრ., გვ. 109 შმდ.

⁵ ვ. თოფურია, სვანური ენა. I. ზმნა, თბილისი, 1931, გვ. 167.

⁶ ვ. თოფურია, ხსენ. ნაშრ., გვ. 93.

უფრო გავრცელებული უნდა ყოფილიყო სვანურში¹. ბალსზემოურში დღესაც შეინიშნება ტენდენცია აწმყოს ფუძეში -ნგ- და -ნშგ- სუფიქსების უგულბელყოფისა: შდრ. ი-დ-ი || ი-დ-ნგ-ი „იდებს, იცვამს“; ხოლ-ი || ხოლ-ნშგ-ი „ართმევს“². რით უნდა აიხსნებოდეს -ნშგ- და -ნგ- სუფიქსების პარალელური არსებობა სვანურში? ბუნებრივია, რომ ისინი ჩვენ ერთი და იმავე სუფიქსის ვარიანტებად მივიჩნით. ამოსავალ ფორმად ჩვენ -ეშგ- სუფიქსი გვესახება. როდესაც -ეშგ- სუფიქსით გაფორმებული აწმყოს ფუძე ნამყო უსრულში, რომელიც აწმყოს ფუძისაგან იწარმოება, ნამყო უსრულის მაწარმოებელ -ჟ ფორმანტს დაირთავდა³, ვიღებდით -აშგ-ჟ || -წშგ-ჟ კოპლექსს⁴, რომელიც კანონზომიერად -ასგ-ჟ || წსგ-ჟ კოპლექსში გადადიოდა. ნამყო უსრულში -ღა¹ სუფიქსის დართვისას, რომელიც, როგორც ჩანს, უფრო იშვიათად იყო გამოყენებული -ჟ სუფიქსთან შედარებით, -ეშგ- || -აშგ- || -წშგ- სუფიქსი უცვლელი რჩებოდა. ამგვარად, აწმყოს ფუძეში თემის ნიშნად მხოლოდ -ეშგ- ელემენტი იყო წარმოდგენილი, მაშინ როდესაც ნამყო უსრულის ფორმებში ზმნის ფუძე ხან -აშგ- || -წშგ- და ხან -ასგ- ||

¹ გ. მაკავარიანი, ნამყო უსრული სვანურში და მისი ადგილი ქართველურ ენათა უღვლილების სისტემაში: სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის 1957 წლის სამეცნიერო სესიის მოხსენებათა თეზისები, გვ. 11 შიდა.

² ვ. თ. ფურია, ხსენ. ნაშრ., გვ. 167.

³ სვანურში რამდენიმე პირველადი ნამყო უსრულის მაწარმოებელი სუფიქსი გამოიყოფა: -ა (-ე თემისნიშნით ფორმებში), -ღა (თანამოწმით დაბოლოებულ ზმნათა ფორმებში), -ჟნ (ნულსუფიქსიან ზმნათა რიგ რელატიურ-გარდაუვალ ფორმებში) და -ჟ ფორმანტი. ამთგან -ჟ სუფიქსი ანუჟადა მხოლოდ ბალსქვემოურ კილოკაეებში, განსაკუთრებით ეცერულში, გვხვდება (შდრ. ვ. თ. ფურია, ხსენ. ნაშრ., გვ. 89 შიდა). -ღა! სუფიქსიანი ტიპი ამაჟამად ფართოდ არის გავრცელებული ბალსზემოურსა, ლენტეხურსა და, განსაკუთრებით, ბეჩოურში, მაშინ როდესაც ეცერულისა და ლახამულურისათვის იგი ნაკლებ დამახასიათებელია. ამგვარი განაწილება -ჟ და -ღა! სუფიქსებისა სვანურ დიალექტებში მეორეული მოვლენა უნდა იყოს და აიხსნებოდეს ძველთაგანვე ყველა სვანურ დიალექტში მეტნაკლებად არსებული -ჟ და -ღა! სუფიქსების უნიფიკაციის ტენდენციით სხვადასხვა დიალექტების მიხედვით (იხ. გ. მაკავარიანი, ხსენ. ნაშრომი, გვ. 11 შიდა).

⁴ -აშგ-ჟ || -წშგ-ჟ ელემენტები ნამყო უსრულში აწმყოში წარმოდგენილი -ეშგ- სუფიქსის ნაცვლად იმავე ხმოვანთმონაცვლეობის შედეგადაა მიღებული, რომელიც სხვა ფორმებშიც დასტურდება: შდრ. ბზ. ა გ ე მ „აგებს“ — ნ. უსრ. ა გ ვ მ-და < *აგამ-ი-და; ა ბ ე მ „აბამს“ — ნ. უსრ. ა ბ ვ მ-და < *აბამ-ი-და. აჟ, საფიქრებელია, ერთგვარ აბლაუტთან უნდა გვექონდეს საქმე (შდრ. ვ. თ. ფურია, სახელთა დაბოლოების ისტორიისათვის სვანურში: თბილისის უნივერსიტეტის მოამბე, VII, 1927, გვ. 310 შიდა; მისი ვე, სვანური ენა. 1. ზმნა, თბილისი, 1931, გვ. 80 შიდა).

3. თ. გამყრელიძე

-სგ- სუფიქსის სახით გკველინებოდა იმისდა მიხედვით, თუ ნამყო უსრულის რომელი მაწარმოებელი ელემენტი ერთვოდა ზმნის ფუძეს. წარმოიშვა ერთგვარი დარღვევა -*ეშგ*- სუფიქსით გაფორმებული ზმნის პარადიგმისა. ამის თავიდან ასაცილებლად ენაში მოხდა ანალოგიური ტრანსგრესია -*ესგ*- ხუფიქსისა აწმყოს ჯგუფის იმ ზმნურ ფორმებში, რომელთა -*ეშგ*- თემის ნიშანი ნამყო უსრულში კანონზომიერად -*ასგ*-*ჟ* || -*სგ*-*ჟ* კომპლექსს გვაძლევდა მომდევნო -*ჟ* ფორმანტის გავლენით. $A/a : x$ შეფარდება შეიცვალა სიმეტრიული $A : B/a : x$ პროპორციით. რამდენადაც x შემთხვევები (ე. ი. -*აშგ*-*ჟ* > -*სგ*-*ჟ*) საგრძნობლად აღემატებოდა a შემთხვევებს (ე. ი. -*აშგ*-*ღ* ა), მოხდა შესაბამისად -*ესგ*- ელემენტის გავრცელება ზმნის აწმყოს ფორმებში თავდაპირველი -*ეშგ*- სუფიქსის ხარჯზე, რომელიც დროთა ვითარებაში თითქმის მთლიანად განდევნილ იქნა და ადგილი -*ესგ*- ფორმანტს დაუთმო.

-*ეშგ*- თემის ნიშნისა და ნამყო უსრულის -*ჟ* ფორმანტის ფართო გავრცელებას ძველად სვანური ზმნის პარადიგმაში მოწმობს აგრეთვე ის მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ ამგვარი -*ასგ* || -*სგ* < -*აშგ*-*ჟ* ელემენტი ფართოდ არის წარმოდგენილი თანამედროვე სვანურ დიალექტებში ნამყო უსრულის ფორმებში, სადაც იგი უფუნქციოდ ერთვის ნამყო უსრულის მაწარმოებელი გარკვეული სუფიქსით გაფორმებულ ზმნის ფორმებს: შდრ. მაგ. -*ე* თემისნიშნისა ზმნათა ნამყო უსრულის ფორმები: ბზ. ლშა. *ხჟამარ-ე*, ბქვ. ლნტ. *ხჟამარ-ე* „ვამზადებ“ — ნ. უსრ. ეცრ. 1. *ხჟამარ*, 2. *ხამარ*, 3. *ამარ-ა*: ბერ. 1. *ხჟამარ-ასგჟ*, 2. *ხამარ-ასგჟ*, 3. *ამარ-ა*.

ეცერულ კილოკავში პირველისა და მეორე პირის ფორმებში წარზოდგენილია ნამყო უსრულის მაწარმოებელი ნულ-სუფიქსი, მესამე პირში — *ა* სუფიქსი. ბეროურში ნულ-სუფიქსიან ფორმებს დართული აქვს -*ასგ* ელემენტი. ეგვეე შეეხება -*ღ* სუფიქსით წარმოებულ ნამყო უსრულის ფორმებს. ბეროურ კილოკავში პირველი და ნეორე პირის ფორმებში აქაც -*ასგ* სუფიქსი გამოიყოფა, რომელიც უფუნქციოდ ერთვის ნამყო უსრულის მაწარმოებელ -*ღ* სუფიქსიან ფორმებს: შდრ. *პრი*, ლშხ. *არი* „არის, არსებობს“ — ნ. უსრ. ეცრ., ლნტ. 1. *ხჟარ-ღ*, 2. *ხარ-ღ*, 3. *არ-ღ-ა*, მაგრამ ბერ. 1. *ხჟარ-ღ-ასგჟ*, 2. *ხარ-ღ-ასგჟ*, 3. *არ-ღ-ა*.

-*ასგ* ელემენტის ამგვარი დართვა ნამყო უსრულის მაწარმოებელი სუფიქსით გაფორმებულ ზმნის ფორმაზე გასაგები ხდება, თუ დავეუშვებთ -*ეშგ*- || -*ესგ*- თემის ნიშნის ფართო გავრცელებას სვანური ზმნის დროთა პირველი ჯგუფის უძველეს პარადიგ-

მაში. ნამყო უსრულის ფორმებში წარმოდგენილი -აშტუ || -შშტუ > -ასტუ || -შსტუ ელემენტი გადატანილ იქნა ანალოგიით ზოგიერთ სვანურ დიალექტში ნამყო უსრულის პირველი და მეორე პირის იმ ფორმებზედაც, რომლებიც ისტორიულად სპეციალური, -ჟ სუფიქსისაგან განსხვავებული ფორმანტით იყო წარმოებული¹. ამ გზით მიღებული -ასტუ || -შსტუ ფორმანტი, რომლის გაჩენა ანალოგიური ტრანსგრესიის შედეგი იყო სვანური ზმნის პარადიგმაში და რომელიც ამდენად მოკლებული იყო ფუნქციონალურ დანიშნულებას, ადვილად განიცდიდა დაშლას ფონეტიკური მიზეზების გამო. ამ პროცესის სინქრონული სურათი ნათლად ჩანს ბალსქვემოურის ბეჩოურ კილოკავში, სადაც -ასტუ, -დ-ასტუ ფორმანტების პარალელურად, რომლებსაც, როგორც ვ. თოფურია აღნიშნავს, ხანში შესულები მიმართავენ ნამყო უსრულის საწარმოებლად, გვხვდება -შსტუ, -დ-შსტუ ფორმანტებიც (შედარებით ახალგაზრდების მეტყველებაში), მაშინ როდესაც ახალი თაობა -შსტუ, -დ-შსტუ ბოლოსართებს აბატონებს. ახალგაზრდათა მეტყველებაში დამოწმებულია აგრეთვე -ასტუ, -დ-ასტუ- და იშვიათად -შსტუ, -დ-შსტუ ფორმანტებიც².

ამგვარად, ბალსზემოური -შს და -დ-შს ფორმანტები, ნამყო უსრულის მხ. რიცხვის პირველისა და მეორე პირის ფორმებში რომ გვხვდება ბალსქვემოური (ბეჩოური) -ასტუ და -დ-ასტუ ფორმანტების ეკვივალენტური ფუნქციით³, სხვა არაფერია, თუ არა ამოსავალი -ასტუ ელემენტის ფონეტიკური სახესხვაობა, როდესაც ანალოგიით ერთვოდა ნამყო უსრულის მაწარმოებელი გარკვეული სუფიქსით გაფორმებულ ზმნის ფორმებს: -დ-ასტუ- || -დ-შსტუ > -დ-შსტუ > -დ-შს (ბოლოკიდური -ჟ-ს მოკვეციტ).

ამგვარად აღდგენილი პირველადი -ეშგ- სუფიქსი სვანურში შესატყვისის პოვნებს ქართულ მორფოლოგიურ ინვენტარში -ეშ-სუფიქსის სახით, რომელიც ისტორიულად ფუძედრეკად ფორმებში გამოიყოფა.

¹ ანალოგიური ვითარება შეინიშნება ზოგიერთ სვანურ დიალექტში ნამყო უსრულის მაწარმოებელი -და სუფიქსის მიმართაც, რომელიც ანალოგიით დაერთვის -გნ სუფიქსით წარმოებულ ნამყო უსრულის ფორმებს: შდრ. ბზ. მ-ა-ლ-ნ-ტ „მიყვარს“: ნ. უსრ. მ-ა-ლ-ტ-გ-ნ || მ-ა-ლ-ტ-გ-ნ-და; ხ-ა-ს-კ-ტ-რ-ელ „უყვირს“: ნ. უსრ. ხ-ა-ს-კ-ტ-რ-ნ-ლ-გ-ნ || ხ-ა-ს-კ-ტ-რ-ნ-ლ-გ-ნ-და და სხვ. (ვ. თოფურია, სვანური ენა. 1. ზნა, თბილისი, 1931, გვ. 85).

² ვ. თოფურია, სხენ. ნაშრ., გვ. 95 შენდ.

³ შდრ. ბზ. ა-ჟნ-ი (< ა-ჟნ-ი) „ხნავს“ — ნ. უსრ. 1. ს-ჟ-ა-ჟ-ნ-დ-შ-ს, 2. ბ-ა-ჟ-ნ-დ-შ-ს, 3. ა-ჟ-ნ-დ-ა: ზ. სვან. (ბენ.) ა-ჟ-ნ-ი „ხნავს“ — ნ. უსრ. 1. ბ-ჟ-ა-ჟ-ნ-ი-და-ს-გ-ჟ. 2. ს-ა-ჟ-ნ-ი-და-ს-გ-ჟ. 3. ა-ჟ-ნ-ი-და-და-ს-გ-ჟ.

II. შიშინა თანხმობები და ქართველური ზირისა და კუთვნილებითი ნაცვალსახელები

§ 1. ზემოთ განხილული მაგალითები ადასტურებენ შგ-ჟ- → სგ-ჟ- ფონეტიკური პროცესის არსებობას საკუთრივ სვანურ, ზანურისაგან განსხვავებულ ფორმებში. ის ზანური და სვანური ფორმები, რომელთათვისაც საერთოა სისინა კომპლექსები ქართული შიშინა სპირანტისა და აფრიკატების შესატყვისად, განხილულ უნდა იქნენ როგორც შედეგი ზანურ-სვანური არეალისათვის დამახასიათებელი საერთო ფონეტიკური ტენდენციისა — სისინა-ხშულთანხმობიან კომპლექსთა ჩამოყალიბებისა შესატყვისი შიშინა კომპლექსებისაგან მომდევნო ვ/ჟ ფონემის გავლენით. ეს ფონეტიკური პროცესი, რომელიც ზანურ-სვანურ არეალში წარმოიშვა, გაგრძელდა შემდგომ, დამოუკიდებლად ზანურისა, სვანურ ენაში, რის შედეგადაც აქ ცალკეულ ფორმებში ზანურისაგან განსხვავებული სისინა კომპლექსები ჩამოყალიბდა. ეს პროცესი სვანურში უფრო რეგულარულად არის გატარებული.

ზემოთ წარმოდგენილი დებულების საფუძველზე მოსალოდნელია ქართული /შ/ სპირანტის შესატყვისად დადასტურებულ ყოველ სქ/სგ კომპლექსთან ზანურსა და სვანურში მომდევნო ბაგისმიერი ვ/ჟ ფონემის არსებობა, რომლის გავლენით თავდაპირველი შიშინა სპირანტისაგან წარმომდგარი შქ/შგ კომპლექსი შესატყვისი სისინა ვარიანტში უნდა გადასულიყო. რიგ შემთხვევაში ამგვარი ვ/ჟ შესატყვისებელია გარკვეული მიზეზების გამო დარგულიყო წინამავალი სისინა კომპლექსის ჩამოყალიბების შემდეგ.

ამ თვალსაზრისით გადასინჯვას საჭიროებს პირისა და კუთვნილებით ნაცვალსახელთა ურთიერთ მიმართებისა და უძველესი სტრუქტურის საკითხები ქართველურ ენებში¹.

§2. ქართულ მხოლ. რიცხვის მეორე პირის კუთვნილებით შენ-ი ნაცვალსახელს ზანურში სქან-ი ფორმა შეესატყვისება. ამგვარი შესატყვისობა ქართულსა და ზანურს შორის გასაგები ხდება, თუ ჩვენ კუთვნილებითი ნაცვალსახელის უძველეს ფორმაში დავუშვებთ ბაგისმიერი ჟ-ს არსებობას სქ- კომპლექსთან უშუალო მეზობლობაში:

¹ ქართველურ ნაცვალსახელთა შესწავლის ისტორიისათვის იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თაიხაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბილისი, 1937, გვ. 428 შმდ.

სქან-ი < *სქტენ- < *შქტენ-¹. კუთვნილებითი ნაცვალსახელის ეს უძველესი ფორმა, რომელიც აღდგება მხოლოდ ქართულ და ზანურ ფორმათა შეპირისპირების საფუძველზე, დასტურდება სვანურში ი-სგუ || ი-სგუ-ი ნაცვალსახელის სახით, რომელშიც შემონახულია ეს პოსტულირებული -ჟ- ფონემა. მაშასადამე, ქართველურ ენებში ისტორიულად არსებულ მხოლ. რიცხვის მეორე პირის კუთვნილებით ნაცვალსახელთა არქეტიპი რეკონსტრუირებულ უნდა იქნეს როგორც *შტე-ნ-, რომელშიც გამოიყოფა {-ნ-} ელემენტი როგორც დეტერმინანტი-სუფიქსი². ქართულში ჟ-ს დაკარგვის შედეგად მივიღეთ ისტორიულად დამოწმებული შენ-ი < *შტე-ნ- ფორმა³. ამოსავალმა *შტე-ნ- ფორმამ დეტერმინანტი-სუფიქსის მოკვეციტ მოგვცა სვანურში კანონზომიერი *ი-შგუ || *ი-შგუ-ი, სადაც -შგ-კომპლექსი მომდევნო ჟ-ს გავლენით შესატყვისის სისინა კომპლექსში გადავიდა, ისევე როგორც ეს ზანური ფორმისათვის არის სავარაუდებელი, რის შედეგადაც მივიღეთ სვანურში ისტორიულად დამოწმებული ი-სგუ || ი-სგუ-ი ფორმა მხოლ. რიცხვის მეორე პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელისა. სვანურმა ფორმამ ან თვალსაზრისით უძველესი ვითარება შემოგვინახა.

მხოლ. რიცხვის მეორე პირის შე-ნ || შე-ნა ნაცვალსახელის შესატყვისად ზანურსა და სვანურში წარმოადგენილია სი ფორმა.

¹ -შქტ- → -ხქტ- პროცესი, რომელიც საერთოა ზანურისა და სვანურისათვის, წინ უსწრებდა ევრეთწოდებულ ზანურ ხმოვანთგადაწევას: *გ → ა, *ა → ო და სხვ. ისტორიულად დამოწმებული თანამოვანთშესატყვისობა ქართველურ ენებში ხმოვანთგადაწევაზე უფრო ადრინდელ ეპოქაში მომხდარი ბგერათუცვლილებების ანარკლს წარმოადგენს (შდრ. არნ. ჩიქობავა, ქართულ-ზანურ ბგერათშესატყვისობათა ისტორიისათვის. თეზისები: ენათმეცნიერების ინსტიტუტის VI (XII) სამეცნიერო სესია. თბილისი, 1954, გვ. 11 შმდ.).

ყველა აქ და ქვემოთ მოყვანილი ლინგვისტური ფორმულა მხოლოდ სქემატურ ხასიათს ატარებს და გაკებულ უნდა იქნეს როგორც შესაძლებელი გზა ისტორიულად დამოწმებულ ფორმათა მიღებისა.

² ისტორიულად ეს-ნ ან -ნა დეტერმინანტი (შდრ. ჩუენ-ნა, თქუენ-ნა) და სხვ.), ოთხელიც აგრეთვე ადგილის აღმნიშვნელ ზნისარსებში იჩენს თავს (შდრ. არნ. ჩიქობავა, ნიმართულებითი ბრუნვის მნიშვნელობისა, წარმოებისა და ისტორიისათვის: „სახელის ბრუნვის ისტორიისათვის ქართველურ ენებში“. I. თბილისი, 1956, გვ. 26), ნაცვალსახელურ ფორმებში, საფიქრებელია, ლოკატიური ნნიშვნელობის განსახდერულ დეიქტურ ნაწილას წარმოადგენდა [გენეზისურად ეს ნაცვალსახელები შესაძლებელია სივრცის პრინციპულ წარმოდგენებს უკავშირდებოდნენ; შდრ. ესტონ. mi-na „მე“ (~ მე აქ), si-na „შენ“ (~ შენ აქ) და სხვ., იხ. V. Taali, The Structural Tendencies of Languages, Helsinki, 1958, გვ. 11 შმდ.]

³ ჟ-ს დაკარგვისათვის ქართულში შდრ. ძვ. ქართ. უკუეთუ: აბ. ქართ. უკეთუ; ძვ. ქართ. უკუანაჲსკნელი: აბ. ქართ. უკანასკნელი და სხვ.

ამ ნაცვალსახელის სახით დასტურდება ერთადერთი წმინტევეა, როდესაც ქართულ წიწინა შ/ სპირანტს ზანურსა და სვანურში სისინა /ს/ სპირანტი (და არა სგ/სგ კომპლექსი!) შეეფარდება. თუნდაც მხოლოდ ეს ფაქტი. ამგვარი შეფარდების იზოლირებული ხასიათი საეჭვოს ხდის შ — ს წესატყვისობის პირველადობას. ამგვარი შეფარდების ჩამოყალიბება მეორე პირის ნაცვალსახელის ფორმაში მგორეული, წელარებით გვიანდელი მოვლენა უნდა იყოს, წელეგი იმ ფონეტიკურ ცვლილებათა, რომლებიც ამ ნაცვალსახელის უცვლელს ფორმას განუტედა. ამ მხრივ ჩვენს ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ ქართულში, მხოლ. რიცხვის პირველი პირის ნაცვალსახელის გარდა, პირისა და კუთვნილებითი ნაცვალსახელის ფორმები ერთმანეთს ემთხვევა. კუთვნილებითი ნაცვალსახელეტი ქართულში არსებითად სხვა არაფერია, თუ არა იგივე პირის ნაცვალსახელეტი, გარკვეული ბრუნვის ნიშნებით გაფორმებულნი. ქართულს ამ მხრივ უწყველსი ვითარება აქვს დაცული. ზანურში ეგვევ ვითარება დასტურდება მხოლოდ მრავლობითი რიცხვის ფორმებში:

მხოლ. რიცხვი	მრავლ. რიცხვი
ქართ. 1. —	1. ჩუე-ნ: ჩუე-ნ-ი
2. შე-(ნ): შე-ნ-ი	2. თქუე-(ნ): თქუე-ნ-ი
ზან. 1. —	1. ჩქუ-(ნ): ჩქუ-ნ-ი
2. სი-(ნ): სქა-ნ-ი	2. თქვა-(ნ): თქვა-ნ-ი

ამ პროპორციის საფუძველზე კანონზომიერია ვივარაუდოთ, რომ მხოლ. რიცხვის მეორე პირის ნაცვალსახელი ზანურში არსებითად იგივე იყო, რაც კუთვნილებითი ნაცვალსახელის ფორმა. რამდენადაც მხოლ. რიცხვის მეორე პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელის უძველესი ფორმა აღდგება როგორც *შტე-ნ-, ეგვევ ფორმა უნდა დასდებოდა საფუძვლად ისტორიულად დამოწმებულ ქართულ შე-(ნ) და ზანურ-სვანურ სი-(ნ) პირის ნაცვალსახელურ ფორმებს. ამოსავალი *შტე-ნ/ა/ ზანურში მოგვეცემა კანონზომიერ *შქტე-ნ > *სქტე-ნ > *სქუ-(ნ) ფორმებს [შდრ. ქართ. ჩუე-ნ: ზან. ჩქუ-(ნ)]. ამგვარად მიღებული *სქუ-(ნ) ფორმა უ-ს რედუცირების შედეგად გადავიდოდა *სქჟ-(ნ) || *სქი-(ნ) ფორმებში (შდრ. ჰან. ჩქუნ-ი: მეგრ. ჩქენ-ი || ჩქინ-ი).

სვანურში ამოსავალი *შტე-ნ/ა/ ფორმა მოგვეცემა კანონზომიერ *შგტე-ნ > *სგტე > *სგე ფორმებს. ბაგისმიერი -ჟ- დაიკარგა, საფიქრებელია, მხოლ. რიცხვის პირველი პირის მი ნაცვალსახელის გავლენით, ისე როგორც ეს მოხდა მრავლ. რიცხვის მეორე პირის სგჟ „თქვენ“ ფორმაში, სადაც -ჟ- გაუჩინარდა მრავლ. რიცხვის პირველი პირის ნჟ „ჩვენ“ ფორმის გავლენით.

* სვე ფორმაში უმახვილო ე-ხმოვნის რედუცირების შედეგად მივიღეთ ი-ხმოვანი, ისე როგორც ეს მხოლოდ. რიცხვის პირველი პირის მი ფორმის შემთხვევაში დასტურდება (შდრ. ქართ. მე, ზან. მა). სქ- და სგ- კომპლექსთა გამარტივების შედეგად ზანურსა და სვანურში¹ ჩამოყალიბდა ისტორიულად დამოწმებული სი ფორმა².

მეორე პირის ნაცვალსახელის თავდაპირველი ფორმის ამგვარი ცვლილებები ზანურსა და სვანურში გასაგები ხდება, თუ გავითვალისწინებთ ამ ნაცვალსახელის სემანტიკურ ბუნებას და ამასთან დაკავშირებით მისი ხმარების სტატისტიკურ მონაცემებს. ნაცვალსახელური ელემენტები და განსაკუთრებით პირის ნაცვალსახელები, ისე როგორც ნაწილაკები და სხვა დამხმარე სიტყვები, ისეთი ენობრივი ელემენტებია, რომელთა ხმარების ალბათობა მეტყველების განუწყვეტელ ნაკადში საგრძნობლად აღემატება სემანტიკურად დატვირთული ელემენტების საშუალო სიხშირეს. G. K. Zipf-ის მიერ ჩატარებულმა სტატისტიკურმა გამოკვლევებმა გამოავლინა მეტად მნიშვნელოვანი უკუპროპორციული შეფარდება,

¹ - სქ- კომპლექსის ხ-დ გამარტივების მაგალითი უნდა გვქონდეს მეგრ. სი-სი-რ- ფორმაში, რაც ნიშნავს „ქვევრის ამოსაშრობ ჩვარს, ჯოხზე წამოცმულს“. ამ სიტყვის სქირ- ფუძესთან (ო-სქირ-უანს „აშრობი“ (შდრ. გ. როგაეა, ქართველურ ენათა ფონეტიკის ისტორიულ-შედარებითი შესწავლის ძირითადი საკითხები: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, IV, 1953, გვ. 43 შმდ.). სვანურში ევეკე მოვლენა დასტურდება ლი-ს-ედ „დარჩენა“ სიტყვაში, რომელიც *ს-გ-ედ ფორმისაგან მომდინარეობს (შდრ. ჰან. სქედ-|| სქი-დ-, მეგრ. სქი-დ-) (აწის შესახებ იხ. ქვემოთ). შდრ. აგრეთვე ხ-გ- კომპლექსის გამარტივება ლაშხურში: -ისგა-ში—ლშხ. -ისა: ზაჟსა „წელში“; ლშხ. ლნტ. ცხეკისა „ტყეში“; ქორისა „სახლი“; ლნტ. ქალჯქისა „ქალაქში“ და სხვ.

² შეიძლება ზან. სი-(ნ) ფორმის განვითარების სხვა სქენაც წარმოგვედგინა. ამ შემთხვევაში განმსახვრელი ფაქტორი იქნებოდა შესატყვის სვანურ და ზანურ ფორმათა განვითარების პარალელიზმი, რასაც ნაწილობრივ კუთვნილებითი სქან- ნაცვალსახელის განვითარება უკერს მხარს. ამოსავალი *შქე-ნა! მოგვემდგა ზანურში *შქე-ენ- <*სქე-ენ- ფორმას, სადაც უ-ს ჩავარდნის შედეგად მივიღებდით *სქე-(ნ) ფორმას. ამ ფორმაში უმახვილო ე-ხმოვანი, შესატყვისი სვანური ფორმის მსგავსად, განიცდიდა რედუქციას და გადავიდოდა ი-ხმოვანში ჯერ კიდევ ზანურ ხმოვანთადაწევამდე. როგორი უნდა ყოფილიყო თანმიმდევრობა იმ პროცესებისა, რომელთა შედეგად ზან. *სქე-(ნ) (resp. სვან. *ს-გ-ე) ფორმა ისტორიულად დამოწმებულ სი-(ნ) ფორმაში გადავიდა? მაშასადამე, *სქე-(ნ) > *სქი-(ნ) > სი-(ნ), თუ *სქე-(ნ) > *სი-(ნ) > სი-(ნ)? ამის დასადგენად ჩვენ არავითარი მონაცემები არ მოგვეპოვება. მაგრამ ამ პროცესთა თანმიმდევრობის დადგენას არცა აქვს არსებითი მნიშვნელობა სი-(ნ) ნაცვალსახელის გენეზისის გარკვევისათვის.

კერძო ცნობით, სი ნაცვალსახელის *სქი ფორმისაგან წარმომავლობას გარაუდობდა ა. შანიძე თავის საუნივერსიტეტო ლექციებში.

რომელიც მეტყველების ნაკადის უმცირესი სეგმენტების სიხშირესა და მათ სირთულეს შორის არსებობს. ამ ზოგად პრინციპს, რომელიც ვლინდება არა მარტო ენაში, არამედ ყველა დანარჩენ საკომუნიკაციო სისტემაში¹, „უმცირესი ძალის პრინციპი“ ეწოდა².

დიაქრონიული თვალსაზრისით G. K. Zipf-ის მიერ დადგენილი შეფარდება გულისხმობს ხშირად ხმარებული ფონემებისა და ბგერათკომპლექსების მოსალოდნელ გამარტივებას. მეტყველების ნაკადში ხშირად ხმარებული სეგმენტები ენერჯის ნაკლები დაძაბვით, არამკაფიოდ გამოითქმის, რამდენადაც ამგვარი სეგმენტების დისტინქციური ძალა ისედაც ცხადია მსმენელთათვის. ამ ფაქტორმა კი შესაძლებელია გამოიწვიოს საგრძნობი ფონეტიკური ცვლილებები ამგვარ სეგმენტებში, მათ სრულ დაკარგვამდე. ამიტომ ხშირად, სტერეოტიპულად ხმარებულ სიტყვებში შესაძლებელია ადვილი ჰქონდეს ისეთ ფონეტიკურ ცვლილებებს, რომლებიც არ არის დამახასიათებელი ამავე სეგმენტებისათვის სხვა ვითარებაში³. ეს პრინციპი, რასაკვირველია, ფონეტიკურ ცვლილებათა უნივერსალურ პრინციპად ვერ ჩაითვლება. ცალკეულ შემთხვევებში დასტურდება განვითარება საწინააღმდეგო მიმართულებით. არც თუ ისე იშვიათია შემთხვევები, როდესაც ფონეტიკური ცვლილებები წარმართება ფონემათა გართულების გზით. მაგრამ ამგვარი შემთხვევები ვერ დაარღვევს ამ პრინციპის არსს, რამდენადაც მისი ხვედრითი წონა ფონეტიკურ ცვლილებათა პროცესში მეტად მნიშვნელოვანია⁴.

ამ პრინციპის საფუძველზე ადვილი ასახსნელია ის საგრძნობი ფონეტიკური ცვლილებები, რომლებსაც, ჩვეულებრივ, დამოუკიდებელი სიტყვებისაგან წარმომდგარი თანდებულები, წინდებულები და სხვა დამხმარე სიტყვები განიცდიან. ამავე პრინციპის საფუძველზე გასაგები ხდება, თუ რა მიზეზებმა შეაპირობა ზანურსა და სვანურში მხოლ. რიცხვის მეორე პირის *სი* ნაცვალსახელის ჩამოყალიბება თავდაპირველი **შქტე-ნ* > **სქტე-ნ* ფორმისაგან, განსხვავებით კუთვნილებითი ნაცვალსახელის ზან. *სქან-ი*, სვან. *ი-სგუ* || *ი-სგუ-ი* ფორმისა, რომელიც ამავე **შქტე-ნ* > **სქტე-ნ* ფორმისაგან მომდინარეობს. ამგვარი განსხვავება ერთი და იმავე

¹ C. Cherry, On Human Communication, New York, 1957, გვ. 100 შმდ.

² შდრ. G. K. Zipf, Human Behaviour and the Principle of Least Effort, Cambridge, Mass., 1949.

³ შდრ. M. Grammont, Traité de phonétique, Paris, 1933, გვ. 367.

⁴ შდრ. A. Martinet, Économie des changements phonétiques, Berne, 1955, გვ. 132 შმდ.

ამოსავალი ფორმისაგან წარმომდგარ პირისა და კუთვნილებით ნაცვალსახელებს შორის განსაზღვრა მათმა სემანტიკამ და, ამასთან დაკავშირებით, ხმარების განსხვავებულმა სიხშირემ. პირის ნაცვალსახელის ხმარების შემთხვევები, რომელიც ხშირად უნაბვილო ნაწილაკის, ერთგვარი პროკლიტიკის ფუნქციითაც გამოიყენებოდა (შდრ. ქართ. „შე კაცო!“, სვან. „სი მწრე!“ და სხვ.), აღმატებოდა სემანტიკურად უფრო დატვირთული კუთვნილებითი ნაცვალსახელის ხმარების შემთხვევებს, რის შედეგადაც უძველესმა პირის ნაცვალსახელურმა ფორმამ საგრძნობი ფონეტიკური ცვლილებები განიცადა, „გაცვდა“, მაშინ როდესაც იგივე ფორმა კუთვნილებითი ნაცვალსახელის ფუნქციით შედარებით სტაბილური აღმოჩნდა და უკეთ იქნა შემონახული. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ კუთვნილებითი ნაცვალსახელის ფორმები ქართულსა და ზანურში ყოველთვის {-ნ-} დეტერმინანტი-სუფიქსით არის გაფორმებული, მაშინ როდესაც პირის ნაცვალსახელთა ფუნქციით ამავე ფორმება შეიძლება -ნ ფორმანტი მოეკვეცოს, რაც ჩვეულებრივი ვითარებაა ზანურიათვის, ხოლო ქართულში გარკვეულ პირობებში ვლინდება: შდრ. „შე კაცო!“, „თქვე დალოცვილემო!“ და სხვ.¹

ზემოთ მოყვანილ მოსაზრებათა საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართველურ ენებში ისტორიულად დამოწმებული მხოლო. რიცხვის მეორე პირის კუთვნილებითი და პირის ნაცვალსახელები მომდინარეობს ამოსავალი *შტე-ნ- > ზან. / სვან. *შტჷ-ნ- > *სტჷ-ნ- ფორმისაგან, რომლის ბაგისმიერი -ტ- ელემენტი მხოლოდ სვანურმა შემოინახა კუთვნილებითი ი-სგუ || ი-სგჷ-ი ნაცვალსახელის ფორმაში. ამ მხრივ სვანურის ვითარება უძველესია.

ქართული კუთვნილებითი ჩუენ-ი ნაცვალსახელის ეკვივალენტად ზანურში გვაქვს ჩჷუნ-ი (> მეგრ. ჩჷენ-ი || ჩჷინ-ი), სვანურში — გუ-შგჷ-ჲ || ბქვ. გჷ-ი-შგე (ინკლ.) / ნ-ი-შგჷ-ჲ (ექსკლ.), რომლებიც კანონზომიერი შესატყვისია ამოსავალი *ჩჷე-ნ- ფორმისა. ეგვევ ფორმა დასტურდება სვანურში მხოლო. რიცხვის პირველი პირის კუთვნილებითი მ-ი-შგჷ-ი ნაცვალსახელისათვის, რომელსაც ქართულში ჩემ-ი, მეგრ.-ქანურში ჩჷემ-ი || ჩჷიმ-ი ფორმები შეეჯარება². სვანურ მ-ი-შგჷ-ი ფორმაში გაუგებარია ბაგისმიერი ტ-ს არსებობა, თუ ამოსავლად ქართულში ისტორიულად დამოწ-

¹ შდრ. ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ე ა, კანურის გრამატიკული ანალიზი, თბილისი 1936, გვ. 72.

² შდრ. ვ. თ ო ფ უ რ ი ა, სვანური ენა. 1. ზნა, თბილისი, 1931, გვ. 27.

მებული ჩე-მ-ი ფორმა ვივარაუდეთ. იმ ფაქტიდან, რომ სვანურ მხ. რიცხვის მეორე პირის კუთვნილებით ი-სგუ/ი-სგუ-ი ნაცვალ-სახელში ბაგისმიერი -ჟ- ელემენტი მხოლოდ სვანურში დაცული მეორე პირის ნაცვალსახელური ფორმის უძველესი კუთვნილება აღმოჩნდა, ლოგიკური აუცილებლობით გამოძინარეობს -ჟ- ელემენტის არსებობის დაწვება მხოლ. რიცხვის პირველი პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელის უძველეს ფორმაშიც, რომლისგანაც სვან. მ-ი-შგუ-ი ნაცვალსახელი მომდინარეობს¹. მაშასადამე, უნდა გვქონოდა *ჩჟე-მ- ფორმა, რომელმაც მოგვცა ქართულში ისტორიულად დამოწმებული ჩემ-ი², ზანურში — *ჩქუ-მ-ი > ჩქე-მ-ი || ჩქი-მ-ი (შდრ. *ჩჟე-ნ- > ქან. ჩქუნ-ი, მეგრ. ჩქუნ-ი || ჩქინ-ი < *ჩქუნ-ი), ხოლო სვანურში — მ-ი-შგუ-ი, უძველესი -ჟ- ელემენტის დაცვით, როგორც ამას მეორე პირის ფორმაში აქვს ადგილი.

სვანური მ-ი-შგუ-ი და გუ-შგუ-ე || ნ-ი-შგუ-ე ფორმები საშუალებას იძლევა დაეადგინოთ -შგუ- → -სგუ- პროცესის მოქმედების ზემო ქრონოლოგიური ზღვარი სვანურში. ამ მხრივ ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ -შგ- კომპლექსი სვანურში, რომელიც ქართულ /ჩ/ ფონემას შეესატყვისება და, მაშასადამე, თავდაპირველი /*ჩქ/ კომპლექსისაგან მომდინარეობს დეზაფრიკატიზაციის გზით (იხ. ზემოთ), არ განიცდის მომდევნო ბაგისმიერი ფ-ს გავლენით -სგ- კომპლექსში გადასვლას. ამავე რიგისაა -შგუ- კომპლექსი მუ-შგუ-ე „რბილი“ ფორმაში, რომელიც შეესატყვისება ძვ. ქართ. ჩჩლ-ი, ქან. ჩუჩქუ/ჩიჩქუ || მეგრ. ჩქიჩქუ ფორმებს (იხ. ზემოთ). მაშასადამე, -შგუ- → -სგუ- პროცესი აღარ მოქმედებდა სვანურში მას შემდეგ, რაც მასში დეზაფრიკატიზაციის პროცესი დაიწყო, რომელიც სვანური ფონეტიკის შედარებით გვიანდელ მოვლენას წარმოადგენს.

§ 3. ამგვარად რეკონსტრუირებული ქართველური პირისა და კუთვნილებითი ნაცვალსახელების უძველესი ფორმები ყურადღებას

¹ ჩვენ ვერ ჩავთვლით -ჟ- ელემენტს მხ. რიცხვის პირველი პირის მ-ი-შგუ-ი ფორმაში შესატყვისი მეორე პირის ი-ს გუ || ი-ს გუ-ი ფორმის ანალოგიით გაჩენილად. საქმე ისაა, რომ -ჟ- ელემენტი მ-ი-შგუ-ი ფორმაში ისტორიულად რომ არ არსებულებოდა, მოსალოდნელი იქნებოდა ანალოგიის მოქმედება სწორედ საწინააღმდეგო მიმართულებით — ფ-ს დაკარგვა მეორე პირის ფორმაში, როგორც ეს სვან. „თქვენ“ ფორმაში მოხდა შესატყვისი პირველი პირის ნვამ ფორმის გავლენით (იხ. ზემოთ).

² შდრ. R. Lafon, Sur les pronoms personnels de 1^{er} et de 2^e personnes dans les langues kartvèles: Bulletin de la Société de Linguistique de Paris, t. XXX, fasc. 2, 1930, გვ. 156.

იპყრობს უპირველეს ყოვლისა სტრუქტურული მოდელის იდენტობით. თითოეული მათგანი ხასიათდება -*შე- ელემენტი*თ, რომელიც უშუალოდ მოსდევს თავიკიდურ ძირეულ თანხმოვანს ან თანხმოვანტოკმპლექსს¹. ეს -*შე- ელემენტი* ძირისეულად ვერ ჩაითვლება, რამდენადაც იგი დამახასიათებელია ორივე პირის ნაცვალსახელური ფორმისათვის როგორც მხოლოდობით, ისე მრავლობით რიცხვში. ალბათობა იმისა, რომ სივადასხვა მნიშვნელობის ნაცვალსახელურ ფორმებში ერთი და იგივე სიმეტრიულად განლაგებული ძირისეული ელემენტი აღმოჩნდება, მეტად მცირეა. ვერც პირვანდელ ლაბიალიზებულ თანხმოვანთა რეფლექსებად მივიჩნევთ -*შე- ელემენტი*ან კომპლექსებს ამ ფორმებში, რამდენადაც გაუგებარი იქნებოდა ენაში ორივე პირის ოთხივე ფორმისათვის ძირისეულ მასალად მხოლოდ ლაბიალიზებულ ფონემათა გამოყენება.

მაშასადამე, {-*შე-*} ელემენტის სახით უძველეს ნაცვალსახელურ ფორმებში საქმე უნდა გვექონდეს რაღაც მნიშვნელ ფორმანტთან, რომელიც გარკვეულ ფუნქციას ასრულებდა და იწვევდა პირისა და კუთვნილებით ნაცვალსახელთა გაერთმნიშვნელიანებას. ნაცვალსახელურ ფუძეთა ეს საერთო {-*შე-*} მორფემა მათ ერთ კატეგორიად აერთიანებდა და უპირისპირებდა მესამე პირის ფორმებს, რომლებიც წარმოშობით ჩვენებით ნაცვალსახელებს წარმოადგენენ.

ნაცვალსახელურ ფუძეებში არსებული {-*შე-*} ელემენტის ამგვარი ინტერპრეტაცია საფუძველს გვაძლევს იგი ადამიანთა კლასის ექსპონენტად მივიჩნიოთ. ნიშანდობლივი ამ მხრივ ის არის, რომ {-*შე-*} მორფემა თავს იჩენს მხოლოდ იმ ფორმებში, რომლებიც მოსაუბრისა და მსმენელის, ე. ი. სამეტყველო კომუნიკაციის სუბიექტთა, მხოლოდ ადამიანთა სახელნაცვალია, მაშინ როდესაც „არაპერსონალური“ მესამე პირის აღმნიშვნელ ნაცვალსახელებში, რომლებიც აერთიანებენ ადამიანისა და ნივთის კლასებს, {-*შე-*} ფორმანტი არ არის წარმოდგენილი. მესამე პირის ნაცვალსახელური ფორმები პირთა კორელაციის არამარკირებულ წევრებს გამოხატავდა². აქ აშკარად იგრძნობა მორფოლოგიური დაპირისპირება ვინ- და რა- ჯგუფის სახელებს შორის.

¹ შდრ. არნ. ჩიქობავა, გრამატიკული კლას-კატეგორია და ხმნის უღვლილების საკითხი ძველ-ქართულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, V, 1953, გვ. 60.

² პირთა ურთიერთმიმართების შესახებ სამეტყველო კომუნიკაციის პროცესში იხ. E. Benveniste, La nature des pronoms: For Roman Jakobson. Essays on the Occasion of his Sixtieth Birthday. The Hague, 1956, გვ. 34 შნდ.

ამგვარად აღდგენილ {-ჰე-} მორფემას ნაცვალსახელურ ფორმებში შეიძლება კლას-დეტერმინანტი ვუწოდოთ, რომელიც იმავე რიგის სტრუქტურულ ელემენტს წარმოადგენს, რაც სუბსტანტივებში არსებული კლასის ნიშნები. ამგვარი ელემენტები იხმარებოდა ვინ- და რა- ჯგუფის სახელთა მორფოლოგიური დეტერმინაციისათვის, ანუ ამა თუ იმ ნომინალური (resp. პრონომინალური) ძირის მორფოლოგიური მიკუთვნებისათვის ადამიანთა ან ნივთთა კლასისადმი. {-ჰე-} ელემენტი ქართველურ ნაცვალსახელურ ფორმებში ამ უკანასკნელთა „პერსონიფიცირებას“ იწვევდა.

რამდენადაც {-ჰე-} ელემენტი დასტურდება ყველა პირისა და კუთვნილებით ნაცვალსახელურ ფორმაში, გარდა პირველი პირის მე ფორმისა, რაც ერთგვარად არღვევს ქართველური პრონომინალური სისტემის სტრუქტურულ სურათს, საფუძველი გვეძლევა {-ჰე-} ელემენტის შინაგანი რეკონსტრუირებისა ამ ნაცვალსახელურ ფორმაშიც. მაშასადამე, უნდა გვეკონოდა *მ-ჰე-ნა/ ფორმა, რომელმაც მოგვცა ისტორიულად დამოწმებული მე-(ნა) /ჰ/ ფონემის დაკარგვის შედეგად წინამავეალ ბაგისმიერ /მ/ ფონემასთან უშუალო მეზობლობაში.

პირველი სუბიექტური პირის ვ- პრეფიქსი (ვ-არ, ვ-ზი, ვ-დგა...) წარმოშობით ადამიანთა კლასის ფორმანტად არის მიჩნეული¹. ეგვევე პრეფიქსი თავს იჩენს გჰ- ფორმანტში, რომელიც ძველ ქართულში მ- პრეფიქსის პარალელურად იხმარებოდა პირველი ობიექტური პირის აღსანიშნავად ღრ. რიცხვში (გუაქუს || მაქუს ჩუენ). აქ გ- ფონეტიკური დანართია, რომელსაც თავდაპირველად არავითარი მორფოლოგიური ფუნქცია არ გააჩნდა². ეს ვ-/ჰ- პრეფიქსი, პირველი სუბიექტ-ობიექტური პირის ფორმანტად რომ გამოიყოფა, შესაძლებელია იგივე {-ჰე-} ელემენტი იყოს, რომელიც ქართველურ პირისა და კუთვნილებით ნაცვალსახელთა ფორმებში აღდგება როგორც ადამიანთა კლას-დეტერმინანტი³.

¹ შდრ. არნ. ჩიქობავა, ხსენ. ნაშრ., გვ. 51 შმდ.

² არნ. ჩიქობავა, მრავლობითის აღნიშვნის ძირითადი პრინციპისათვის ქართული ზმნის უღვლილების სისტემაში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, 1, 1946, გვ. 91 შმდ. ვ → გვ ფონეტიკური პროცესის შესახებ იხ. ვ. თ. ფურია, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში: ენიმკის მონაბე, X, 1941, გვ. 231 შმდ.

³ ამავე რიგისა უნდა იყოს ჟ/ჟ ფონემა მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა პირის ნაცვალსახელურ ფორმებში, რომელიც აქ გამოიყოფა როგორც ფუძისეული ელემენტი. ქართველურ პირის ნაცვალსახელთა ზემომოყვანილა ანალიზი საფუძველს გვაძლევს ეს ჟ/ჟ ელემენტი ან ნაცვალსახელთაშიც ადამიანთა კლას-დეტერმინანტის გაქეავებულ ფორმად მივიჩნიოთ.

გრამატიკულ კლას-კატეგორიათა თანდათანობითმა მოშლამ ქართველურში შეაპირობა {-ტე-} ფორმანტის დანიშნულების დაჩრდილვა პირის ნაცვალსახელურ ფორმებში, რის შედეგადაც იგი უფუნქციო ელემენტად იქცა და ზოგიერთ შემთხვევაში მთლიანად დაიკარგა სხვადასხვა ფაქტორების ზეგავლენით. ამგვარად უნდა დაკარგულიყო -ტე- ფორმანტი ქართულ და ზანურ ნაცვალსახელთა მხოლოობითი რიცხვის ფორმებში; ქართულში მხოლ. რიცხვის პირველი პირის *ჩ-ტე-მ- და მეორე პირის *შ-ტე-ნ/ა/ *შ-ტე-ნ-ფორმებში /ტ/ ფონემა უნდა დაკარგულიყო პირველი პირის მე < *მ-ტე-ნ/ა/ ფორმის გავლენით, სადაც [ტ] ბგერის დაკარგვას წინიდა ფონეტიკური საფუძველი გააჩნდა. სვანურში {-ტე-} ფორმანტი ნაცვალსახელურ ფორმებში შედარებით უკეთ იქნა დაცული (შდრ. ი-სგუ || ი-სგუ-ი და ქართ. შენ-ი, ზან. სქან-ი; მ-ი-შგუ-ი და ქართ. ჩემ-ი, მეგრ.-ქან. ჩქემ-ი || ჩქიმ-ი; თუმცა აქაც დასტურდება შემთხვევა ამგვარი ტ-ს დაკარგვისა: შდრ. სგამ „თქვენ“ ფორმა, სადაც ბაგისმიერი -ტე- სავსებით დაკარგულია მრ. რიცხვის პირველი პირის ნამ „ჩვენ“ ფორმის გავლენით). მაგრამ აქ თავი იჩინა ბოლოკიდური სადენტერმინაციო ელემენტისა და გარკვეულ შემთხვევაში ფუძისეული ე-ხმოვნის რედუცირების ტენდენციამ:

- მხ. რიცხვი 1. *ჩ-ტე-მ- > სვან. მ-ი-შგუ || მ-ი-შგუ-ი
 2. *შ-ტე-ნ- > სვან. ი-სგუ || ი-სგუ-ი
 მრ. რიცხვი 1. *ჩ-ტე-ნ- > სვან. { გუ-შგუე || გუ-შგუე-ე
 { ნ-ი-შგ(ტ)ე || ნ-ი-შგუე-ე
 2. *თქ-ტე-ნ- > სვან. ი-სგუე || ი-სგუე-ე

მხოლოობითი რიცხვის ფორმებში უმახვილო ე-ხმოვნის რედუცირების შედეგად /ტ/ ფონემა წარმოდგენილია როგორც ხმოვანი სახესხვაობა უმარცვლო [ტ]-სი, რომელიც აღდგება სახ. ბრუნვის -ი ფორმანტის დართვის შემთხვევაში. მრავლობითი რიცხვის ფორმებში შემონახულია ფუძისეული ე-ხმოვანი, რომელიც განასხვავებს მათ მხოლ. რიცხვის ფორმებისაგან. სემანტიკურმა ფაქტორმა შეაპირობა აქ ე-ხმოვნის შენარჩუნება.

§ 4. სვანურ მრ. რიცხვის პირველი პირის ნამ ნაცვალსახელს არ ეძებნება ეტიმოლოგიური შესატყვისი ქართველურ პირის ნაცვალსახელთა შორის. ისმის კითხვა, რით უნდა იყოს გამოწვეული ამგვარი სხვაობა მრ. რიცხვის პირველი პირის ფორმაში სვანურსა, ერთი მხრით, და ქართულსა და ზანურს შორის, მეორე მხრით. მაშინ როდესაც ყველა დანარჩენ პირისა და კუთვნილებით ნაცვალ-

სახელურ ფორმაში კანონზომიერი შესატყვისობა ვლინდება ქართველურ ენათა ფარგლებში?

ერთი შეხედვით, ნაა ნაცვალსახელი უცხო ენობრივი ფენიდან მომდინარე ჩანს. მაგრამ რამ გამოიწვია სვანურში ნაა ნაცვალსახელით შეცვლა თავდაპირველი, ყველა ქართველური ენისათვის საერთო მრ. რიცხვის პირველი პირის *ჩ-ტე-ნა/ ნაცვალსახელისა, რომელიც აქ თავს იჩენს კუთვნილებითი ნ-ი-შგტე-ა || გუ-შგტე-ა ნაცვალსახელის ფორმით, რაც გვაპარაუდებინებს, რომ საერთო ქართველური *ჩ-ტე-ნა/ ნაცვალსახელი უნდა არსებობდეს სვანურში ენის განვითარების უძველეს ეპოქაში? ძნელი დასაშვებია, რომ პირველი პირის ნაცვალსახელური ფორმა სვანურში უცხო ენობრივი ფენიდან მომდინარეობდეს, მით უმეტეს, რომ აფხაზურ-ადიღეურ ენებს, რომელთა ფენა სვანურში გამოიყოფა¹, არ გააჩნია მრ. რიცხვის პირველი პირის აღმნიშვნელი ნა- ნაცვალსახელი. ამგვარად, ნაა ნაცვალსახელი, რომელიც ისტორიულად მხოლოდ სვანურში დასტურდება, ქართველურ ენათა უძველეს საერთო კუთვნილებად უნდა ჩაითვალოს.

მაშასადამე, მრავლობითი რიცხვის პირველი პირის ნაცვალსახელური ფორმები საერთო ქართველურში წარმოდგენილი იყო *ნა-და *ჩ-ტე-ნა/ ნაცვალსახელების სახით. ამათგან *ნა- შერჩა მხოლოდ სვანურს, ხოლო *ჩ-ტე-ნა/ ფორმა, რომლის კვალი სვანურში გუ-შგტე-ა || ნ-ი-შგტე-ა ფორმებში ჩანს, მხოლოდ ქართულმა და ზანურმა შემოინახა. გასარკვევია, თუ რა ფუნქციებს ასრულებდა თავდაპირველად ეს ნაცვალსახელები. ორი ნაცვალსახელური ფორმის არსებობა პარალელურად მიუთითებს მათ ფუნქციონალურ სხვაობაზე, რომელიც წარიშალა დროთა ვითარებაში. პარალელური ფორმების არსებობა მხოლოდ მრავლ. რიცხვის პირველი პირის ნაცვალსახელში ბუნებრივად წარმოშობს საკითხს ამ ფორმებში მრავლობითობის ინკლუზიური და ექსკლუზიური ვარიანტების ოდინდელი გარჩევისა ქართველურ ნაცვალსახელში. ამათგან *ჩ-ტე-ნა/ ფორმა, რომელიც სტრუქტურულად იდენტურია მეორე პირის ფორმისა და იმავე (აღამიანთა) კლას-დეტერმინანტს შეიცავს, მრავლ. რიცხვის პირველი პირის ნაცვალსახელის ინკლუზიური ვარიანტი უნდა ყოფილიყო (მე და შენ, resp. თქვენ, ე. ი. მხოლოდ აღამიანთა კლასის წარმომადგენლები), ხოლო *ნა- ფორმა, რომე-

¹ А р н. Ч и к о б а в а, *Картвельские языки, их исторический состав и древний лингвистический облик*: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, II, 1948, გვ. 261 შმდ.

ლიც მოკლებულია ადამიანთა კლას-დეტერმინანტს, მის ექსკლუზიურ ვარიანტს წარმოადგენდა, რამდენადაც იგი აერთიანებდა პირველ პირთან, ინკლუზიური ფორმის საპირისპიროდ, განზოგადებული კლასის (ვინ- და რა-ჯგუფის) წარმომადგენელ, „არაპერსონალურ“ მესამე პირს (მე და იგი, რაჟ. ივინი).

ინკლუზიურ-ექსკლუზიური ფორმების გარჩევა მრ. რიცხვის პირველი პირის ნაცვალსახელურ ფორმაში შინაგან კავშირშია ადამიანთა და ნივთთა კლასების დაპირისპირებასთან, იგი არსებითად კლას-კატეგორიათა ბინარული მორფოლოგიური სისტემით არის მოტივირებული. ექსკლუზიური შინაარსის ნაცვალსახელი, რომელიც ნივთთა კატეგორიის, რა-ჯგუფის სახელებსაც გულისხმობს, ვერ იქნებოდა იდენტური ინკლუზიური შინაარსის ნაცვალსახელისა, რომელიც მხოლოდ ადამიანთა კლასის, ვინ-ჯგუფის სახელებს აერთიანებს. კლას-კატეგორიათა ამ მორფოლოგიურმა გარჩევამ ქართველურში თავი იჩინა შესაბამისად *ნა- და *ჩ-ტე-ნა/ ნაცვალსახელურ ფორმებში.

*ჩ-ტე-ნა/ და *ნა- ნაცვალსახელთა უძველესი ფუნქციის ანგვარ განსაზღვრას მხარს უჭერს სვანური ზმნის ობიექტურ ფორმათა ინკლუზიური და ექსკლუზიური ვარიანტები: გუ-აყა „გვყავს“ (მე და შენ || თქვენ) — ნ-აყა „გვყავს“ (მე და მას || მათ); გუ-ალჷტ „გვიყვარს“ (მე და შენ || თქვენ) — ნ-ალჷტ „გვიყვარს“ (მე და მას || მათ).

არნ. ჩიქობავამ გაარკვია, რომ ინკლუზიურ-ექსკლუზიურ ფორმათა გარჩევა სვანურ ზმნაში მეორეული მოვლენაა. მრავლობითობის ამგვარ ვარიანტთა გარჩევა არ იყო დამახასიათებელი ქართველური ზმნის უძველესი სტრუქტურისათვის¹. ეს თვალსაზრისი მრავლობითობის ინკლუზიურ-ექსკლუზიური ვარიანტების გვიანდელი ჩამოყალიბების შესახებ სვანური ზმნის სისტემაში ლოგიკურად გამომდინარეობს იმ დებულებებიდან, რომ ქართველური ზმნის სისტემა ისტორიულად მხოლოდ კლას-კატეგორიებს განარჩევდა. ბინარული სტრუქტურას კლას-კატეგორიათა მორფოლოგიური სისტემა (ადამიანი—ნივთი; სულიერი—უსულო), რომელიც ინკლუზიურ-ექსკლუზიურის გარჩევას გულისხმობს ნაცვალსახელში, გამორიცხავს ამგვარ დაპირისპირებას ზმნაში, რამდენადაც ზმნის ფორმები ამ სისტემაში არ განიარჩევა პირის მიხედვით.

მაგრამ რა შინაგან ფაქტორებს უნდა გამოეწვია ინკლუზიური და ექსკლუზიური ფორმების გაჩენა სვანური ზმნის სისტე-

¹ არნ. ჩიქობავა, მრავლობითობის აღნიშვნის ძირითადი პრინციპისათვის ქართული ზმნის უღვლილების სისტემაში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, 1, 1946, გვ. 91 შნდ.

მაში, რამ შეაპირობა ქართველური ზმნის ამოსავალი სტრუქტურისათვის არადამახასიათებელი ფორმების ჩამოყალიბება ერთ-ერთ ქართველურ ენაში? მრავლობითობის ინკლუზიურ-ექსკლუზიური ვარიანტების წარმოქმნა სვანური ზმნის სისტემაში გასაგები სდება, თუ დაუშვებთ ამგვარი გარჩევის ოდინდელ არსებობას თვით პირველი პირის ნაცვალსახელში, რაც ქართველურ ნაცვალსახელურ ფორმათა შინაგანი მონაცემების საფუძველზე ივარაუდება (იხ. ზემოთ). ინკლუზიურ-ექსკლუზიური კატეგორიის მოშლამ ნაცვალსახელში, რაც გარკვეულ კავშირშია გრამატიკულ კლას-კატეგორიათა ბინარული სისტემის მოშლასთან¹, გამოიწვია ფუნქციონალურად ჰეტეროგენულ *ნა- და *ჩ-ტე-ნა/ ნაცვალსახელთა გაიგივება და აღრევა, რასაც შედეგად მოჰყვა ერთ-ერთი მათგანის დაკარგვა. სვანურმა შემოინახა გაფართოებული მნიშვნელობით *ნა-, ხოლო ქართულმა და ზანურმა — *ჩ-ტე-ნა/ ფორმა, რომლის კვალი სვანურში კუთვნილებით გუ-შგტე-ა || ნ-ი-შგტე-ა ნაცვალსახელში დასტურდება.

ინკლუზიურ-ექსკლუზიურ კატეგორიათა მოშლამ ქართველურ ნაცვალსახელურ ფორმებში სვანურში — ერთ-ერთ ქართველურ ენაში, რომელიც კლას-კატეგორიათა მორფოლოგიური სისტემის ნაშთთა შენარჩუნების თვალსაზრისით ყველაზე არქაულია² — საპირისპირო მოვლენა გამოიწვია: ინკლუზიურ-ექსკლუზიურ კატეგორიათა ჩამოყალიბება ზმნის სისტემაში, რის წყალობითაც ენაში ერთგვარი სტრუქტურული წონასწორობა დამყარდა.

¹ გრამატიკულ კლას-კატეგორიათა ბინარული სისტემის რღვევამ შეაპირობა ამ სისტემაში არსებული მორფოლოგიური დაპირისპირების მოშლა. პირველი და მეორე პირისა „არაპერსონალურ“ მესამე პირთან, რომლითაც სტრუქტურულად მოტივირებული იყო ინკლუზიურ-ექსკლუზიური კატეგორიის ფუნქციონირება ნაცვალსახელურ სისტემაში.

ანალოგიურ სტრუქტურულ მიმართებებს უნდა ჰქონოდა ადგილი მთის იბერიულ-კავკასიურ ენებში. ინკლუზიურ-ექსკლუზიურის გარჩევა ამ ენათა პრონომინალურ სისტემაში შეპირობებული იყო მათი მორფოლოგიური სისტემისათვის ისტორიულად დამახასიათებელი ორი გრამატიკული კლასის არსებობით (აღამიანი—ნივთი). ბინარული სტრუქტურის კლას-კატეგორიათა მორფოლოგიური სისტემის გართულებამ მთის იბერიულ-კავკასიურ ენებში, ხოლო გარკვეულ შემთხვევაში ამ კატეგორიათა სრულმა მოშლამ (იხ. არნ. ჩიქობავა, ფუძის აგებულება, გვ. 258) ბუნებრივად გამოიწვია ზოგიერთ ამ ენათგანში ინკლუზიურ-ექსკლუზიურის კატეგორიის დაკარგვა პრონომინალურ სისტემაში. იმ მთის კავკასიურ ენებში, რომლებიც ამჟამად არ განარჩევენ ინკლუზიურ-ექსკლუზიურ ნაცვალსახელში, ან ისტორიულად არსებული პრონომინალური კატეგორიის კვალია საძიებლო.

² არნ. ჩიქობავა, ფუძის აგებულება, გვ. 261.

ამგვარი გარჩევა სვანური ზმნის სისტემაში შეიძლებოდა გაჩენილიყო მხოლოდ მას შემდეგ, რაც ქართველურ ზმნაში პირის კატეგორია ჩამოყალიბდა და ისტორიულად არსებული კლას-კატეგორიათა ექსპონენტები რეინტერპრეტირებულ იქნენ როგორც პირის ნიშნები¹. ექსკლუზიური ნ-აყა, რომლის ნ-ფორმანტი ისტორიულად ექსკლუზიური *ნა-ნაცვალსახელისაგან მომდინარეობს, დაუპირისპირდა გუ-აყა ფორმას, რომლის გუ-ფორმანტი გააზრებული იყო როგორც მრავლობითობის ინკლუზიური ვარიანტი² მაჩვენებელი ზმნის მრ. რიცხვის პირველი პირის ფორმაში. წარმოშობით ეს გუ-ფორმანტი იგივეა, რაც პირველი სუბიექტური პირის ხტ-პრეფიქსი (ხტ-პრი ვვარ — ხტ-პრი-დ ვვართ³), რომელიც ეტიმოლოგიურად ქართ. S_1 ვ- და O_1 გუ-ფორმანტებს უკავშირდება⁴. ეგევე გუ- და ნ-ფორმანტები გამოყენებულ იქნა კუთვნილებით ნაცვალსახელთან პრონომინალურ სისტემაში ისტორიულად არსებული ინკლუზიურ-ექსკლუზიური დაპირისპირების გასატარებლად და ძველი სისტემის საკომპენსაციოდ: გუ-შგუ-ჟ „ჩვენი“ (ჩემი და შენი || თქვენი) და ნ-ი-შგუ-ჟ „ჩვენი“ (ჩემი და მისი || მათი)⁵. ამ ფორმათა ანალოგიით იქნა მიღებული მხოლოდ რიცხვის პირველი პირის მ-ი-შგუ || მ-ი-შგუ-ი ფორმა, რომელიც *ჩ-ტე-მ-ფორმისაგან მომდინარეობს მხ. რიცხვის პირველი ობიექტური პირის მ-პრეფიქსის (მ-ე-ტხე „მამბრუნებს“) დართვით. მაშასადამე, მ-ი-შგუ-ი და გუ-შგუ-ჟ || ნ-ი-შგუ-ჟ ფორმები სვანურში გაჩნდნენ მას შემდეგ, რაც ზმნის სისტემაში მრავლობითობის ინკლუზიურ-ექსკლუზიური ვარიანტების გარჩევა ჩამოყალიბდა.

§ 5. შინაგანი რეკონსტრუქციის გზით ამგვარად აღდგენილი ქართველურ პირისა და კუთვნილებით ნაცვალსახელთა უძველესი ფორმები ქმნიან მწყობრ სისტემას, რომელიც ნაწილობრივ დაიშალა სხვადასხვა ფაქტორების ზეგავლენით ცალკეულ ენათა ის-

¹ ქართველური ზმნის სისტემაში ყველაზე გვიან მორფოლოგიურად უნდა გაფორმებულიყო მესამე პირის ფორმა. მესამე პირის სუფიქსი ზმნაში შედარებით ახალი ფორმაციისაა (იხ. ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, მესამე პირის სუბიექტის უძველესი ნიშანი ქართველურ ენებში: ენიმკის მთამზე, V—VI, 1940, გვ. 13 შმდ.). ამგვარი ქრონოლოგიური სხვაობა მესამე პირისა და პირველ-მეორე პირის ფორმებს შორის იმით უნდა აიხსნებოდეს, რომ მესამე სუბიექტური პირის მორფოლოგიური ჩამოყალიბება ქართველური ზმნის სისტემაში შეიძლებოდა დაწყებულიყო მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოიშალა მორფოლოგიური დაპირისპირება ვინ- და რა-ჯგუფის სახელებს შორის და „არაპერსონალური“ მესამე პირი პირველ და მეორე პირს გაუთანაბრდა.

² ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, მრავლობითობის 'აღნიშვნის ძირითადი პრინციპისათვის ქართული ზმნის უღვლილების სისტემაში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I, 1946, გვ. 120 შმდ.

³ შდრ. ვ. თ ო ფ უ რ ი ა, სვანური ენა. 1. ზმნა, გვ. 27, შნშ. 1.

4. თ. გამყრელიძე

ტორიული განვითარების პროცესში. ეს სისტემა სქემატურად შემდეგ ტაბულაშია წარმოდგენილი:

მბ. რ. პირის კუთვნილებითი	მრ. რ. პირის კუთვნილებითი
1. მ-ტე-ნა ¹ ჩ-ტე-მ-	1. {ჩ-ტე-ნა ¹ (ინკლ.) ჩ-ტე-ნა- ნა- (ექსკლ.) —
2. შ-ტე-ნა ¹ შ-ტე-ნ-	2. თქ-ტე-ნა ¹ თქ-ტე-ნ-

ამ სქემაში ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ კუთვნილებითი ნაცვალსახელები ატრუქტურულად პირის ნაცვალსახელთა იდენტურნი არიან. კუთვნილებითი ნაცვალსახელის ფორმა სხვა არაა, თუ არა ატრიბუტულად გამოყენებული შესატყვისი პირის ნაცვალსახელი, რომელსაც საზღვრული სახელისათვის დამახასიათებელი ბრუნვის ნიშანი ერთვის. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს მბ. ოიცხვის პირველი პირის ნაცვალსახელური ფორმები, სადაც ერთგვარი სუბლექტივიზმი შეინიშნება: კუთვნილებითი ნაცვალსახელისათვის განოყენებულია სხვა ფუძე, რომელიც ემთხვევა სტრუქტურულად მრავლობითი ოიცხვის ინკლუზიურ ფორმას. განსხვავებას მაოლოდ სადეტერმინაციო -მ-/-ნ- ელემენტები ქაინან¹.

¹ ქართველურ პირისა და კუთვნილებით ნაცვალსახელთა ეს სისტემა ტიპოლოგიურად იდენტურია რეკონსტრუირებული ინდოევროპული პირის ნაცვალსახელური სისტემისა. პირის ნაცვალსახელური ფორაბი ინდოევროპულში, ისე როგორც ქართველურში, არსებითად უბრუნველ ფუძეთა დაჯგუფებას წარმოადგენს. ინდოევროპული პირის ნაცვალსახელური სისტემა შეიცავს მხოლოდ პირველი და მეორე პირის ფორმებს. ძესამე პირისათვის გამოყენებულია ჩვენებითი ნაცვალსახელები. კუთვნილებითი ნაცვალსახელები წარმოადგენენ პირის ნაცვალსახელური ფუძეებისაგან გარკვეული სუფიქსით ნაწარმოებ ზედსართავ სახელებს. ამ მხრივ პირველი პირის ფორმაში, ისე როგორც ქართველურ ნაცვალსახელურ სისტემაში, შეინიშნება სუბლექტივიზმი: სახელობითში გამოყენებულ *eḡm(m) ფუძეს (ლათ. egr. ბერძნ. ἔγω(γ), სკრ. aham < *eǵm. e/om) ირიბ ბრუნვებში *mo- ძირი ენაცვლება (ლათ. mō, ბერძნ.(გ)μῦξ და სავ.). რომლისგანაც ნაწარმოებია კუთვნილების განმარტველი ადიექტიური ფორმები: ლათ. meus < *mei-ōs. გოთ. meins < *me-īno- და სხვ. ეპყვე m-ძირი გამოყენებულია ინდოევროპულში მრავლობითი ოიცხვის პირველი პირის ნაცვალსახელური ფორმის საწარმოებლად; შდრ. ძვ. სლავ. Mbi, ლიტ. mēs. ანავე პირისათვის განსხვავებული *w- ძირის არსებობა (სკრ. vāyān, გოთ. wais), რომელიც თავს იჩენს აგრეთვე მრ. ოიცხვის სეორე პირის ფორმაშიც: *we/o- (ლათ. vīs, ძვ. სლავ. Bli, სკრ. აკუნ. vas- და სხვ.), სენს საკითხს ინდოევროპულ ნაცვალსახელში მრავლობითობის ინკლუზიურ-ექსკლუზიური ვარიანტების ოდინდელი გარჩევის შესახებ (შდრ. Э. Прокоп, Сравнительная грамматика германских языков. Перевод с английского. Москва, 1934, გვ. 308 შნდ.). ინკლუზიურ-ექსკლუზივი ინდოევროპულ პრანომინალურ სისტემა-

III. სქ/სკ კომპლექსიანი ფორმები ზანურსა და სვანურში

§ 1. /სგ/ კომპლექსი სვანურში ქართული შიშინა /შ/ სპირანტის შესატყვისად წარმოდგენილია აგრეთვე სახელებში ბზ. ნწ-სკა || ლწტ. ნე-სკა და ი-სკა || ი-სგ „შუა“: ნწსკა ლადელ, ბზ. ისგ-ლადალ „შუადლე“; ისგ-ღწთ „შუადამე“. ეგვევ [ი]-სკა || სკა ფუფე გამოყენებულია სვანურში პრეფერბად და თანდებულად: შდრ. უშგ. მიჩა გეზალს ისგროთდე || სგროთდე ქად(წ)თე „მის შვილს ჩაუდვა მუცელში“; ეცრ. ლხმ. ისგაჩადა „შევიდა“ და სხვ. პრეფერობის ფუნქციით [ი]-სკა- || სკა- სვანურში მიმართულების (და ასპექტის) გამომხატველია, ისე როგორც შესატყვისი წინდებულები დანარჩენ ქართველურ ენებში. თანდებულად ხმარებული -ისკა სახელს მიცემით ბრუნვაში წართავს: შდრ. ბზ. ფხულაჰსკა „ოთიში“, კვშხისკა „ფეხში“; ეცრ. ლკკლისკა „წყალში“ და სხვ. ლაშხურში საერთო სვანური -ი-სკა წარმოდგენილია -ისა ფორმით: ლაშხისა „ლაშხეთში“, ცხეკისა „ტყეში“ და სხვ.¹ ვ. თოფურია სავსებით სამართლიანად მიიჩნევს სვან. ი-სკა ფორმის ეკვივალენტად მეგრულში შქა-ს და ქართულში ში-ნა (თუ: შოვა > შუა) ფორმებს². გასარკვევია ოლონდ, თუ რატომა გვაქვს ქართული /შ/ სპირანტის შესატყვისად ზანურში კანონზომიერი /შქ/ კომპლექსი, ხოლო სვანურში — /სგ/.

ყველა ეს ფორმა უნდა მომდინარეობდეს *შოვ- ფუძისაგან, რომელიც დასტურდება ისტორიული ხანის ქართულში:

1. შოვ-ა: ...იყო კუალად ნავი იგი შოვა (ქ შუვა) ოდენ ზლუასა მას (მარკ. D 6,47); ...და მივიდეს მისა შოვა (ქ შუვა) ღამეს (ლუკ. D 11,5);

2. სა-შოვ-ალ: ...იყო ნავი საშოვალ ზლუასა (მარკ. C 6,47; შდრ. DE 6,47); ...სადა ჯუარს-აცუეს იგი, და მის თანა ორნი სხუანი, იმიერ და ამიერ და საშოვალ იესუ (იოვ. C 19,15).

ამოსავალმა *შოვ-ა ფორმამ მოგვეცა ქართულში ისტორიულად დამოწმებული შუა || შუვა, რაც მეტად ბუნებრივი ფონეტიკური

ში ბუნებრივია, თუ გავითვალისწინებთ ინდოევროპელისათვის ისტორიულად დამახასიათებელ მორფოლოგიურ დაპირისპირებას სულიერ და უსულს საგანთა აღმნიშვნელ სახელებს შორის (აგვარი დაპირისპირების შესახებ ინდოევროპულში იხ. L. Hjelmslev, *Animé et inanimé, personnel et non-personnel: Travaux de l'Institut du Linguistique*. I. Paris, 1956, გვ. 155 წაღ.)

¹ ვ. თოფურია, სვანური ენა. I. ზნა, თბილისი, 1931. გვ. 52 წაღ.

² იქვე, გვ. 65.

პროცესია ქართულისათვის: შდრ. მთოვარე > მთუარე, ცხოვარი > ცხუარი, სანოვაგე > სანუაგე, გოვარი > გუარი¹.

*შოვ- ფუძე, რომელიც საფუძვლად დაედო ყველა ზემოთ განხილულ ქართველურ ფორმას, თავის მხრივ *შუ-ავ- ფორმისაგან უნდა მომდინარეობდეს. *შუ-ავ- ფორმის აღდგენა სრულ სტრუქტურულ პარალელიზმს ამყარებს ისეთ ფუძეებთან, როგორცაა: გზ-ავ || გზ-ალ, ქვ-ავ || ქვ-ალ და სხვ. ამგვარად პოსტულირებულ *შუ-ავ- ფორმას უნდა მოეცა ისტორიული ხანის შოვ- ფუძე, ისე როგორც *ქვ-ალ- ფორმამ მოგვეცა ქოლ-: ჩა-ქოლ-ვა < *ჩა-ქვ-ალ-ვა². ამ თვალაზრისით ძვე. ქართული შოვრის > შორის ზმნისართი, რომელიც ნანათესაობითარ სახელს წარმოადგენს, სტრუქტურულად იდენტური აღმოჩნდება მ-გზ-ავ-რ- ფორმისა: შოვრის < *შუ-ავ-რ-ის.

*შუ-ავ- > *შოვ- პროცესი უნდა მომხდარიყო ჯერ კიდევ საერთო ქართველურში, რამდენადაც ყველა ამ სიტყვასთან დაკავშირებული ისტორიულად დამოწმებული ქართველური ფორმა *შოვ- ფუძისაგან მომდინარეობს.

ზანურ-სვანურ არეალში *შოვ-ა ფორმამ მოგვეცა კანონზომიერი *შქოვ-ა, რომელმაც შემდგომ დამოუკიდებელი განვითარება განიცადა ზანურსა და სვანურში.

სვანურში *შქოვა || *შგოვა ფუძეს დაერთო ნე- პრეფიქსი და გარკვეულ შემთხვევებში პროთეტული ი- ხმოვანი: *ნე-შგოვა, *ი-შგოვა. ამ ფორმათა შემდგომი განვითარება მახვილმა განსაზღვრა, რომლის გავლენითაც სვანურში მარცვალთა რაოდენობის შემცირება ხდება: შდრ. ბზ. დედფალ < დედოფალ-ი; ბზ. მაცხტჳრ < მაცხოვარ-ი, ლშხ. ანგლოზ < ანგელოზ-ი და სხვ³. მაშასადამე, გექონდა *ნე¹-შგოვა || *ი-შგოვა > *ნე-შგტა || ი-შგტა > *ნე-სგტა || *ი-სგტა.

-შგ- კომპლექსი კანონზომიერად გადავიდა შესატყვის სისინა-სგ- კომპლექსში ბაგისმიერი ჟ-ს გავლენით, რომელიც შემდგომ გაუჩინარდა ამ ფორმათა ნაწილაკების ფუნქციით ხშირად ხმარების გამო. ჟ-ს დაკარგვა, როგორც ცნობილია, არ არის უცხო სვანური ფონეტიკისათვის⁴. ამგვარად მიღებული ი-სგა თანდევ-

¹ შდრ. ილ. აბულაძე, ძველი ქართულის ლექსიკიდან. გოვარი > გუარი: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, IV, 1953, გვ. 363 — 369.

² შდრ. არნ. ჩიქობავა, ფუძის აგებულება, გვ. 13 შმდ.

³ ს. ელენტი, სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, თბილისი, 1949, გვ. 111 შმდ.; შდრ. აგრეთვე G. Deeters, Das kharthwelische Verbum, Leipzig, 1930, გვ. 17 შმდ.

⁴ შდრ. სვანური ნაცვალსახელური ფორმები. შდრ. აგრეთვე სვან. არა < *არ ჟა: ქართ. რვა, მეგრ. რუო; ქართ. ჯვ-испранияться, მეგრ.-ქან. ძგვ-: სვან. სგ- < *სგ ჟ- და სხვ.

ბული იმავე მიზეზების გამო შემდგომ გამარტივებას განიცდის ლაშხურსა და ლენტეხურში, სადაც იგი -ისა ფორმით არის წარმოდგენილი (იხ. ზემოთ). კომპოზიტებში ისგა სახელს ბოლოკიდური -ა ხმოვანიც ეკვეცება: შდრ. ისგლწთ „შუალამე“, ბქვ. ლშხ. ისგლადელ „შუადლე“, ისგღწრობ „შუა პურის ქამა“ და სხვ.

ამოსავალ *შოვ-ა სახელს ზანურში უნდა მოეცა კანონზომიერი *შქოვ-ა. ბოლოკიდური სუფიქსისეული -ა არ იძლევა ზანურში კანონზომიერ ფონეტიკურ შესატყვისს ო-ხმოვნის სახით, როგორც ეს სხვა ფორმებშიც დასტურდება: შდრ. ძმ-ა < ძამ-ა: მეგრ. ჯომ-ა, კან. ჯუმ-ა; მამ-ა: მეგრ. მუმ-ა; ტბ-ა < ტამ-ა: მეგრ. ტომ-ა და სხვ.¹

*შქოვ-ა ფორმაში ბაგისმიერი ვ-ს დასუსტება-დაკარგვის შედეგად² უნდა მიგველო *შქოა ფორმა. -ო + ა- კომპლექსი მეგრულ-ქანურში, ისე როგორც ქართულის ზოგიერთ კილოში, -ჭ + ა- საფეხურის გავლით -ა- ხმოვანს იძლევა: შდრ. კან. დასვეს < დო-ასვეს „წაეცხოთ, წაესვათ“; ქამაფთი < ქო-ამაფთი „დავდექი, ამოვედი“; ქამიყონეს < ქო-ამიყონეს „მიიღეს (სკოლაში)“; ქომალუ (< ქომო-ალუ) თელი „მოედო მავთული“ და სხვ.⁴

ანალოგიური განვითარება უნდა გვექონოდა *შქო-ა > შქა ფორმაში. აქ, შესაძლებელია, აღსადგენია გარდამავალი *შქუა საფეხური, მაგრამ ამგვარი -ჭ- ზანურის განვითარების გვიანდელ ეპოქაში ვეღარ გადაიყვანდა წინამავალ შქ- კომპლექსს შესატყვის სისინა სქ- კომპლექსში, რამდენადაც ეს ფონეტიკური პროცესი აღარ მოქმედებდა ზანურში, განსხვავებით სვანურისაგან, სადაც იგი უფრო რეგულარულად არის გატარებული შედარებით გვიანდელ პერიოდშიც.

ამგვარად მიღებული შქა ზანურში აღნიშნავდა „შუა“-ს (შდრ. მეგრ. შქა-ღლა „შუადლე“; შქა-კითი „შუათითი“; შქა-სერი „შუალამე“⁵) და „წელ“-ს, „поясница“, რაც სემანტიკურ კავშირ-

¹ ამის შესახებ იხ. არნ. ჩიქობავა, ფუძის აგებულება, გვ. 7 შმდ.

² შდრ. არნ. ჩიქობავა, ქანურის გრამატიკული ანალიზი, თბილისი, 1936, გვ. 24.

³ შ. ძიძიგული, ხმოვანთა კომპლექსების ფონეტიკურ პროცესთა საერთო საფუძველი ქართულ კილოებსა და ზანურში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, 1, 1946, გვ. 25 შმდ.; შდრ. ი. შ. ასათიანი, *Провербы в занском (мегрельско-чанском) языке*. Автореферат диссертационной работы, представленной на соискание учёной степени кандидата филологических наук, Тбилиси, 1953, გვ. 7.

⁴ არნ. ჩიქობავა, ქანურის გრამატიკული ანალიზი, თბილისი, 1936, გვ. 35.

⁵ მეგრ. სქა-სერი ფორმაში მომხდარია თავკიდური შ-ს ასიმილაციური გასისინება. შდრ. აგრეთვე სქა-სქერი (И. Кяпшидзе, *Грамматика мизгельского (иверского) языка*, С.-Петербург, 1914, გვ. 317.

შია ძირითად მნიშვნელობასთან (შდრ. სვან. ლშხ. ისგ-2/უნეჟი „წელსზევით“ და ისგ-2/უნჩუ „წელსქვევით“). აქედან არის ნაწარმოები სხვადასხვა აფიქსების საშუალებით ზედსართავის ფორმები: მეგრ. ო-შქ-ალ-ი || ო-შქ-არ-ი „შუათანა“; ქან. ო-შქ-ენ-ონ-ი || ო-შქ-ენ-ან-ი „შუათანა, საშუალო“¹. ქანურის შკა ვარიანტი მეორეულია: შკა < შქა².

ზემოთ აღნიშნული გვექონდა, რომ სვანურში პრევერბისა და თანდებულის ფუნქციით გამოყენებული ოისგა ფორმა წარმომავლობით იგივეა, რაც სახელური ფუძისაგან მომდინარე ნესგა || ისგა.

ანალოგიური ვითარება უნდა გვექონოდა ქართულში, ოღონდ აქ შე- პრევერბმა და შინა თანდებულმა ისეთი ფონეტიკური ცვლილებები განიცადა, რომ მათი ეტიმოლოგიური კავშირი ამოსავალ შოვა სახელთან დაჩრდილულ იქნა. ცნობილია, რომ ძველ ქართულში შინა თანდებული, რომელიც სახელს მიცემით ბრუნვაში მართავს, შინა ზმნისართისაგან მომდინარეობს³. ისმის კითხვა, რა წარმომავლობისა უნდა იყოს თვით ეს შინა ზმნისართი? სვანურის მასალა ჩვენ სრულ უფლებას გვაძლევს შინა ზმნისართი სახელურ ფუძედ მივიჩნიოთ და იგი იმავე *შოვა-ს სახელს დავეკავშიროთ, რომლისგანაც სვანური ფორმები მომდინარეობს. ძე-ქართულში შოვა > შუვა ფორმა ზმნისართის ფუნქციითაც იხმარებოდა: შდრ. წარმოდევ შ უ ვ ა! (მარკ. C 3,3. წდრ. ბერძნ. ἐξείρε εἶτα ἄβ μᾶτιν). თანდებულის ფუნქციით ხმარებისათვის შდრ. „და რომელნი იყვნენ შ უ ვ ა მისა, განიელტოდედ“ (ლუკ. C 21, 21; შდრ. ბერძნ. καὶ οἱ ἐν μᾶτιν ἄβταρξ ἐχχαραῖτασθ). აშკარაა, რომ შოვა > შუვა სახელის გაქვევებული ფორმა, რომელსაც ლოკატივის მნიშვნელობა ჰქონდა, ძველ ქართულში ზმნისართისა და თანდებულის ფუნქციითაც იხმარებოდა, თუმცა მაგალითები ამისა შედარებით იშვიათია. ამ ფუნქციით ძე. ქართულში ძირითადად შინა ფორმა არის წარმოდგენილი, რომელიც *შოვა-ანა ფორმისაგან უნდა მომდინარეობდეს⁴. -ან სუფიქსი აქ იმავე რიგისაა, რაც ქუე-ნა,

¹ არნ. ჩიქობავა, შედარებითი ლექსიკონი, გვ. 246; შდრ. მისივე, ფუძის აგებულება, გვ. 197.

² იქვე, გვ. 68.

³ ა. მართორთავი, თანდებულები ქართულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, 1, 1946, გვ. 217 შმდ.; მისივე, წინდებულისა და თანდებულის ისტორიული ურთიერთობისათვის ქართულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, VIII, 1956, გვ. 41 შმდ.

⁴ ამ მხრივ მეტად საგულისხმოა შინა < *შოვა-ანა და შოვა-რის თანდებულთა იდენტობა: შდრ. შორის სახლსა დავითის, ლ. C 1, 69 (=სახლსა შინა, შდრ. ბერძნ. ἐν οἴκῳ Δαυείδ); შესაკრებელსა შორის მათსა.

ზე-ნა ფორმებში. ამოსავალი *შოე-ა-ნა ფორმა მოგვეცემდა *შუ-ა-5ა > *შა-ნა ფორმებს¹. უმახვილო ა-ხმოვნის დაეიწროების შედეგად მივიღეთ *შე-ნა² > ში-ნა. შემთხვევითი არაა, რომ შინა თანდებული სახელს მართავს მიცემითში, რომელიც ან შემთხვევაში ლოკატივის ფუნქციას ასრულებს. უფრო ზუსტი იქნებოდა გვეთქვა, რომ შინა ზმნისართი, რომელიც წარმოშობით ლოკატივის გამომხატველი სახელური ფუძეა, (dativus-locativus-ში დასმულ სახელს ასინდეტურად დაერთვის და ამით მეტად აკონკრეტებს მას³. ამით უნდა აიხსნებოდეს ის, რომ ხშირად ადგილის გარემოება მარტო მიცემითი ბრუნვით არის გამომხატული, შინა თანდებულის გარეშე. შდრ. „...ოდეს გიხილეთ შენ... საპყრობილესა“ (მ. DE 25, 44) და „...ოდეს გიხილეთ შენ... საპყრობილესა შინა“ (მ. C 25, 44; შდრ. ბერძნ. ...πότε σε είμιμεν... ἐν φυλακῆι)*. მაშასადამე, „საპყრობილესა“ ისტორიულად ნიშნავდა „საპყრობილეში“, ხოლო

(მ. D 4, 23) II შესაკრებელთა შინა მათთა (მ. C 4, 23) (შდრ. ბერძნ. ἐν ταῖς συναγωγαῖς ἀπ᾽ αὐτῶν).

¹ ჭ-ს დაკარგვისათვის შდრ. უკუანა > უკანა, უკუეთუ > უკეთუ და სხვ. (იხ. ზემოთ).

² შდრ. უკუან > ხევს. უკვენ; კარ- (გურ. და-უკარ-ი; ხევს. ნა-კარ-ი; ხან. კკორ-) > კერ- (და-ე-კერ). ა-ე პროციესისათვის ქართულში შდრ. გ. მაკავარიანი, ხმოვანთა შესატყვისობის ისტორიიდან ქართველურ ენებში: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 69, 1958, გვ. 269 შმდ.

³ შდრ. ა. მარტიროსოვი, მიცემითი და ნათესაობითი ბრუნვის წარმოება და ფუნქციები ძველ ქართულში: „სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში“. I. თბილისი, 1956, გვ. 379.

⁴ მაგალითები იხ. ა. კიხირია, ადგილისა და დროის გარემოება ძველ ქართულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, V, 1953, გვ. 102 შმდ.

არსებობს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ უძველეს ეპოქაში „შინა“ თანდებულთა ვინ- ჯგუფის აღმნიშვნელ სახელებთან ნათესაობით ბრუნვას წიითზოვ-და (ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბილისი, 1957, გვ. 325 შმდ.). ანალოგიური ვითარება გვაქვს ძველ ქართულში „შოვარი ს“, „წინა შე“, „თანა“ და „ხედა“ თანდებულთა შემთხვევაში: სულიერ საგანთა აღმნიშვნელ სახელებთან გამოყენებულია, როგორც წესი, ნათესაობითი ბრუნვა, უსულთა საგანთა აღმნიშვნელ სახელებთან კი — მიცემითი (კ. კეკელიძე, „წინა შე“, „თანა“ და „ხედა“ თანდებულთა სინტაქსური ფუნქციისათვის ძველ ქართულში: საქართველოს მეცნ. აკად. მოამბე. III. 1942, № 2, გვ. 179 — 182; № 3, გვ. 283 — 287). ამგვარი სინტაქსური სხვაობა ლოკატიური მნიშვნელობის გამომხატველ თანდებულთა ხმარებაში იმით უნდა აიხსნებოდეს, რომ მიცემით ბრუნვაში დასმული ვინ- ჯგუფის აღმნიშვნელი სახელი ქართველურში მხოლოდ ობიექტის (პირდაპირისა ან ირიბის) განომხატველი იყო, განსხვავებით რა- ჯგუფის აღმნიშვნელი სახელისაგან, რომელიც

„საკერობილესა შინა“ — „საკერობილესი, (ვის) შიგნით, შუაში“¹.

ამავე * შოვა- ფორმისაგან უნდა მომდინარეობდეს შე- პრევერბი ქართულში, რომლის ფუნქციაა მიმართულების გამოხატვა გარედან შიგნით: * შოვა- > * შუა > შა-² > შე-³. ამგვარად, შე-პრევერბი და შინა თანდებული უკავშირდებიან ერთმანეთს მათი საერთო წარმომავლობით * შოვა სახელისაგან.

ქართული შე-პრევერბის ეკვივალენტია ზანურში -შა- წინდებული. თუ სწორია ჩვენი მოსაზრება შე-პრევერბის წარმომავ-

მიცემით ბრუნვაში ლოკატიური მნიშვნელობითაც იხმარებოდა. Dativus-locativus-ი მხოლოდ რა- ჯგუფის გამოხატველ სახელთათვის იყო დამახასიათებელი. ამგვარ ვითარებაში ადგილის გარემოების საწარმოებლად რა- ჯგუფის სახელებთან დამოყენებული იყო მიცემითი ბრუნვა, რომელსაც გარკვეულ შემთხვევაში ადგილის დაკონკრეტებისათვის ლოკატიური მნიშვნელობის გამომხატველი სახელები ერთვოდა. ვინ- ჯგუფის აღმნიშვნელ სახელთა შემთხვევაში ამავე კატეგორიის წარმოქმნა მხოლოდ ლოკატიური მნიშვნელობის მქონე თანდებულების საშუალებით იყო შესაძლებელი, რომლებიც ისტორიულად დამოუკიდებელი შინაარსის მქონე სახელებს წარმოადგენდნენ და რომლებიც ასეთ შემთხვევაში სინტაქსურად სახლერულის ფუნქციით გვევლინება.

¹ ტიპოლოგიურად იდენტური წარმოება გვაქვს აქადურ ენაში. ლოკატიურ-ადვერბიალური -u(m) სუფიქსით გაფორმებული დამოუკიდებელი შინაარსის მქონე სახელები libhum „გული, შუაგული“ და qerbum „შუაგული, Inneres“ წინდებულების ფუნქციით იხმარება, რომლებიც ქართ. შინა თანდებულის ეკვივალენტია: შდრ. qerbum Babilim, qerbum Akkadim „ბაბილონსა შინა“, აქადსა შინა“ (litt. „გულსა ბაბილონისასა, აქადისასა“); libbu ālim „ქალაქსა შინა“ (litt. „გულსა ქალაქისასა“) და სხვ. ეგვე სიტყვები შეიძლება ნახნარი იყოს პრეპოზიციური ფუნქციით პირველად ina წინდებულთან: ina libbi āli, ina qereb āli „ქალაქსა შინა“ (შდრ. W. von Soden, Grundriss der Akkadischen Grammatik, Roma, 1952, გვ. 164 შმდ.).

² შა- ფორმა დასტურდება მთის კილოებში და კახურში. ა-ხმონის ე-დ დაეწროების შედეგად მივიღეთ ძვ. ქართულში დადასტურებული შე-ფორმა. შა- ფორმის სიძველის შესახებ შდრ. აგრეთვე G. Deeters, Das kharthwelische Verbun, Leipzig, 1930, გვ. 10 შმდ.

³ უმახვილო ნაწილაკებად ხმარებული წინდებულებისა და თანდებულების ფონეტიკურ ცვლილებათათვის ქართულში შდრ. მაგ. -მ დე, -მ დის თანდებული, რომლის პირვანდელი სახე უნდა ყოფილიყო შესაბამისად მი-დ-ლ-ე-დ და მი-დ-ლ-ის (იხ. ა. შანიძე, -მ დე თანდებულის გენეზისისათვის: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 111, № 4, 1942, გვ. 369 შმდ.). შდრ. აგრეთვე -და მ თანდებული, რომელიც და ღ მ ა ზმნისართისაგან მომდინარეობს: -და ღ მ ა || და ღ მ ე > -და მ ე (|| -და მ ა) > -და მ (არ ნ. ჩიკობავა, ერთი უცნობი თანდებული ახალ ქართულში: ენიმკის მოამბე, 1, 137, გვ. 55 შმდ.). ა. შანიძის აზრით, წიალ- ზმნისწინი მომდინარეობს წყლი-ს-ა-ლ-ისაგან, ხოლო და- პრევერბი და ბ- ნაწილაკისაგან (შდრ. ქართ. და ბ-ა, მ-და ბ-ა-ლ-) (ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1, თბილისი, 1953, გვ. 268 — 269). ამგვარ მნიშვნელოვან ფონეტიკურ ცვლილებათა მიზეზებისათვის ხშირად ხმარებულ სიტყვებში იხ. ზემოთ.

ლობის შესახებ შოვა > შუა ფორმისაგან, მოსალოდნელია, რომ ზანური -შა- წინდებული ამავე * შოვა > შქა || შქა ფორმას დაუკავშირდეს, რაც, როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, სვანურის ვითარებას ასახავს. ასეთ შემთხვევაში სრული პარალელიზმი გვექნებოდა ამ თვალსაზრისით სამსავე ქართველურ ენაში.

-შა- ნაწილაკი ზანურში იხმარება როგორც მეორე კომპონენტი რთული პრეფერბისა. -შა- ნაწილაკიანი რთული წინდებულები თითქმის ყოველთვის აღნიშნავენ მიმართულებას, მოძრაობას შიგნით ან შიგნიდან: შდრ. კან. ე-: *ჯუშუ ვა ეხთუ* „შარილი არ აღმოცენდა“ („არ ავიდა, არ ანოვიდა“), მაგრამ ე-შა-: *მამული ქეშაფუთხუ* „მამალი ამოფრინდა“ (შიგნიდან ზევით აფრინდა); მე-შა-: *ფაცხა დოეუ დო ქომეშახელუ* „ფაცხა გააკეთა და შიგ დაჯდა“ (მი-შიგ-ჯდა); გო-შა-: *...ნკოლი ქექ გოშახენ* „...კალია იქ ზის“ (გა-შიგ-ზის); გე-შა-: *...ჭუკი ქოგეშადგესდორენ დაჩხუის* „...ქვაბი ჩაუდგამთ ცეცხლში“ და სხვ.¹

ქანურის ათინურ კილოკავში ე-შა- და მე-შა- წინდებულები წარმოდგენილია ე-შქა- || ე-შქა- და მე-შქა- ფორმების სახით. მნიშვნელობით ეს პრეფიქსები სავსებით ემთხვევა ხოფურისა და ვიწურ-არქაბულის ე-შა- და მე-შა- პრეფერბებს²: შდრ. ნეკრაში *ჯინდო მეშკაფდარე* (არნ. ჩიქ., გვ. 122. 16 — 17) „კარების ზემოდან შევალ“; *დოლოხე გუდამა ქომეშკახთუ* (არნ. ჩიქ., გვ. 137. 16 — 17) „შიგ გუდაში შევიდა“; *ჰიმ ბიჭი-თი ჰიმ შეეფე ქეშქილუ* (არნ. ჩიქ., გვ. 127. 22 — 23) „იმ ბიჭმაც ის ნივთები ამოიღო“; *ბიჭი-თი კალათიშე ქეშკახთუ* (არნ. ჩიქ., გვ. 127.25) „ბიჭიც კალათიდან ამოვიდა“; *ეშქილამს ბერჯითე* (არნ. ჩიქ., გვ. 95.17) „ამოიღებს თოხით“ და სხვ.

ეს გარემოება უდავოს ხდის -შა- პრეფერბის ეტიმოლოგიურ კავშირს შქა სიტყვასთან და მის წარმომავლობას მათთვის საერთო * შოვა ფორმისაგან. ათინურ კილოკავს არქაული ე-შქა-, მე-შქა- ფორმები შემოუნახავს, მაშინ როდესაც ქანურის დანარჩენ კილოკავებში და მეგრულში -შქ- კომპლექსმა ამ ფორმაში გამარტივება განიცადა უქანანისმიერი ხშული თანხმოვნის დაკარგვით: -შქა- > -შა-. აქ იმავე ვითარებასთან გვაქვს საქმე, რაც სვან. -ისგა თანდებულის შემთხვევაში, რომელიც ლაშხურსა და ლენტეხურში -ისა ფორმით არის წარმოდგენილი. ამიტომ ჩვენ ვერ გავიზიარებთ

¹ არნ. ჩიქობავა, ქანურის გრამატიკული ანალიზი, თბილისი, 1936, გვ. 117 შმდ.

² შდრ. არნ. ჩიქობავა, ხსენ. ნაშრ., გვ. 121.

იმ აზრს, რომ -შა- პრევერბი მეგრულ-ქანურში ქართულიდან არის ნასესხები¹.

პრევერბული წარმოების ფართო გავრცელებამ ზანური ზნის სისტემაში შეაპირობა ენაში თანდებულების მეტად შეზღუდული გამოყენება. ქართული თანდებულების ფუნქციას აქ პრევერბები ასრულებს². ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ეგვეე -შქა- || -შა- ელემენტი არ არის ზანურში წარმოდგენილი თანდებულის სახით, ისე როგორც ეს ქართულსა და სვანურში გვაქვს.

§ 9. „ძის, ვაჟიშვილის“ აღსანიშნავად სვანურში დასტურდება ჩბხ. *გმსგე, გმსგოლ*; ლხმ. *გმსგე*; ბხ. *სგეჲ ფორმები*. შდრ. აგრეთვე ჩბხ., ლხმ. *ლგმსგე* „შვილებიანი“; *ლგმსგეჲ* „(ბევრი) შვილებისა და შვილიშვილების პატრონი“.

ყველა ეს ფორმა კანონზომიერი შესატყვისია ქართული -მშო მიმღობისა, რომელიც ძვ. ქართულში პირმშოჲ „პირველშობილი“ სიტყვაში დასტურდება: და შვა ძჷ იგი მისი პ ი რ მ შო ჲ (ლუკ. DE 2,7) (შდრ. ბერძნ. *αα! ἔτεχευ τὴν σὶνὴν ἀπ’αὐτῆς τὴν πρῶτοντόκον*). -მშო მიმღობა ქართულში მომდინარეობს * მ-შვ-ე (<შვე-) ფორმისაგან (პრეფიქსულ-სუფიქსური ტიპი; წარმოებისათვის შდრ. გან-მ-გ-ე).

¹ G. Deeters, *Das kharthwelische Verbum*, Leipzig, 1930, გვ. 14. გამართლებული არ ჩანს აგრეთვე ეშკა- პრევერბის დაშლა როგორც ე-შ-კა-, სადაც -კა იმავე ნაწილაკად არის მიჩნეული, რაც კან. მე-კა-, შო-კა-, ე-კა- და მეგრ. მი-კა-, მუ-კა და ე-კა- პრევერბებში (იხ. А р и у. Ч и к о н а в а, *Морфологические встречи аб хазск. языка с картвельскими языками*: ენიკის მოამბე, XII, 1942, გვ. 157 შმდ.). -კა- ნაწილაკი გამოიყოფა ქანურში ყოველთვის როგორც რთული პრევერბის მეორე კომპონენტი. ე-შ-კა-პრევერბის შემთხვევაში გვექნებოდა ერთადერთი მაგალითი, სადაც რთული პრევერბი ხაში კომპონენტისაგან შედგება. ეშკა-პრევერბში -კა ელემენტი იგრევე რომ იყოს, რაც რთული პრევერბების მეორე კომპონენტი -კა, რომელიც პროდუქტიული ნაწილაკია როგორც ქანურში, ისე მეგრულში, მოსალოდნელი იქნებოდა მისი ხმარება -შა- პრევერბის შემდეგ ყველა სხვა შემთხვევაშიც როგორც ქანურში, ისე მეგრულში. -შქა- || -შკა- პრევერბები კი არამც თუ სხვა რთულ პრევერბებთან არ გვხვდება გარდა ე-შკა-, მე-შკა- ფორმებისა, არამედ მათი ხმარება შენოფარგლულია მხოლოდ ქანურს ათინური კილოკავით, და აქ ისინი იმავე მნიშვნელობით იხმარებიან, რაც სხვა კილოკავებისა და მეგრულის ე-შა- და მე-შა- წინდებულები. აშკარაა, რომ აქ შესაბამისად ორი ერთმანეთის მონაცვლე ფორმაა წარმოდგენილი. ე-შა- და მე-შა- პრევერბები უფრო არქაული ე-შქა-და მე-შქა- ფორმების გამარტივებულ სახესხვაობას წარმოადგენს. შემთხვევითი არაა, რომ სწორედ ათინურ კილოკავს, რომელიც ზანურის გავრცელების მარგინალურ არეალშია მოქცეული, -შა- პრევერბის არქაული -შქა- || -შკა- ვარიანტი შემოუნახავს.

² ა რ ნ. ჩ ი ქ ე ბ ა ვ ა, *ქანურის გრამატიკული ანალიზი*, თბილისი, 1936, გვ. 130.

მ-წიფ-ე). მიმლეობის მაწარმოებელი -ე სუფიქსის შერწყმის შედეგად ფუძისეულ -ვ- თანხმოვანთან მივიღეთ ისტორიულად დანოწმებული -მშო ფორმა (შდრ. სა-თნ-ო < *სა-თნ-ევ-ე; სა-ს-ო < *სა-ს-ავ-ე და სხვ.)¹. ეს ამოსავალი *მ-შე-ე მიმლეობა საფუძვლად დაედო ზემომოყვანილ სვანურ ფორმებს. *მ-შე-ე სახელს სვანურში უნდა მოეცა კანონზომიერი *მ-შგჷ-ე > *მ-სგჷ-ე ფორმა, რომელშიც ჩაეარდა ბავისმიერი -ჷ- ბგერა. ანლაუტში მოქცეულ მსგ-კომპლექსს გასუბსტანტივებულ *მსგე ფორმაში დაერთო პროთეტული ჯ- ხმოვანი. ჯმსგე ფორმის პარალელურად გვხვდება სგე || სგეჲ ფორმა, რომელშიც თავკიდური თანხმოვანთკომპლექსი გამარტივებულია სხვა საშუალებით: ისტორიულად მიმლეობის მაწარმოებელი მ- პრეფიქსის მოკვეციტ, რომელიც აღდგება ამ სიტყვისაგან ნაწარმოებ ნასახელარ ზნნაში, როგორც კი -მსგ-კომპლექსისათვის სათანადო ფონეტიკური პირობები შეიქმნება: შდრ. ბზ. სგეჲ „შვილი“, მაგრამ ლი-მსგჷჲ || ლი-მსგჷჷ „ვაჟიშვილის შეძენა“².

ქართ. შვ-ილ- ფორმის ეტიმოლოგიური შესატყვისი, რომელიც იწვევს შვე- ფუძისაგან ნაწარმოებ გასუბსტანტივებულ მიმლეობას წარმოადგენს, სვანურში არ მოგვეპოვება. აქ მას შეენაცვლა უცხო (?) წარმოშობის გეზალ სიტყვა.

ქართ. შვ-ილ- ფორმის კანონზომიერი შესატყვისია ზანურში კან. სქ-ირ-ი || სკ-ირ-ი < *სქე-ირ-ი, მეგრ. სქ-ი < სქ-ირ-ი „ვაჯი-შვილი (საქებური)“³. ისმის კითხვა, რა წარმოებისაა იმავე გარდამავალი *შევ- ფუძისაგან წარმომდგარი სქუა ფორმა, რომელიც ერთადერთი სიტყვაა „შვილისათვის“ მეგრულში? ეს ფორმაც, ექვს გარეშეა, პარტიციპიალური წარმოშობისა უნდა იყოს. ქართულისა და სვანურის შესატყვისი ფორმათა გათვალისწინებით შესაძლებელი ჩანს სქუ-ა ფორმის ეტიმოლოგიურად დაკავშირება იმავე *მ-შე-ე მიმლეობასთან, რომელიც საფუძვლად დაედო ქართ. (პირ)მშო და სვან. ჯმსგე || სგეჲ ფორმებს. ეს ამოსავალი *მ-შე-ე ფორმა ზანურში მოგვეცხდა კანონზომიერად *მ-შქე-ე > *მ-სქე-ე > *მ-სქუ-ა⁴

¹ G. Doeters, Das kharthwelische Verbum, Leipzig, 1930. გვ. 231; შდრ. Е. А. Осидас, *Образование причастий в грузинском языке*. Автореферат диссертационной работы на соискание ученой степени кандидата филологических наук, Тбилиси, 1958, გვ. 5.

² ბალსხემოური ფორმები მომაწოდა მ. გუჯეჯიანი.

³ არნ. ჩიქობავა, შედარებითი ლექსიკონი, გვ. 21.

⁴ ვ → უ პროცესისათვის შდრ. არნ. ჩიქობავა, მახვილის საკითხისათვის ძველ ქართულში: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, III, № 2, 1942, გვ. 194.

ფორმებს. ანლაუტში მოქცეულ თანხმოვანთკომპლექსში მ-ს მოკეცვის შედეგად¹, რომელიც აღარ გაიგებოდა როგორც მიმღობის მაწარმოებელი, მივიღეთ მეგრულში ისტორიულად დამოწმებული სქუა ფორმა. მრავლობითი რიცხვის სქუ-ალ-ეფ-ი ფორმაში -ალ-სუფიქსი იჩენს თავს, რამდენადაც სქუ-ა ფორმა გააზრებულ იქნა როგორც -აღ! სუფიქსიანი სახელი იმ ფორმათა გავლენით, სადაც იგი კანონზომიერადაა წარმოდგენილი: შდრ. მეგრ. ჯიმ-ა; ჰან. ჯუმ-ა „ძმა“: მრ. რ. მეგრ. ჯიმ-ალ-ეფ-ი, ჰან. ჯუმ-ალ-ეფ-ე; მეგრ.-ჰან. დ-ა „და“: მრ. რ. მეგრ. დ-ალ-ეფ-ი, ჰან. დ-ალ-ეფ-ე; მეგრ.-ჰან. მოთ-ა „შვილიშვილი“: მრ. რ. მეგრ. მოთ-ალ-ეფ-ი, ჰან. მოთ-ალ-ეფ-ე და სხვ. ამგვარი ანალოგიური გადატანა -ალ-სუფიქსისა აშკარაა ისეთ ფორმაში, როგორიცაა ჰან. ნუსა, მეგრ. ნოსა || ნისა „რძალი“. ეს სიტყვა, რომელიც ქართულშიც დასტურდება სახელში ნუსადია „ბიძის-ცოლა“ (საბა), უცხო წარმოშობისაა². მრავლობითი რიცხვის ფორმაში ანალოგიით -ალ-სუფიქსი იჩენს თავს: ჰან. ნუსალეფე, მეგრ. ნოსალეფი || ნისალეფი; შდრ. აგრეთვე მეგრ. ძაძა: მრ. რ. ძაძალეფი და სხვ.

მაშასადამე, ქართულსა და ზანურში დასტურდება გარდამავალი *შეე- ფუძისაგან ნაწარმოები ორი პარტიციპიალური ფორმა — სუფიქსური (ქართ. შე-ილ-ი — ჰან. სქ-ირ-ი < *სქე-ირ-ი, მეგრ. სქი < სქ-ირ-ი) და პრეფიქსულ-სუფიქსური [ქართ. (პირ)მშო, მეგრ. სქუ-ა < *მ-სქუ-ა]. სვანურში მხოლოდ პრეფიქსულ-სუფიქსური წარმოება შემოგვრჩა, რომელიც უფრო არქაული ჩანს: *მ-შე-ე > გ-მ-სე-ე || სე-ე-ე.

§ 3. სქ/სგ კომპლექსი ზანურსა და სვანურში ქართული /შ/ სპირანტის შესატყვისად გვხვდება აგრეთვე რიგ სხვა ფორმებში. ყველა ამ შემთხვევაში სქ/სგ კომპლექსი თავდაპირველი, ქართული /შ/ სპირანტის კანონზომიერ შესატყვისად წარმოდგენილი შქ/შგ

¹ შდრ. მეგრ. კკად-უ'გ: „მ-კედ-ელ-ი“, სვან. მგ-შკიდ: ქართ. მ-წყ-მ-ს-ი, ჰან. მ-ჰკ-ე-შ-ი: მეგრ. კყ-ე-შ-ი; ქართ. მ-ჰლ-ე: მეგრ. ჰკოლა-ა. შდრ. აგრეთვე სვან. გამსგე და სგეე.

² შდრ. არნ. ჩიქობავა, შედარებითი ლექსიკონი, გვ. 39. მეგრ. ნოსა || ნისა, ჰან. ნუსა ერთ-ერთი იმ სიტყვათაგანია, რომელიც თითქმის მთელ კავკასიურ ენობრივ სამყაროში გვხვდება: შდრ. ხუნძ. ნუს, არჩ. ნუსთთურ, ბაცბ. ნუს, ჩაჩნ. ნუს-ქულ, ინგუშ. ნუსქვლ, ჩერქ. ნგსე, ოსურ. (დიგ.) постъ, სონბ. *Нл* (В. И. Абаев, *Происхождение и культурное прошлое осетин по данным языка*: Осетинский язык и фольклор, М.—П., 1949, გვ: 90). სიტყვა ინდოევროპულია წარმოშობით: შდრ. ლათ. *hirus* (აღლბ. ლათ.

კომპლექსისაგან უნდა მოაღინარეობდეს მომდევნო ბაგისნიერი ფ-ს გავლენით, რომელიც გარკვეულ ფორმებში გაუჩინარდა.

ქან. სქურ- || სქირ- (მე-სქურ-უ „დაშრა“, დო-სქირ-ინ-ეს „და-აშრეს“); მეგრ. სქირ- (დო-სქირ-უ „დაშრა“, ო-სქირ-უ-ან-ს „აშ-რობს“) ფუძეები დაკავშირებულია ქართ. შრ- წირთან (და-შრ-ა). ქანურში ეს ფუძე „ქრობას, შრეტა“-საც ნიშნავს (მე-სქურ-უნ. „ქრება“)¹.

ვ. თოფურიამ შრ- ფორმის უძველესი სახე ეგრეთწოდებულ III ტიპის (ანუ უნიშნო) ვნებითის ზმნათა ანალოგიით სავსებით კანონზომიერად აღადგინა როგორც * შერ- (* გან-ე-შერ, * გან-ჰ-შერ, გან-შრ-ა). ამ ტიპის ზმნათათვის დამახასიათებელი ფუძისე-ული ე-ამოვანი რედუქციას განიცდიდა მესამე პირის ფორმაში (გან-შრ-ა). ეს რედუქცირებული ფუძე ისტორიულ ხანაში პირვე-ლისა და მეორე პირის ფორმებზეც გავრცელდა².

ამ ფორმაში გამოიყოფა ძირი შ- და ძირს შეზრდილი -ერ სუფიქსი. ამ ტიპის ზმნათათვის დამახასიათებელ ე-ხმოვანს ზანურში ო-ხმოვანი შეესაბამება: * დაშერ — ქან. მესქური, მეგრ. დოსქირი „დაშრი“: * შერ- > ზან. * სქორ- > ქან. სქურ- > სქირ-, მეგრ. სქირ-³.

ქ. ლომთათიძე და არნ. ჩიქობავა ვარაუდობენ, რომ ეგრეთ-წოდებული უნიშნო ვნებითის ტიპის ზმნები ისტორიულად დინამი-კურ უგვარო ზმნებს წარმოადგენდნენ, რომელთა ვნებითად გაგება

nora < *nosa), ბერძნ. γυρά, სკრ. snuჟ, ძვ. ინგლ. snoru, რუს. сноха და სხვ. (A. Ernout et A. Meillet, Dictionnaire étymologique de la langue latine, Paris, 1951, გვ. 802). ოსური nostae წარმოადგენს -t სუფიქსით გაფორმებულ ძვ. ირანულ *snauš- ფორმას (В. И. Абаев, О некоторых словообразовательных суффиксах с ограниченной продуктивностью: Осетинский язык и фольклор, М.—Л., 1949, გვ. 572).

¹ ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, შედარებითი ლექსიკონი, გვ. 318 შმდ.

² ვ. თოფურია, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, II: თბილისის უნივერსიტეტის მოამბე, X, 1929, გვ. 9 (298) შმდ.

³ ვ. თოფურია, მესამე ტიპის ვნებითის წარმოება ქართულში: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, III, № 9, 1942, გვ. 965 შმდ. გ. მაჭავარიანი ე — ო შესატყვისობის ასახსნელად ამოსავალ /*ა/ ფონემას ვარაუდობს, რომელმაც ქართულსა და სვანურში მოგვცა ე-, ხოლო ზანურში — ო-ხმოვანი (იხ. მისი ხმოვანთა შესატყვისობის ისტორიიდან ქართველურ ენებში: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 69, 1958, გვ. 265 შმდ.).

მას შემდეგ მოხდა, რაც ზნნის სისტემაში გვარი ჩამოყალიბდა და შეიქმნა საპირისპირო მოქმედებით-ვნებითი ფორმების გარჩევა¹.

ქართ. *შერ-: ზან. *სქორ- შეფარდებაში გასარკვევია ქართ. /შ/ სპირანტის შესატყვისად ზანურში /სქ/ კომპლექსის არსებობა.

¹ ქ. ლ. ო. მ. თ. ა. თ. ი. ძ. ე. უნიშნო ვნებითის ისტორიისათვის ქართულში: აკად. ნ. მარის სახელობის ენის ინსტიტუტის VI სამეცნიერო სესია. მოხსენებათა თეზისები, თბილისი, 1949, გვ. 10—11; მისივე, თბება ტიპის ზნნათა ისტორიისათვის ქართულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, IV, 1953, გვ. 75 შმდ.; არ ნ. ჩ. ი. ქ. ო. ბ. ა. ვ. ა., ქართული ენის ზოგადი ენათმეცნიერული დახასიათება: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I, თბილისი, 1950, გვ. 60.

სვანურში არსებული ჯგუფი ზნნებისა, რომლებიც გარდამავალ-გარდაუვალ ფორმებს ფუძისეული ხმოვნის მონაცვლეობით უპირისპირებენ (ე. წ. II უღვლელობის ზნნები: შდრ. 3. პ. აწმყო: ტ ე ბ-ნი „ბარუნდება“, აორ. ა-ტ უ ს ხ; გარდამ. 3. პ. აწმყო: ტ ი ბ-ე „ბარუნებს“, აორ. ა-ტ ი ხ; იხ. ა. შ. ა. ნ. ი. ძ. ე. უნიშნო სვანურში: ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, I, თბილისი, 1957, გვ. 340 შმდ.) და რომელთა გარდაუვალ ფორმებს ქართულში სტრუქტურულად ე. წ. უნიშნო ვნებითის ფორმები შეეფარდება ვ-დ ნ ე ბ ი, გ-თ ბ ე ბ ი ტიპისა, გვაფიქრებინებს, რომ თავდაპირველად ყველა ამ ტიპის ზნნის ფუძე გვარობის თვალსაზრისით ნეიტრალური იყო; ზნნის გარდამავალი და გარდაუვალი ვარიანტები გაირჩეოდა მხოლოდ ფუძისეული ხმოვნის ალტერნაციის საშუალებით. აქ ჩვენ ერთგვარ ფუნქციონალურ აბლაუტთან უნდა გვქონდეს საკმე, რომელიც ისტორიულად, შესაძლებელია, ფონეტიკური ნიშნებით იყო შეპირობებული (შდრ. არ ნ. ჩ. ი. ქ. ო. ბ. ა. ვ. ა., მესამე პირის სუბიექტის უძველესი ნიშანი ქართველურ ენებში: ენიშკის მოამბე, V—VI, 1940, გვ. 36 შმდ.). ფლექსიური ტიპი გარდამავლობას გამოხატავდა, უფლექსიო კი შესატყვის გარდაუვალ ფორმებს წარმოგვიდგენდა. ეს საუარაუდებელია თუნდაც იმ ფაქტრიდან, რომ ყველა ის სეფიქსი, რომელიც ე. წ. III ტიპის (უნიშნო) ვნებითის ფორმებში გამოიყოფა, თავს იჩენს აგრეთვე გარდამავალი ზნნის ფუძედრეკადი ფორმებში (ამ ზნნათა შესახებ იხ. ვ. თ. ო. ფ. უ. რ. ი. ა., ფუძედრეკადი ზნნათა სეფიქსაციისათვის: თბილისის უნივერსიტეტის შრომები, III, 1, 1936, გვ. 227 შმდ.). ამ ჯგუფის ზნნებში სვანურს ქართველური ზნნის უძველესი სტრუქტურული ტიპი შემოუნახავს. ფუძის ფლექსიის საშუალებით ზნნის გარდამავლობა-გარდაუვალობის გარჩევა ჯერ კიდევ პროდუქტიულია სვანურში. იგი დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო ისტორიულად დანარჩენი ქართველური ენებისთვისაც. ისტორიული ხანის ქართულში ამ ტიპის წარმოება მხოლოდ გადმონაშთის სახით დასტურდება: კ რ ე ბ-ს/კ რ ი ბ-ა, მაგრამ შ ე-კ რ ბ-ა < * შ ე-კ რ ბ-ა: „შემოკერბით“ (იე ბოლნ. 24₁₁); დ რ ე კ-ს/დ რ ი კ-ა, მაგრამ შ ე-დ რ კ-ა < * შ ე-დ რ კ-ა (შდრ. ვ. თ. ო. ფ. უ. რ. ი. ა., ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, II: თბილისის უნივერსიტეტის მოამბე, X, 1929, გვ. 12 (301) შმდ.). ისტორიულ ხანაში რიგმა ამ ტიპის ფორმებმა შესატყვისი გარდამავალი, ფუძედრეკადი ვარიანტები დაკარგა. ასეთ ვითარებაში გარდამავალ ფორმათა წარმოსაქმნელად ენამ კაუზატიურ წარმოებას მიმართა (შ რ ე ბ-ა: ა-შ რ-ო ბ-ს). საწინააღმდეგო შემთხვევაში შესატყვისი გარდაუვალი ვარიანტის საწარმოებლად პასიური კონსტრუქცია იქნა გამოყენებული (კ რ ე ბ-ს/კ რ ი ბ-ა: ი-კ რ ი ბ-ე ბ-ა/შ ე-ი-კ რ ი ბ-ა; შდრ. ძვ. ქართ. * შ ე-კ ე რ ბ-ა).

აზგვარი შესატყვისობა გასაგები ხდება, თუ ვივარაუდებთ სქ-კომპლექსთან უშუალო კონტაქტში ბაგისმიერი -ჟ- თანხმოვნის არსებობას, რომლის გავლენით ამოსავალი /შქ/ კომპლექსი ისტორიულად დამოწმებულ /სქ/ კომპლექსში გადავიდოდა. მაშასადამე, უნდა დავუშვათ *შჟერ- > *შქჟერ- > *სქჟორ- > *სქჟრ-.

აღდგენილი *შჟერ- ფორმა დასტურდება თვით ისტორიული ხანის ქართულში შჟერ- ზმნის სახით (და-ვ-შჟერ, და-შჟერ-ა), რომელიც ნიშნავს „(მუშაობისაგან) დალლას, დაქანცვას“: შდრ. ...ლამე ყოველ და ვ შ უ ე რ ი თ და არარაჲ მოვიღეთ (ლუკ. CD 5,5) (ბერძნ. ὁ; ἄλλα ὑπάρχουσα ἰσχυροῦς ἰσχυροῦς); ...რამეთუ იყენეს იგინი და მამა შ უ რ ა ლ (მ. DE 9,35). ამ სიტყვებს შორის სემანტიკური კავშირი აშკარაა¹. აქედან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ არსებობდა პოლისემიური *შჟერ- ფუძე, რომელიც აღნიშნავდა „შრობას“ (მეგრ.-ქან. სქჟრ- || სქირ-) და (გადატანითი მნიშვნელობით) „დალლას, დაქანცვას“ (ქართ. და-ვ-შჟერ). ამის პარალელურად მოგვეპოვებოდა *შერ- ფუძე, რომელიც იამარებოდა „შრობის“ მნიშვნელობით (ქართ. *და-ვ-შერ > და-ვ-შრ-ი). მაშასადამე, ქართველურ ენებში გამოიყოფა იდენტური მნიშვნელობის შქონე ერთმანეთთან მონაცვლე შჟერ-/შერ- ფორმები. სემანტიკურად იდენტურ ძირებში ანალოგიური ხასიათის მონაცვლეობა ქართულში სხვა შემთხვევაშიც დასტურდება, რაც აღნიშნულია სპეციალურ ლიტერატურაში: შდრ. ჩან-ს, აჩ-ენ-ს და ჩუ-ენ-ებ-ა (ჩჟ/ჩ-); მო-კუ-ედ და მო-კ-ალ (კჟ/კ-)².

ამოსავალმა პოლისემიურმა *შჟერ-/*შერ- ფუძემ სემანტიკური დიფერენციაცია განიცადა. ქართულში ბაგისმიერი -ჟ- ელემენტით გაფორმებული *შჟერ- ფუძე მხოლოდ „დალლის, დაქანცვის“ მნიშვნელობით იქნა გამოყენებული, ხოლო „შრობის“ მნიშვნელობა მის მონაცვლე *შერ- ფუძეს შერჩა. ზანურში სხვაგვარ სემანტიკურ დის-

¹ ეს სემანტემები სხვადასხვა ენებში ხშირად ერთი და იმავე ლექსემით არის გამოხატული: შდრ. ლათ. *iridis* „მშრალი. გამომშრალი“ და „დაღლილი, დაქანცული“ (ი.ე. *ჟჟ; ბერძნ. ἰσχυ < *uz-d || *adz- „შრობა; წვა“; სკრ. *isali* „ნაცარი“ და სხვ.); ფრანგ. *deséchier* (< ლათ. *siccus*) „შრობა“ და „დაღლა, დაქანცვა“; სპარს. *خشك* [*χisik*] „მშრალი, ხმელი“ და „დაქანცული, გატანჯული“ და სხვ. ამ ფორმათა შედარებისას ირკვევა, რომ ამოსავალი მნიშვნელობაა „შრობა, გაწმობა“. „დაღლა, დაქანცვა“ აქედან ნაწარმოები მეორეული მნიშვნელობაა, ამ მოვლენათა შორის არსებული ასოციაციური კავშირის საფუძველზე წარმომდგარი.

² ვ. თ. თ. უ. რ. ი. ა, რედუქციისათვის ქართველურ ენებში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I, 1946, გვ. 32.

ტრიბუციას ჰქონდა ადგილი. * შტერ- ფუტემ აქ თავისი ძირითადი მნიშვნელობა („შრობა“) შეინარჩუნა. ამ ფორმაში ზანურში კანონ-ზომიერი * შტურ- > * სტურ- ფორმები მოგვცა. ამგვარად მიღებული * სტურ- ფუტე საფუძვლად დაედო ისტორიულად დამოწმებულ მეგრ.-ქანურ ფორმებს. სწორედ ამ ბაგისმიერი ტ-ს გავლენით უნდა მიგველო ქანურში უ-ხმოვანი თავდაპირველი ო-ხმოვნისაგან, რომელიც ამ ტიპის ზმნებში ქართული ე-ხმოვნის კანონზომიერი შესატყვისია (შდრ. ქართ. გა-ქერ: კან. ქორ-უ „გაცივდა“; გა-წყერ: მეგრ. გო-კყორ-ი; გან-ტემ: მეგრ. გო-ხომ-ი; ხომ-ილა „ხმელი“; ქართ. * ლებ-, * და-ლ[ე]ბ-ა: კან. დო-ლობ-ინუ „დალობა“ და სხვ.). მაშასადამე, გვქონდა ზან. * სტურ- > კან. სტურ-¹. ამ ქანურ ფორმაში წარმოდგენილია აგრეთვე -ი- ხმოვანი, რომელიც -უ- ხმოვნისაგან მომდინარედ არის მიჩნეული: სტურ- > სტირ-. ეგევე ი-ხმოვნის ფორმა დამახასიათებელია მეგრულისათვის².

მაშასადამე, მეგრ.-ქან. სტურ- || სტირ- მომდინარეობს თავდაპირველი * შტერ- ფორმისაგან, რომლის ულაბიალო ვარიანტი ქართულში შრ- < * შერ- ფუტის სახით დასტურდება. ამ * შტერ- ფუტემ ზანურში დაკარგა „დაღლის, დაქანცვის“ მნიშვნელობა,

¹ შდრ. ბაგისმიერი ბ-თანხმოვნის გავლენა ო-ხმოვანზე კან. ტ უ ბ- ფორმაში: დ ო-ტ უ ბ-უნ „გათბება“, ტ უ ბ-უ „თბილი“, რომელიც * ტ ო ბ- ფორმისაგან მომდინარეობს: ქართ. * გა ა ნ-ტ ე ფ: ზან. * ტ ო ბ- > კან. ტ უ ბ-. ბაგისმიერი თანხმოვნის მეზობლობაში ო → უ ჩვეულებრივი მოვლენაა მეგრულ-ქანურში: შდრ. ქართ. მ ა ტ ო ლ ი — მეგრ. მ უ ნ ტ უ რ ი — * მ ო ნ ტ უ რ ი; მ ა მ ა ლ ი — მეგრ. მ მ უ მ უ ლ ი < * მ ო მ ო ლ ი; მ ა ჩ ვ ი — მეგრ. მ უ ნ ჩ ქ ვ ი < * მ ო ნ ჩ ქ ვ ი და სხვ. (შდრ. ს. ქ ლ ე ნ ტ ი, ქანურ-მეგრულის ფონეტიკა, თბილისი, 1953, გვ. 41 შმდ.).

² უ → ი პროცესისათვის მეგრ.-ქან. შდრ. გ. რ ო გ ა ვ ა, უ-ს რეფლექსები ზანურში და ლაბიალიზებულ კომპლექსთა ისტორიის ზოგი საკითხი ქართველურ ენებში (თეზისები. ენათმეცნიერების ინსტიტუტის XVI სამეცნიერო სესია 1958 წლის 10 — 11 ნოემბერს, თბილისი, 1958, გვ. 11 შმდ.). ავტორი იმ დასკვნამდე მიდის, რომ რიგ ისეთ ფორმებში, სადაც უ-ხმოვანი არ გადადის გ → ე-ში, შესაძლებელია გაუჩინარებულნი უ ბგერის აღდგენა. ამის საფუძველზე გ. რ ო გ ა ვ ა ადადგენს ისეთ ლაბიალიზებულ კომპლექსებს, როგორცაა ზან. შ უ რ — * შ ე უ რ-, ქართ. ს უ ლ — * ს ე უ ლ- და სხვ. მაგრამ არ იქნებოდა სწორი გ. რ ო გ ა ვ ა ს მიერ წამოყენებული დებულების შეტრიალება და მტკიცება იმისა, რომ ისეთ ზანურ ფორმებში, რომლებშიც შეინიშნება უ → ი პროცესი, გამორიცხულია წინამავალი ბაგისმიერი უ-ს არსებობა. ეს აშკარაა თუნდაც იმ ფაქტიდან, რომ ჩ უ ე ნ-ნაცვალსახელის შესატყვისად, რომელიც შეიცავს ლაბიალიზებულ ჩ უ- კომპლექსს, ქანურში ჩ ქ უ, ჩ ქ უ ნ- ფორმები მოგვეპოვება, რომლის უ-ხმოვანი ზოგ კილოკავში ე- ხმოვანში გადადის. შდრ. კან. ჩ ქ ი, მეგრ. ჩ ქ ე || ჩ ქ ი; ჩ ქ ე ნ-ი || ჩ ქ ი ნ-ი და სხვ.

რომელიც წარმოდგენილია ამავე ფორმისაგან მომავალ ქართ. შუერ- ფუძეში. ამ მნიშვნელობის აღსანიშნავად მეგრულ-ქანურში სულ სხვა ფუძე იქნა გამოყენებული: მეგრ. შულადა „დალა“, დო-შურ-დ-უ „დაილალა, დაიქანცა“ (ფუძეა შურ/ლ-: ქართ. სულ-); ქან. და-ჭკინ-დ-უ „დაილალა“ (ფუძეა ჭკინ-დ-: ქართ. წყინ-დ-)¹. *შურ- ფუძის მიერ „დალის, დაქანცვის“ მნიშვნელობია და-კარგვა ზანურში შედარებით გვიანდელ მოვლენას უნდა წარმოადგენდეს, რაზედაც მეგრულსა და ქანურში ამ მნიშვნელობის გამოსახატავად განსხვავებულ ფორმათა არსებობა მიუთითებს.

ამგვარად, ირკვევა, რომ მეგრ.-ქან. სქურ- || სქირ- ეტიმოლოგიური შესატყვისია არა ქართული *შერ- > შრ-, არაჲედ შუერ-ფორმისა, რომელმაც ქართულში „დალის, დაქანცვის“ მნიშვნელობა შემოინახა.

ამოსავალი *შურ- / *შერ- ფუძე იხმარებოდა აგრეთვე „ქრობის, შრეტის“ მნიშვნელობით, რაც სემანტიკურ კავშირშია ამ სიტყვის ძირითად მნიშვნელობასთან. *შურ- ფორმის ეს მნიშვნელობა შემონახულია ქანურში: ლამმა მესქურუნ „ლამმა ქრება“. ამავე მნიშვნელობას გამოხატავდა -ეტ (← -ედ) სუფიქსით გაფორმებული ულაბიალო *შერ- ფორმა გარდამავალი და გარდაუვალი მნიშვნელობით: გარდამ. *შერეტ- : ქართ. შრეტ- / შრიტ- : (...პატრუკი მზნდჷვარს არა და შ რ ი ტ ო ს ; მ. E 12,20): მეგრ. შქირიტ- (დო-შქირიტ-უ „დაშრიტა“; მეგრული ფორმის ვოკალიზმი შეპირობებულია *შერეტ- ფორმის გარდამავალი, ფუძედრეკადი ვარიანტით): გარდაუფ. *შერეტ- : *და-ვ-შერტ, და-კ-შერტ, და-შრტ-ა (სადა... ცეცხლი მათი არა და შ რ ტ ე ბ ი ს ; მარკ. C 9,48): მეგრ. შქირტ- : (დო-შქირტ-უ „და-შრტ-ა“). მეგრული ფორმა კანონზომიერი შესატყვისია ქართული შრეტ- ფუძისა (შ — შქ), რამდენადაც ორივე ფორმა ამოსავალი ძირის ულაბიალო ვარიანტისაგან მომდინარეობს. ვ. თოფურიას მიერ გამოთქმული მოსაზრება სქირ- და შქირტ- ფუძეების ეტიმოლოგიური კავშირის შესახებ² დასტურდება ზემომოყვანილ დებულებათა საფუძველზე. შქ- კომპლექსიანი ძირი მეგრულში მომდინარეობს ულაბიალო *შერ- ფორმისაგან (ქართ. შრ- < *შერ-; შრ-ეტ- < *შერ-ეტ-), ხოლო სქ- კომპლექსიანი ძირს ამოსავალი ფორმის ლაბიალური *შურ- ვარიანტი დაედო საფუძველად (ქართ. შუერ- : და-ვ-შუერ).

¹ ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა , შედარებითი ლექსიკონი, გვ. 414 — 415.

² ვ. თ თ ფ უ რ ი ა , მესამე ტომის ვნებთის წარმოება ქართულში: საქართვლოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, III, № 9, 1942, გვ. 968.

ამგვარად, ქართველურმა *შტერ- / *შერ- ფუძემ ისტორიულად დამოწმებულ ქართველურ ენებში სემანტიკური დიფერენციაცია განიცადა. ამ ფორმათა არათანაბარი შინაარსობლივი დისტრიბუციის შედეგად მივიღეთ ქართულსა, ერთი მხრით, და მეგრულ-ქანურში, მეორე მხრით, ისეთი სემანტიკური კორელატები, რომლებიც ამოსავალი ფუძის განსხვავებული ვარიანტებისაგან მომდინარეობენ¹.

§ 4. ანალოგიური აღნაგობისა უნდა ყოფილიყო შთ- ფუძე (და-შთ-ენ-ა), რომელსაც ზანურში შეესატყვისება *სქოდ- > ქან. სქუდ- || სქიდ- (დო-სქუდ-უ „დარჩა“), მეგრ. სქიდ- (ქოდო-სქიდ-უ „დარჩა“) ფორმები, სვანურში — ლი-სედ „დარჩენა“; სედ-ნი „რჩება“².

ვ. თოფურიამ შთ- / შდ- ფუძის უძველესი ტიპი *შედ- ფორმის სახით აღადგინა. უნდა გვქონოდა *და-ვ-შედ, *და-ჰ-შედ. მესამე პირის ფორმაში ფუძისეული ე-ხმოვანი რედუქციას განიცდიდა: და-შდ-ა < *და-შედ-ა. მკლერი დ- წინამავალი ყრუ ფშვინვიერი სპირანტის გავლენით თ-ში გადავიდა: შდ- > შთ-. მესამე პირის რედუქცირებული ფუძე პირველი და მეორე პირის ფორმებზეც გავრცელდა ანალოგიით³.

ამ შემთხვევაში ისეთსავე ვიხარებასთან გვაქვს საქმე, როგორც ზან. *სქჷორ- > სქურ- || სქირ- ფორმაში, რომლის ამოსავალი *შტერ- ფორმა ისტორიულად დასტურდება ქართულში, მეგრ.-ქან. სქუდ- || სქიდ- და სვანურ სედ- < *სკედ-⁴ ფორმებში წარმოდგენილი სქ- / სგ-კომპლექსი ქართული / შ / სპირანტის შესატყვისად გვავარაუდებინებს ამ ფორმათათვის ამოსავალ *შტედ-

¹ რეკონსტრუირებულ ფორმათა სემანტიკური დისტრიბუციისათვის შდრ. E. Benveniste, Problèmes sémantiques de la reconstruction: Linguistics Today, New York, 1954, გვ. 131 შმდ. (Word, v. 10, n. 2—3).

² ა რ ნ. ჩ ი ქ ბ ა ვ ა, შედარებითი ლექსიკონი, გვ. 316.

³ ვ. თოფურია, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში. II: თბილისის უნივერსიტეტის მოამბე, X, 1929, გვ. 14 (303); შდრ. მისივე, მესამე ტიპის ვნებითის წარმოება ქართულში: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, III, № 9, 1942, გვ. 968.

⁴ თავკიდური ხ- სვანურ ფორმაში თავდაპირველი ხგ-კომპლექსისაგან უნდა მომდინარეობდეს -გ- თანხმოვნის დაკარგვის შედეგად. ეს სავარაუდებელია უკვე იმ ფაქტის საფუძველზე, რომ სედ- არის ერთადერთი ფორმა სვანურში, რომელიც მეგრ.-ქან. სქ-კომპლექსის შესატყვისად კანონზომიერი ხგ-კომპლექსის ნაცვლად ხ-სპირანტს წარმოგვიდგენს. იგი მით უფრო მოულოდნელია, რომ მეგრ.-ქან. შქ-კომპლექსს სვანურში გამოუკლებლივ შგ- / ხგ-კომპლექსი შეეფარდება. მეგრ.-ქან. სქ- : სვან. ხ- შესატყვისობა, რომელიც ხსოლოდ ერთ ფორმაში იჩენს თავს, ეკვს გარეშეა, შედარებით გვიანდელ მოვლენას წარმოადგენს და აიხსნება სვანურ ფორმაში თავდაპირველი კანონზომიერი ხგ-კომპლექსის გამარტივებით (შდრ. -ი ს გ ა: ლშხ. -ი ს ა).

ფუძეს. ამ ფორმაში ნავარაუდევნი ცვლილებები სქემატურად შემდეგ სახეს მიიღება: *შტედ- > ზან. *შქტედ- > *სქტოდ-. სვანურში ამავე ფორმას უნდა მოეცა კანონზომიერი *შგტედ- > *სგტედ- > *სგედ-¹ > სედ-. მაშასადამე, ამ ფორმაშიც სავარაუდებელია ძირმონაცვლე *შტედ- / *შედ- ფუძეები. ულამბილო ვარიანტი საფუძვლად დაედო ქართულ ფორმას, ხოლო ლაბიალიზებული — სვანურსა და ზანურს. წინამდებელი ბაგისმიერი ჟ-ს გავლენით ქართული ე-ხმოვნის შესატყვისად არსებული ო-ხმოვანი ზანურში უ-ში გადავიდა, სავსებით ისე, როგორც ეს სქურ- ფორმის შემთხვევაში გვექნა: *სქტოდ- > სქედ- > სქიდ-. ამგვარად მიღებული ზანური სქედ- || სქიდ- ფორმის განვითარებაში სრული პარალელიზმი შეინიშნება სქურ- || სქირ- ფორმასთან. შემთხვევითობას უნდა მიეწეროს ის, რომ ქართულში არ შემოგვენახა *შედ- ფუძის ლაბიალიზებული *შტედ- ვარიანტი, როგორც ეს *შტერ- / *შერ- ფუძისათვის დასტურდება.

სქიდ- ფორმასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ქართ. *შედ-, მეგრ.-ქან. სქედ- || სქიდ-, სვან. სედ- ფორმების შესატყვისი გარდამავალი ვარიანტები წარმოიქმნება არა კაუზატიური წარმოების საშუალებით, რომელიც ამ ტიპის სხვა ფორმებისათვის არის დამახასიათებელი (ე. ი. ისეთი ფორმებისათვის, რომელთაც მხოლოდ გარდაუვალი ვარიანტი შერჩათ), არამედ სუბლექტიურად, განსხვავებული ფუძის გამოყენებით: ძვ. ქართ. ტევ- „დატოვება“ (...ჩუენ ყოველივე დაუტევეთ; მ. E 19,27); სვან. ლი-სედ „დარჩენა“, მაგრამ ლი-ცტრ-ე „დატოვება“; მეგრ.-ქან. სქედ- || სქიდ- „დარჩენა“, მაგრამ ტ-ალ- || ტ-ევ- „დატოვება“ (შდრ. მეგრ. ცუდეს ქოდიტჷ „შინ დატოვა“, ქან. ქოდიტალეჟან „დატოვებენ“)². რით უნდა აიხსნებოდეს ის გარემოება, რომ *შტედ- / *შედ- ფუძე გარდამავალ ვარიანტს ყველა ქართველურ ენაში მხოლოდ სუბლექტიურად აწარმოებს; რატომ არა გვაქვს ამ შემთხვევაში კაუზატიური წარმოება, რომელსაც ამ ტიპის სხვა ფუძეები მიმართავენ?

¹ ფუძისეული ჟ-ს დაკარგვისათვის სვანურში შდრ. ქართ. რ ვ ა, მეგრ. რ უ ლ: სვან. ა რ ა; ქართ. ბ ი რ მ შ ო < *მ-შ ვ ე; მეგრ. ს ქ უ ა < *მ-ს ქ უ ა: სვან. გ მ ს გ ე: ს გ ე ა და სხვ.

² ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, შედარებითი ლექსიკონი, გვ. 320 შმდ.; შდრ. ივ. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, ზნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, თბილისი, 1954, გვ. 312 შმდ.

³ შდრ., მაგ., თ ბ ე ბ ა: ა-თ ბ-ლ ბ-ს, მეგრ. ო-ტ ი ბ-უ ა-ნ-ს; შ რ ე ბ ა: ა-შ რ-ო ბ-ს, მეგრ. ო-ს ქ ი რ-უ ა-ნ-ს; ო მ ე ბ ა: ა-ნ მ-ო ბ-ს; მეგრ. ო-ხ ო მ-უ-

ამ გარემოებასთან დაკავშირებით ჩვენს ყურადღებას აპყრობს ქართ. შუღლ-, მეგრ.-ქან. შქვილ- და სვან. შგულ- ფორმები, რომლებიც „ხრჩობას“ აღნიშნავენ: ძვ. ქართ. ში-შუღლ-ილ (და დააგლო. ვეცხლი იგი ტაძარსა მას და მივიდა და ში შუღლილ-იბა; მ. C 27,5; შდრ. ბერძნ. ...αχι ἀπελθὼν ἀπὸ ἱερατο); ქან. დოშქვილუ; მეგრ. დაშქვილუ „დაახრჩო“¹; სვან. ო-შგულ „დავახრჩვე“; ლშხ. ლუ-შგულ, ბზ. ლუ-შგუილ „დამხრჩვალი“. ქართულ შუღლ- ფუძეში მომხდარი მეტათეზისის შედეგად ვიღებთ შდვ- ფორმას (შეა-შდვეს იგი; მარკ. C 4,7), რომელშიც მეღერი-ღ- თანხმოვანი ასიმილაციით შესატყვის ყრუ ფშვინვიერში გადადიოდა (შეაშთვეს იგი; მარკ. DE 4,7). შთვ- ფუძეში -ვ- იკარგვოდა ბაგისმიერი ბგერის დართვის შედეგად (შეაშთობდა მას; მ. C 18,28)².

ისტორიულად დამოწმებული შუღლ- ფუძე ქართულში უფრო ადრინდელი * შუღლ- ფორმისაგან უნდა მომდინარეობდეს, რომელშიც ენის განვითარების ჯერ კიდევ უმწერლობო პერიოდში მოხდა ე-ხმოვნის რედუქცირება. სრულხმოვნიანი * შუღლ- ფორმის რეკონსტრუირება ქართულში გამართლებულია ზმნის ფუძის საერთო სტრუქტურული მოდელით. ისტორიულად დამოწმებულ შუღლ- ფუძეში ე-ხმოვნის აღდგენა სრულ პარალელიზმს ამყარებს ამ ტიპის ზმნათა ფუძის ამოსავალ სტრუქტურაში. ამგვარად აღდგენილი გარდაუვალი * შუღლ- ფუძე ქართულში ზუსტი სტრუქტურული

-ა ნ-ს და სხვ. ს ქ ი ღ- ფორმის გარდამავალი ვარიანტის წარმოსაქმნელად ტ-ე ე- || ტ-ა ლ- ფუძის პარალელურად მეგრული კაუხატიურ წარმოებასაც მიმართავს: ო-ს ქ ი ღ ი ღ-უ-ა ნ-ს „არჩენს (ავადმყოფს); ტოვებს“ (შდრ. ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, შედარებითი ლექსიკონი, გვ. 317); შდრ. აგრეთვე ქან. ბ ო -ს ქ ე დ-ი ნ-ი „დავარჩინე (ვაცხოვრე)“, ქართ. ა-რ ჩ-ე ნ-ს. ამგვარი წარმოება მეორეული, შედარებით გვიანდელი ჩანს. საულისხმო აქ ის არის, რომ, ძიუხედავად კაუხატიური წარმოებისა, გარდამავალი ფორმის ფუძე არ არის იდენტური გარდაუვალი ვარიანტის ფუძისა; შდრ. გარდაუვ. მეგრ. ს ქ ი ღ-, ქან. ს ქ უ ღ-|| ს ქ ი ღ- და გარდამ. ს ქ ი ღ ი ღ-, ქან. ს ქ ე დ-. ენამ მაინც შეცვალა ის ფუძე, რომელიც შესატყვის გარდაუვალ ფორმაში იყო წარმოდგენილი. აქაც ერთგვარი სუბლექტივიზმი იჩენს თავს, რაც ამ ფორმის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა. ყველა ქართველურ ენაში. -ლი-ელემენტი მეგრულ კაუხატიურ ფორმაში ისეთი ფორმების ანალოგიით უნდა იყოს გაჩენილი, სადაც იგი კანონზომიერად არის წარმოდგენილი როგორც ფუძისეული ელემენტი; შდრ. მეგრ. შ ა რ ა ს გ ე ჩ ი რ თ უ „გზას ასცდა“; შ ა რ ა ს გ ი ო ჩ ი ღ ი თ უ „გზას ააცდინა“ (ლექსიკონი, გვ. 374); გ ა ქ ე ო რ დ უ „დაავიწყდა“; გ ა ქ ე ო ღ ი დ უ „დაავიწყა“ და სხვ.

¹ ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, შედარებითი ლექსიკონი, გვ. 367 შმდ.

² ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, I: „მიმომხილველი“, თბილისი, 1926, გვ. 213 შმდ.; შდრ. მ ი ს ი ვ ე, რედუქციისათვის ქართველურ ენებში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I, 1946, გვ. 79-

შესატყვისი იქნებოდა ისეთი ფორმებისა, როგორცაა წუდ-, ხუდ- და კუდ- ფუძეები, რომლებიც შესაბამისად ისტორიულად დამოწმებული წუედ-, ხუედ- და კუედ- ფორმების რედუქციებულ ვარიანტებს წარმოადგენენ: „მიუ-წდ-ომელსა“, მაგრამ „მის-წუედ“; „შე-კ-ხუდ-ა“, „და-კ-ხუდ-ა“, მაგრამ „შე-მ-ხუედ-ა მე“; „მო-ვ-კუედ-ებ-ი“, მაგრამ „მო-კუედ-ინ“ და სხვ.¹ შდრ. აგრეთვე ში-შუდ-ილ < *სი-შუდ-ილ ფორმა, რომელიც იმავე წარმოებისაა, რაც სი-კუედ-ილ < *სი-კუედ-ილ.

ამგვარად აღდგენილ გარდაუვალ *შუედ- ფუძეს უნდა ჰქონოდა შესატყვისი გარდამავალი ვარიანტი. ამ ქართველური ფუძის გარდამავალი ვარიანტის ოდინდელი არსებობა ჩანს სვანურში, სადაც იგი აორისტის ფორმებში რედუქციებულ სახით არის წარმოდგენილი: ბზ. აორ. 1. ო-შგუდ, 2. ა-შგუდ, 3. ა-შგუიდ. ამ ფორმაში ხმოვნის რედუქცია უნდა მომხდარიყო ძალიან ადრე. მისი კვალი სვანურში აღარ შეინიშნება. ქართულში ამ ფუძის მხოლოდ გარდაუვალ ფორმები დასტურდება. შესატყვის გარდამავალ ფორმათა წარმოსაქმნელად ქართულმა კაუზატიურ წარმოებას მიმართა. აქედან ერთპირიანი ფორმების შესაქმნელად უკვე ვნებითის წარმოება იქნა გამოყენებული²: „და ი შ თ ვ ე ბ ო დ ე ს ზ ლ უ ა ს ა შ ი ნ ა“ (მარკ. C 5,13), ისე როგორც ამას სვანურში ჰქონდა ადგილი. ვნებითის ბჟ-ი-შგუდ-ი „ვიხრჩობი“ ფორმა აქ იწარმოება ო-შგუდ „დავახრჩვე“ ფორმის საპირისპიროდ, რომელიც მხოლოდ დროთა მერე ჯგუფში იჩენს თავს. აწმყოში ბჟ-ი-შგუდ-ი ფორმის გარდამავალი კორელატის წარმოსაქმნელად კაუზატიური წარმოება იქნა გამოყენებული: ბჟ-ა-შგუდ-ი, რომელიც დაუპირისპირდა ეტიმოლოგიურად კანონზომიერ გარდამავალ ო-შგუდ ფორმას.

ანალოგიურ ვითარებას უნდა ჰქონოდა ადგილი ზანურში. გარდაუვალ შქეიდ- ფუძისაგან, რომელიც *შუდ- ფორმისაგან მომდინარეობს³, შესატყვისი გარდამავალი ფორმები მიღებულ

¹ ამ ფორმათა შესახებ იხ. ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ქართველურ ენათა სიტყვა-წარმოებიდან: ენიკის შოამბე, V—VI, 1940. გვ. 535.

² აქტივ-პასივის ურთიერთობის შესახებ იხ. ა. შ ა ნ ი ძ ე, აქტივი და პასივი ურთიერთის მიმართ მრავალპირიანი ზმნის ჩვენებით: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოამბე, IV, № 4, 1943, გვ. 375 შმდ.

³ *შ უ ე დ- / *შ უ დ- > *შ ქ უ ე დ- || *შ ქ უ დ- > შ ქ ე ი დ-; ვოკალიზმისათვის შდრ. მეგრ. ჩ უ რ-უ ნ-ს — კ ა ნ. ი-ნ-ჩ ვ ი რ-ს „ეურავს“ (იხ. ლექსიკონი, გვ. 373 შმდ.); მეგრ. შ ქ უ რ- || შ ქ ე რ-: დ ო ბ შ ქ უ რ ი ნ დ ი || დ ო ფ შ ქ ე რ ო ნ დ ი „დავზინდი“ (И. Кипшадзе, Грамматика мингрельского (иверского) языка, С.-Петербург, 1914, გვ. 360).

იქნა კაუზატიური წარმოების საშუალებით: შდრ. მეგრ. ვოშქვი-
დუანქ „ვახრაობ“. ამ ფორმათა საპირისპიროდ ერთპირიანი ფორ-
მების წარმოსაქმნელად პასიური წარმოება იქნა გამოყენებული:
დრშქვიდუ „დაიხრაობ“.

მაშასადამე, ქართველურ ენებში აღდგება *შტედ-/*შედ- ფუ-
ძე, რომელიც „დარჩენის“ მნიშვნელობით იხმარებოდა. ამის პარა-
ლელურად გვქონდა ომონიმური *შტედ-/*შედ-, რომელიც „ხრაო-
ბას“ აღნიშნავდა. ამ უკანასკნელში ძალიან ადრე მოხდა ე-ბმოვ-
ნის რედუცირება და ფუძისეული ხმოვნის ფლექსიის საშუალებით
გარდამავლობა-გარდაუვალობის დაპირისპირების მოშლა. ასეთ
ვითარებაში გარდაუვალმა *შედ- ფუძემ შესატყვისის გარდამავალ-
ფორმათა წარმოსაქმნელად კაუზატიურ წარმოებას მიმართა. ეგვე
წარმოება, ბუნებრივია, ვერ იქნებოდა გამოყენებული ომონიმური
*შტედ- „დარჩენა“ ფუძის გარდამავალი ვარიანტების შესაქმნელად.
ამგვარ პირობებში ენამ სუპლექტიურ წარმოებას მიმართა, რითაც
თავიდან აიცილა ამ ფორმათა სრული დამთხვევა. აქ აღსანიშნა-
ვია ის გარემოება, რომ სუპლექტიური წარმოება ამ ფორმებში შე-
დარებით გვიანდელი მოვლენა ჩანს, რაჰდენადაც სვანურში ლი-სედ
ფორმის გარდამავალი ვარიანტის საწარმოებლად გამოყენე-
ბულია შესატყვისი ქართული და ზანური ფორმებისაგან განსხვა-
ვებული ლი-ცურ-ე ფუძე.

ამ ამოსავალმა *შტედ- ფუძემ ზანურსა და სვანურში მოგვცა
კანონზომიერი *შტედ-/*შედ- ფორმა. აქ მოხდა ერთგვარი ფო-
ნეტიკური ბიფურკაცია, რაც ამ სიტყვის ომონიმური ბუნებით
იყო შეპირობებული. *შტედ- ფუძემ „დარჩენის“ მნიშვნელობით
მოგვცა *სტედ- ფორმა, სადაც შიშინა შქ- კომპლექსი მომდევნო
ბაგისმიერი ტ-ს გავლენით კანონზომიერად გადავიდა შესატყვის-
სისინა სქ- კომპლექსში. ეს ფონეტიკური პროცესი არ შეხებია
*შტედ-/*შედ- ფუძეს, რომელიც „ხრაობის“ მნიშვნელობით
იხმარებოდა. ამ შემთხვევაში აღგილი ჰქონდა კანონზომიერი ფო-
ნეტიკური პროცესის შეფერხებას, სემანტიკური სხვაობით შეპი-
რობებულს.

ფუნქციონალური ან მადიფერენცირებელი ანალოგია, რა-
საც სემანტიკური მიზეზები წარმოშობს, როგორც ცნობილია,
ერთი იმ ფაქტორთაგანია, რომელიც შემაფერხებლად მოქმედებს
ენაში ფონეტიკური პროცესების თანმიმდევრულად გატარებაზე.
სხვადასხვა მნიშვნელობის ფორმათა ერთმანეთისაგან გასარჩევად.

ბშირად ირღვევა ის ფონეტიკური ტენდენცია, რომელიც სხვა ვითარებაში განუხრელად ხორციელდება¹.

ანალოგიური მიზეზით უნდა აიხსნებოდეს ზემოთ განხილული ფონეტიკური ტენდენციის შეფერხება მეგრ.-ქან. შქვ- ფუძეში („გაშეება, მიტოვება“), რომელიც ქართულ შვ- ფორმას შესატყვისება: ქან. ნაშქუ, ქანაშქუ „მიატოვა, გაუშვა“; მევაშქვი „დაეტოვე“; მეგრ. გეიაშქუ „აუშვა“ (მაგ. დაბმული ხარი); ჯოდორქვა მშქუ „ძალმა არ მოუშვა“². შემადგურებელ ფორმად აქ, როგორც ჩანს, სქვ- ფუძე გვევლინება, რომელიც „დაბმას, შებმას“ (მეგრ. სქუაფა, გო-სქუაფა) აღნიშნავს და ქართულ სკუენ- ფუძეს [„გამოსკუნილი“, „მონასკუება“ (საბა) და სხვ.] შესატყვისება: თინა ხოჯეფს ურემს უსქუანს „იგი ურემში აბამს ხარებს“; სქუაფირი „შებმული, დაბმული“³.

შქვ- კომპლექსის გასისინება არ განხორციელებულა აგრეთვე შქვილ- ფორმაში, რომელიც ქართ. მ-შვლ-დ-ის კანონზომიერი შესატყვისია და რომელიც მეგრული ლექსიკის უძველეს კუთვნილებას წარმოადგენს (შდრ. ძველისძეველი გამოთქმა ქა-შქვილი დო ქა-საგანი „რქა-შვილდი და რქა-ისარი“⁴). მიზეზი ამ ფორმაში კანონზომიერი ფონეტიკური პროცესის შეფერხებისა არ არის ნათელი⁵. შესაძლებელია აქაც მადიფერენცირებელი ანალოგია მოქმედებდა⁶. ქართული შვიდ-ი რიცხვითი სახელის შესატყვისად მეგრულ-

¹ ზოგადად ამის შესახებ იხ. H. Kronasser, Handbuch der Sema-siologie, Heidelberg, 1952, გვ. 178 შნდ.; შდრ. გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბილისი, 1949, გვ. 243 შნდ.; A. Martinet, Écon-omie des changements phonétiques, Berne, 1955, გვ. 26 შნდ. ანალოგიური ვითარება გვაქვს თანამედროვე ასურულის šitū ფორმაში, რომელიც „ძილს“ ნიშნავს. ამ ფორმაში არ ნიშნადარა ასურულში რეგულარულად გატარებული ასიმილაცია -nt- > -tt-, რომელიც კანონზომიერად არის წარმოდგენილი šitū > šittū > šittū ფორმაში, რაც „წელიწადს“ აღნიშნავს. „შემაფერხებელ ფაქტორად სწორედ ეს უკანასკნელი, სემანტიკურად განსხვავებული ფორმა გვევლინება (კ. წერეთელი, ნარკვევი თანამედროვე ასურული დიალექტების შედარებითი ფონეტიკისა, თბილისი, 1958, გვ. 130).

² არნ. ჩიქობავა, შედარებითი ლექსიკონი, გვ. 366 შნდ.

³ И. Книшпадзе, Грамматика мингрельского (иверского) языка, С.-Петербург, 1914, გვ. 321.

⁴ არნ. ჩიქობავა, ფუძის აგებულება, გვ. 99.

⁵ ზოგიერთ შემთხვევაში ანგვარ შეფერხებას შესაძლებელია ექსპარესიული საფუძველი გააჩნდეს.

⁶ ანგვარი „ნარჩენი“ სიტყვების შესახებ (Restwörter), რომლებზედაც არ გავრცელებულა ენაში მოქმედი კანონზომიერი ფონეტიკური ტენდენცია, იხ. Э. Прокош, Сравнительная грамматика германских языков. Перевод с английского, Москва, 1954, გვ. 45 შნდ.

ქანურში წარმოდგენილია *შქვით-ი* ფორმა, სვანურში — *ი-შგუი*¹. ამ ფორმებშიც მოსალოდნელი კანონზომიერი *სქვ-* (სვან. *სგუ-*) კომპლექსის ნაცვლად გვაქვს თავდაპირველი შიშინა *შქვ-* (სვან. *შგუ-*), რომელიც /**შქ-*/* კომპლექსის უშუალო რეფლექსს წარმოადგენს ზანურსა და სვანურში. *შქ-* (resp. *შგ-*) კომპლექსის გადასვლა შესატყვის სისინა *სქ-* (resp. *სგ-*) კომპლექსში მომდევნო ბაგისმიერი ტუ-ს გავლენით არ განხორციელებულა ამ ფორმაში შიშინა -შ- სპირანტის გამო, რომელიც ზანურსა და სვანურში *ექვის*'ს აღმნიშვნელ ფორმებში იყო კანონზომიერად წარმოდგენილი: ზან. **ექშვი* — *შქვით-ი*, სვან. **უქშუა* — *ი-შგუი*.

რიცხვით სახელებში, ჩვეულებრივ ისეთ ფორმებში, რომლებიც თვლის დროს უშუალო ნეზობლობაში არიან, განსაკუთრებით მძლავრად მოქმედებს ფონეტიკური ანალოგიის ფაქტორი. ამის კლასიკური მაგალითები გვაქვს გერმანულ *zwei* (შდრ. ინგლ. *two*) > *zwei* „ორი“ ფორმებში, *drei* „სამი“ ფორმის გავლენით, და ბალტურ-სლავურ ფორმებში *девять* (ლიტ. *devyni*), ნაცვლად **не-вять*-ისა (შდრ. ბერძნ. *ἑννέα*, ლათ. *novem* და სხვ.), *десять* (ლიტ. *dešimt*) ფორმის გავლენით. აქ ჩვენ საქმე გვაქვს ერთგვარ ანტიციპაციასთან. მაგრამ არსებობს საწინააღმდეგო მოვლენაც — რეტარდაცია. ამ რიგისაა, მაგალითად, ლონდონური [*θrɪpənz*], ნაცვლად ფორმისა [*θrɪpənz*] „სამი პენსი“, [*tɪpənz*] „ორი პენსი“ ფორმის გავლენით. ერთ-ერთ ახალ აბისინურ ენაში, ტიგრინაში, გვაქვს *šommontè* < **šammautè* „რვა“ ჰი²attè „შვიდი“ ფორმის გავლენით².

ქართველურ რიცხვით სახელებში ძირითადად მეორე რიგის მოვლენები შეინიშნება: შდრ. სვან. *ჴოშთხჴ* „ოთხი“ — *ჴო-ხჴიშდ* „ხუთი“; ქართ. *თ-ოთხ-მეტ-ი* — *თ-ხუთ-მეტ-ი* > *თ-უთხ-მეტ-ი* (ა. შ ა ნ ი ძ ე); ქან. *ოვრო* < **ორვო* (შდრ. ქართ. *რვა*, მეგრ. *რუო*) — *ჩხოვრო* || *ჩხორო* (შდრ. მეგრ. *ჩხორო*, ქართ. *ცხრა*).

სწორედ ამ რიგისაა ზან. **ექშვი* — *შქვით-ი*, სვან. **უქშუა* — *ი-შგუი*. მეტათეზისით მიღებული **უქშუა* ფორმა სვანურში, რომელიც მსგავსი აღმოჩნდა მომდევნო *ი-შგუი*დ ფორმისა, განემსგავსა ამ უკანასკნელს მასში კანონზომიერი ფონეტიკური ტენდენციის გატარების შედეგად. ამ ფორმათა განმსგავსების აუცილებლობამ (*უსგუა* — *იშგუი*დ) შეაფერხა შემდგომ მომდევნო *ი-შგუი*დ ფორმაში ამავე ფონეტიკური პროცესის განხორციელება.

¹ იხ. ზემოთ.

² Н. В. Юшманов, *Сибирякская аномалия в числительных тигринья*. „Africana“, М.—Л., 1937, გვ. 77 შმდ.

ქართ. ე-შვ-ი ფორმის შესატყვისად მეგრულში დასტურდება ჩქვა¹. აქაც არ მომხდარა /შქვ/ კომპლექსის მოსალოდნელი გასისინება, რაც, საფიქრებელია, ზანურ ფორმაში წარმოდგენილი თავიადური /შ/ ფონემის ადრეული აფრიკატიზაციით უნდა აიხსნებოდეს. ამისაგან განსხვავებით, ამავე /შქვ/ კომპლექსმა, ქართული ე-შვ-ი ფორმის შესატყვისად წარმოდგენილმა ზანურში, ოსქუ < *ო-სქვ-უ „სალორე“ ფორმაში კანონზომიერი გასისინება განიცადა (შდრ. ძვ. ქართ. ეშვ „გარეული ღორი, ტახი“; ე. ი. ოსქუ ~ *სა-ე-შქ-ე) [ეტიმოლოგია ეკუთვნის გ. კლიმოვს].

ზემოთ განხილული რამდენიმე სიტყვა წარმოადგენს ე. წ. გამონაკლის ფორმებს, რომლებშიც სხვადასხვა მიზეზების გამო არ განხორციელებულა დასავლურ-ქართველურ არეალში რეგულარულად გატარებული გასისინების ტენდენცია². მაგრამ /შქჟ/ → /სქჟ/ პროცესის განხილვა როგორც ზანურ-სვანურ არეალში მოქმედი კანონზომიერი ფონეტიკური ტენდენციისა გამართლებულია იმით, რომ ეს პროცესი ზანურსა და სვანურში გატარებულია ისტორიულად /შქჟ/ კომპლექსიან ფორმათა უმრავლესობაში.

ენობრივი კანონზომიერებანი არ ატარებენ, როგორც წესი, აბსოლუტურ ხასიათს. ამგვარი კანონზომიერება ყოველთვის შემოიფარგლება დროით და ენობრივ სისტემაში გავრცელების არიით; მასზე შემაფერხებლად მოქმედებს სხვადასხვა ენობრივი თუ ექსტრალინგვისტური ფაქტორები. ამით განისაზღვრება ის, რომ გარკვეული ენობრივი (განსაკუთრებით ფონეტიკური) კანონზომიერება ვერ მოიცავს სისტემაში არსებულ მთელ შესატყვის მასალას; ამით აიხსნება ენობრივი კანონზომიერების შეფარდებითი ხასიათი. ამიტომ ენაში უნდა გაირჩეოდეს კანონზომიერებათა ფარდობითი ხარისხები, რაც ლინგვისტურ ერთეულთა მხოლოდ სტატისტიკური, რაოდენობრივი ანალიზის შედეგად შეიძლება გაირკვეს. ენობრივი კანონზომიერების ხარისხი განისაზღვრება ენაში ამ კანონზომიერების განხორციელების ალბათობით, ანუ იმ ფორმათა ფარდობითი სიხშირით, რომლებშიც იგი განხორციელებულია³.

¹ ი. ქობალავა, აფრიკატიზაციისა და დეზაფრიკატიზაციის პროცესები იბერიულ-კავკასიურ ენებში: იბერ.-კავკ. ენათმეცნ., IX—X, 1958, გვ. 71.

² აქ, ბუნებრივია, განხილვის სფეროში არ შემოდის ისეთი სვანური /შგჟ/ კომპლექსიანი ფორმები, რომელთაც არ ეძებნებათ ქართველური ეტიმოლოგიები; მაგ., შგჟიბ „რკო“, მუშგჟი „სტუმარი“ და სხვ. ეს ფორმები, როგორც ჩანს, შედარებით გვიანდელი წარმომავლობისაა.

³ ენობრივ კანონზომიერებათა სტატისტიკური ხასიათისათვის შდრ. R. Jakobson, Typological studies and their contribution to historical comparative linguistics: „Reports for the Eighth International Congress of Linguists“, Suppl., Oslo, 1957, გვ. 6 შმდ.

მეორეული გასისინების ტენდენციის უფრო მაღალი ხარისხი სვანურში, ზანურთან შედარებით, შეპირობებულია იმით, რომ ზანურ-სვანური არეალისათვის დამახასიათებელი ეს ფონეტიკური პროცესი გაგრძელდა შემდგომ დამოუკიდებლად სვანურში მისი იზოლირებული არსებობის გარკვეულ პერიოდშიც. ამ დროისათვის ეს პროცესი ზანურში აღარ მოქმედებდა.

§ 5. ჩვენ განვიხილეთ ყველა ჩვენთვის ცნობილი ქართველური ფორმა, რომელშიც წარმოდგენილია შესატყვისობა ქართ. /შ/ — ზან. /სქ/, სვან. /სგ/¹. ირკვევა, რომ ქართულ /შ/ სპირანტს ზანურსა და სვანურში კანონზომიერად /შქ/ და /შგ/ კომპლექსი შესატყვისება. ქართულს ამ შემთხვევაში უძველესი ვითარება აქვს დაცული. ქართველურმა შიშინა აფრიკატებმა და /შ/ სპირანტმა ქართულში შესატყვისი მარტივი შიშინა რეფლექსები მოგვცა, მაშინ როდესაც ზანურსა და სვანურში ამავარიგის ფონემებმა უკანაენისმიერი ხშული თანხმოვანი განივითარა. ქართული /შ/ სპირანტის შესატყვისად არსებული /სქ/ და /სგ/ კომპლექსები ზანურსა და სვანურში ამოსავალი შქ/სგ კომპლექსის კომბინატორულ სინა ვარიანტს წარმოადგენს, რომელიც მიღებულ იქნა მომდევნო ბაგისმიერი /ჟ/-ს გავლენით. ეს რეგულარული ტენდენცია /შქ/ კომპლექსის კომბინატორული გასისინებისა წარმოიშვა საერთო ზანურ-სვანურ არეალში და გაგრძელდა დამოუკიდებლად სვანურში აქ ქართველურ თანხმოვანთა ღებაფრიკატიზაციის პროცესის დაწყებამდე.

¹ მეგრ. ს ქ ი ბ-უ „წისკვილის ქვა“, ჰან. მ-ს ქ ი ბ-უ || ფ-ს ქ ი ბ-უ „წისკვილი“ ფორმების ეტიმოლოგიური დაკავშირება ქართ. შ ი ბ ი ფორმასთან მეტად საეჭვო ჩანს ამ სიტყვათა სემანტიკური სიშორის გამო (შდრ. არნ. ჩ ი ქ თ ბ ა ვ ა, შედარებითი ლექსიკონი, გვ. 153). შ ი ბ ი ქართულში ნიშნავს „კლდის ზურგს, წიბოს“ (შდრ. „მოყვება პირ-შიშველამა შ ი ბ ნ გაიარნა კლდისანი“, იხ. საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწადეული, 1, 1925; ბ. გა ბ უ რ ი, ქვესურული მასალები, გვ. 241₁₁₁; ჯიკვების გადაღახულო შ ი ბ და შ ი ბ თ კლდისათა“, იხ. ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ხალხური პოეზია, 1, ხვესურული, თბილისი, 1931, გვ. 203). შ ი ბ ი ქართულში სპარსულიდან შემოსული ჩანს, სადაც იგი „ფერდობს, დაქანებას“ აღნიშნავს (شيب [šīb], იხ. S. Hai m, New Persian — English Dictionary, II, Tehran, 1936, გვ. 235).

გასათვალისწინებელია აგრეთვე ამ სიტყვის წარმოშობის მეორე შესაძლებლობაც. იგი შესაძლებელია მეტაფორული ხმარების შედეგი იყოს „შ ი ბ ი“ სიტყვისა, რომელიც ქართულში „წულ ძეწკვს, ქსოვილში გაელებულ წულს“ აღნიშნავს (შდრ. ს ა ბ ა ს ლექსიკონი). ეს ფორმა ქართულში მეგრულიდან უნდა მომდინარეობდეს, სადაც შ ი ბ უ ა ზნა დღესაც პროდუქტიულია და „წუნას“ აღნიშნავს: ვ შ ი ბ უ ნ ქ „ვწნავ“, აორ. დო ვ შ ი ბ ი.

/შქტ/ → /სქტ/ პროცესის ფონეტიკური იმპლიკაცია გასაგებობდება, თუ გავითვალისწინებთ შიშინა [შ] სპირანტის არტიკულაციურ თვისებებს. შიშინა [შ] სპირანტის ერთ-ერთი დამახასიათებელი არტიკულაციური თვისებებურება, რითაც იგი განსხვავდება შესატყვისის სისინა [ს] სპირანტისაგან, მდგომარეობს ბაგეების შესამჩნევ არტიკულაციაში. შიშინა სპირანტის წარმოქმნელად ბაგეები წინ წამოიწვევიან და მომრგვალდებიან, როგორც ეს [ტ] ან [უ] ბგერათა არტიკულაციის შემთხვევაში ხდება, რაც შიშინა სპირანტის არტიკულაციისათვის საჭირო რეზონატორის დაგრძელებას იწვევს¹. [შქ] კომპლექსში წინამავალი შიშინა სპირანტის შესატყვისის სისინაში გადასვლა შედეგი უნდა იყოს მომდევნო ბაგისმიერი ბგერის გავლენით შიშინა სპირანტისათვის დამახასიათებელი ლაბიალური არტიკულაციის მოშლისა. [შქტ] → [სქტ] ფონეტიკური პროცესი შეიძლება განხილულ იქნეს როგორც დისიმილაციური დელაბიალიზაცია². დისიმილაციურ დელაბიალიზაციას განიცდიდა მხოლოდ ისეთი [შ] სპირანტი, რომელიც უკანანისმიერ ხშულ თანხმოვანთან დეცესიურ კომპლექსს ქმნიდა.

§ 6. შიშინა აფრიკატების რიგში გასისინების ტენდენცია არ არის რეგულარულად გატარებული. იგი შეეხო მხოლოდ /ჯგ/ კომპლექსს, რომელიც მომდევნო ბაგისმიერი ტ-ს გავლენით სისინა /ძგტ/ კომპლექსში გადავიდა³. /ჩქ/ და მკვეთრი /კქ/ კომპლექსები ამგვარ

¹ Ed. Sievers, Grundzüge der Phonetik, Leipzig, 1901, გვ. 131 შმდ.; Dr. G. Panconcelli-Calzia, Die experimentelle Phonetik in ihrer Anwendung auf die Sprachwissenschaft, Berlin, 1924, გვ. 79; O. Jespersen, Lehrbuch der Phonetik, L. u. B. 1913, გვ. 47; M. Grammont, Traité de phonétique, Paris, 1933, გვ. 70; Л. В. Щерба, Фonetика французского языка, Москва, 1953, გვ. 70.

² დისიმილაციური პროცესების შესახებ იხ. M. Grammont-ის ფუნდამენტალური გამოკვლევა „La dissimilation consonantique dans les langues indo-européennes et dans les langues romanes“, Dijon, 1895.

³ ამ პროცესის საილუსტრაციოდ სულ ორიოდ მაგალითის მოყვანა შესაძლებელი, რაც ქართულურში /*ჯ/ ფონემის მეტად შეზღუდული ხმარებით უნდა აიხსნებოდეს (შდრ. ა. შანიძე, ჯ ბგერის წარმოშობის წყაროები ქართველურ ენებში; თეზისები: თბილისის სახ. უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის III სამეცნიერო სესია, 8—11 აპრილი, 1958, გვ. 12 შმდ.).

სვანურში ამგვარი *ძგტ- დეზაფრიკატიზაციისა და დისიმილაციური დაყრუების შედეგად ხგტ- კომპლექსს იძლევა (იხ. ზემოთ). ამ რიგისაა სვანურში, ზემოთ გარჩეულ ფორნათა გარდა, ლ-ის-გ-ტ-რ-ე ჯგდომა* ზნა (შდრ. ს გ უ რ, ლნტ. ს კ უ რ ზის⁴; ა-ს-გ-ტ-რ-ე, ლნტ. ა-ს-კ-ტ-რ-ე ჯგენს⁵; ბხ. ლ-ა-ს-გ-ტ-რ-ა „საჯდომი, სკამი“ და სხვ.), რომელიც ეტიმოლოგიურად ქართ.

გასისინებებს არ განიცდიან. აქ, როგორც ჩანს, დამატებითი ფონეტიკური ფაქტორები მოქმედებდა, რომელთაც შეაფერხეს შიშინა კომპლექსის შესატყვის სისინაში გადასვლა: შდრ.

ქართ. ჩუენ: ქან. ჩქუ || შქუ, მეგრ. ჩქი || ჩქ; ჩუენ-ი: ქან. ჩქუნ-ი || შქუნ-ი, მეგრ. ჩქინ-ი || ჩქუნ-ი; სვან. გუ-შგუ-ე.

ქართ. *ჩიჩუ-ილ- (ძვ. ქართ. ჩჩუ-ი, ხევს. ჩვიჩვილ-ი); ქან. ჩუჩქუ || ჩიჩქუ, მეგრ. ჩქიჩქუ; სვან. მუ-შგუ-ე (იხ. ზემოთ).

ქართ. მარ-ვი: ქან. მუნჩქ-ი || მუნჩკ-ი, მეგრ. მუნჩქ-ვი (ლექსიკონი, გვ. 90); შდრ. სვან., ლხმ. მინჩქუ.

მომდევნო ბაგისმიერი ფ-ს გავლენით /ჩქ/ კომპლექსის გასისინების საილუსტრაციოდ შეიძლებოდა ქართ. არჩვი: მეგრ. ერცქემ-ი; სვან. (ზანურიდან შესული?) ბზ. ჟერსკან, ლშხ. ჟერსკენ, ლხმ. ჟერსკნ ფორმების მოყვანა. მაგრამ ამ მაგალითში /ჩქ/ → /ცქ/ პროცესი შესაძლებელია წინამავალი /რ/-ს გავლენას მიეწეროს, ისე როგორც ეს მეგრ. ხირცქ- (გარდამ.) „გაპობა, გახლეჩა“ (ხირცქ-უნ-ს) და ხორცქ- (გარდაუვ.) „გლეჯა“, ქან. ხროცქ- || ხროსქ- (რ-ს ნეტათეზისით) „კვდომა ცხოველისა“ ფორმებშია სავარაუდებელი, რომლებიც კანონზომიერი შესატყვისი ჩანს ქართ. ხლეჩ- /ხლიჩ- < *ხელეჩ- ფორმის გარდამავალი და გარდაუვალი ვარიანტებისა¹. ამ შემთხვევაშიც დისიმილაციურ პროცესთან გვაქვს საქმე, რომელიც ზანურში სპორადულ ხასიათს ატარებს². ქართულში ანალოგიურ კომპლექსებში საპირისპირო ვითარება შეინიშ-

ჯე დ- ფუძეს უკავშირდება. ქართ. ჯე დ- ფუძეში (და-ვ-ჯე დ, და-შ-ჯე დ და-ჯე-და) გამოიყოფა ძირი ჯ- და ზმნის ფუძის მაწარმოებელი -ეღ სუფიქსი (ვთოფური, ქართულურ ენათა სიტყვაწარმოებიდან: ენიშკის მოამბე, V — VI, 1940, გვ. 534). ეგვევ ჯ- ძირი, ზმნის ფუძის მაწარმოებელი -ურ სუფიქსით გაფორმებული, უნდა იყოს წარმოდგენილი სვან. სგურ- ფორმაში: *ჯ-ურ- > *ჯგ-ურ-. მომდევნო უ-ს გავლენით (შდრ. შუბ-ლ-ი: სვან. *შგუბ- > *სგუბ- || სგობ-) მივიღეთ ჯგ- კომპლექსის სისინა ვარიანტი: *ძგურ- > სგურ-. ზანურში ამ მნიშვნელობით მხოლოდ ს-ბ-ე დ- (ქართ. სხდა-, სხდ-ე ბ-ი) გამოიყოფა: ქან. ხე დ- || ხუნ- , მეგრ. ხოდ- || ხუნ- (არნ. ჩიქობავა, შედარებითი ლექსიკონი, გვ. 421). მაშასადამე, „ჯდომის“ აღმნიშვნელი ჯ- და სს- ძირები, რომლებიც ქართულმა შემოგვინახა, ზანურსა და სვანურში პროლორციულად განაწილდა: ჯ- ძირი გავრცელდა მხოლოდ სვანურში, ხოლო სს- ძირი — ქანურსა და მეგრულში.

¹ ეტიმოლოგია ეკუთვნის გ. მაქავარიანს.

² /ჩქ/ კომპლექსი მეგრულ-ქანურში არ განიცდის გასისინებას მეორეული წარმოშობის /რ/-ს მეზობლობაში: შდრ. მეგრ. (რ)-ჩქ-: ჩქ-უ-(6), ქან. ჩქ-უ-: ქართ. ჩ-ა-(6)-ს (ლექსიკონი, გვ. 378); მეგრ. რ-ჩქ-ა-ნ-ა: ქართ. ჩ-ე-ე-ა. (მეორეული რ თანხმოვნის განვითარების შესახებ მეგრულ-ქანურში იხ. ს. ჟღენტი, ქანურ-მეგრულის ფონეტიკა, თბილისი, 1953, გვ. 70 შმდ.).

ნება: შდრ. ქართ. ფ-რ-ცხ-ილ-ი || ფ-რ-ჩხ-ილ-ი: ქან. ბუ-ცხ-ა, მეგრ. ბი-რ-ცხ-ა < ბუ-ცხ-ა (ლექსიკონი, გვ. 61); სვან. ცხა. ქართ. ნა-კვერ-ცხ-ალ-ი || ნა-კვერ-ჩხ-ალ-ი: ქან. ნო-კა-ნჩხ-ულ-ე, მეგრ. ნა-კვე-ჩხ-ირ-ი „მუგუზხალი“ (ლექსიკონი, გვ. 159). -ცხ- კომპლექსის პირველადობას ქართულში -ჩხ- კომპლექსთან შედარებით შესატყვისი მეგრულ-ქანური ფორმები ადასტურებენ. -ც- თანხმოვნის წინაშე -რ-სთან ასიმილაციით მივიღეთ შესატყვისი შიშინა -რჩხ- კომპლექსი.

ბაგისმიერი -ჟ- ფონემის გავლენით წინამავალი შიშინა აფრიკატის გასისინება არ შეინიშნება ზანურში არც მკვეთრ /ჭკ/ კომპლექსში, რომელიც შიშინა აფრიკატის მესამე წვერის, მკვეთრი /ჭ/ ფონემის კანონზომიერ რეფლექსს წარმოადგენს. ქართ. ჯი-ნ-ჭკ-ელ-ი¹ ს. შესატყვისად აქ ქან. დუ-მ-ჭკუ || დი-მ-ჭკუ, მეგრ. ჭკი-ჭკი-ტია || ჯგი-ჯგი-ტია გვაქვს. ძირეული -ჭკ- ზანურში წარმოდგენილია -ჭკუ- > მეგრ. -ჭკი- კომპლექსის სახით¹.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ შეიძლება დავასკვნათ, რომ დისიმილაციური გასისინება მომდევნო ბაგისმიერი ჟ-ს გავლენით გატარებულია რეგულარულად ზანურსა და სვანურში /შქ/ და /ჯგ/ კომპლექსებში. შიშინა აფრიკატთა რიგის დანარჩენ ფონემათა ზანურ-სვანური რეფლექსები /ჩქ/ და /ჭკ/ კომპლექსების სახით ამგვარ გასისინებას არ განიცდიან. აქ შეინიშნება შიშინა /ჩქ/ კომპლექსის დისიმილაციური გასისინება წინამავალი /რ/ თანხმოვნის გავლენით.

ამ დისიმილაციური კანონზომიერების საფუძველზე ირკვევა, რომ შიშინა რიგის ფონემათა თვალსაზრისით ქართულ კონსონანტურ სისტემას უძველესი ვითარება აქვს დაცული. ქართველურ შიშინა რიგის ფონემათათვის დამახასიათებელი ველარიზებული არტიკულაციის შედეგად ზანურ-სვანურ არეალში მათ კანონზომიერ რეფლექსებზე ჩამოყალიბდა შესატყვისი შიშინა-ხშულთან-ხმოვნიანი კომპლექსები, რომლებიც გარკვეულ პოზიციაში მეორეულ, კომბინატორულ გასისინებას განიცდიდნენ.

ქართული /შ/ სპირანტისა და შიშინა რიგის აფრიკატების ზანურ-სვანურ შესატყვისობათა კომპლექსი რთულ სისტემას ქმნის, რომელიც ისტორიულად ჩამოყალიბდა კომბინატორული მიზეზებით შეპირობებული ფონეტიკური კანონზომიერების დართვის შედეგად პირვანდელ კანონზომიერ შეფარდებათა მოდელზე.

¹ ამ ფორმათა შესახებ იხ. არნ. ჩიქობავა, შედარებითი ლექსიკონი, გვ. 114; მისივე, ფუძის აგებულება, გვ. 173 შმდ.

ქართველური შიშინა ფონემების ისტორიულად დამოწმებულ შეფარდებათა სისტემა შეიძლება სქემატურად ორგანზომილებიანი განლაგების საშუალებით იქნეს წარმოდგენილი:

ქართ.	შ	ჯ	ჩ	ჭ	ზან.	სვან.
	*შ				შქ	შგ
	*შ-*ჟ				სქ-	სგ-
		*ჯ			ჯგ	—
		*ჯ-*ჟ			ძგ-	სგ-
			*ჩ		ჩქ	შგ
			*რ-*ჩ		-ცქ	—
				*ჭ	ჭქ	შქ

ჰორიზონტალურ ღერძზე განლაგებულია ქართული ფონემები, ხოლო ვერტიკალურ ღერძზე—მათი ზანური და სვანური შესატყვისები. ამ ერთეულთა გადაკვეთის წერტილებში წარმოდგენილია ამოსავალი შიშინა ფონემები, რომელთა დისტრიბუციით შეპირობებულია მათ ზანურ და სვანურ რეფლექსთა სხვაობა.



შემოკლებანი და პირობითი ნიშნები

ენები და დიალექტები

არჩ.	— არჩიბული	ლნტ.	— ლენტეხური
ბაცბ.	— ბაცბური	ლშხ.	— ლაშხური
ბერძნ.	— ბერძნული	ლხმ.	— ლახამულური
ბერ.	— ბეროური	მეგრ.	— მეგრული
ბზ.	— ბალს-ზემოური	რუს.	— რუსული
ბქვ.	— ბალს-ქვემოური	სვან.	— სვანური
გოთ.	— გოთური	სკრ.	— სანსკრიტი
ესტონ.	— ესტონური	სპარს.	— სპარსული
ეცრ.	— ეცერული	უმგ.	— უმგულური
ზან.	— ზანური	ფრანგ.	— ფრანგული
ზ. სვ.	— ზემო-სვანური	ქართ.	— ქართული
ი.-ე.	— ენდოევროპული	ჩაჩნ.	— ჩაჩნური
ინგლ.	— ინგლისური	ჩბხ.	— ჩუბხეური
ინგუმ.	— ინგუმური	ჩერქ.	— ჩერქეზული
ლათ.	— ლათინური	ძვ. სლავ.	— ძველი სლავური
ლიტ.	— ლიტაური	ხუნძ.	— ხუნძური

არჩ. ჩიქ.: არჩ. ჩიქობავა, ქანურის გრამატიკული ანალიზი. ქანური ტექსტები. II. თბილისი, 1936.

იე ბოლნ.: იოანე ბოლნელ ეპისკოპოსის ქადაგებანი. საეკლ. მუზეუმის გამოცემა, თბილისი, 1911.

მ.: მათე (იხ. ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით. გამოსცა აკაკი შანიძემ, თბილისი, 1945).

მარკ.: მარკოზ (იქვე).

იოვ.: იოვანე (იქვე).

ლუკ.: ლუკა (იქვე).

- // აღნიშნავს ფონემას ან ფონემათა კომპლექსს.
- [] „ ბგერას ან ბგერათკომპლექსს.
- { } „ მორფემას.
- ~ „ ეკვივალენტობას.
- > „ მომდევნო მორფემის (ფორმის) წარმომავლობას წინამავლისაგან.
- < „ წინამავალი მორფემის (ფორმის) წარმომავლობას მომდევნოსაგან.
- „ მომდევნო ფონემის (ან ფონემათა კომპლექსის) წარმომავლობას წინამავლისაგან.
- * „ რეკონსტრუირებულ (პოსტულირებულ) საერთო ქართველურ ან კონკრეტულ ქართველურ ენაში ისტორიულად დაუმოწმებელ ფორმას. (ფონემას).

სიტყვათა საძიებელი

1. ძარბული

ათ-ი 30	თხელ-ი 30
ანწლ-ი 18	თბილ-ი 31
არჩვი-ი 76	თხუთხეუ-ი 72
ას-ი 17	იხსარი 21 ₂
ა-ჩ-ენ-ს 63	ქაც-ი 18
გან-მ-გ-ე 58	კლეღ-კედ- 69
გან-ზემ 64	ლაშ-ი 19
გა-კერ 64	განა 53
გა-წყერ 64	ნანალი 64 ₁
გოვარი 52	ნარჯუენე 27
გუარი 52	ნატლ-ი 64 ₁
გუაქუს 41	ნაქეს 44
გუშ-ინ 31 ₄	ნახე-ი 64 ₁ , 76
ღათე-ი 30	ნგზავრ- 52
-ღამ 56 ₂	-ნდე -ნდის 56 ₂
დაქსეა 21 ₂	მე 39, 45
დაქშეა 21 ₂	მე-ნა 4 ₁
დრეკ-ს /დრიკ-ა 62 ₁	მზე 18
მრთ-/ურთ- 29	მთვ-რა 52
მშვი-ი 72	ნთურ 52
მქეს-ი 29	მო-კ-ალ 63
ვაშლ-ი 20, 24, 29	მო-კ-ეიდ 63
წე ხე-და 18, 55 ₁	მშვილდ-ი 20, 71
ხე-ნა 55	მ-წიფ-ე 59
თაგ 31	მ-წყემს-ი 60 ₁
თანა 55 ₁	მ-ქედ-ელ-ი 20, 60 ₁
თბება/ათბობს 67 ₁	მკლე 60 ₁
თეთრ-ი 30	ნაკვერჩხალ ი 77
თთუე- 31	ნაკვერცხალ-ი 77
თოთხმეტ-ი 72	ნამირ-ი ; ნახშირ-ი 19 ₁
თუთხმეტ-ი 72	ნუადია 60
თქუენ- 30, 31, 38	პირნშოა 58, 60, 67 ₁
თქუენ-ნა' 31, 37 ₁ , 39, 41	რეა 52 ₁ , 67 ₁ , 72

ბათონი 59
სანოვაგე 52
სანუაგე 52
სასო 59
საშოვალ 51
სვ- || სუ-; სუ-შა, სუ-თ 17
სვან-ი 17
სველ- 17
სვენ-: განისუენე 17
სიკუდილ 69
სკეინჩა 21₁
სკუენ- 71
სულ- 65
სხედ-: სხედბის 75₃

ტბა 53
ტეგ-: დაუტევეთ 67

უკანასკნელ-ი 37₃
უკეთუ 37₃
უკვენ 55₃
უკუან 55₃
უკუანასკნელ-ი 37₃
უკუეთუ 37₃
უ-ჩ-ა(6)-ს 20

ფრჩხილ-ი 21₃, 77
ფრცხილ-ი 21₃, 77

ქარიშხალი 21₃
ქუენა 54

ლეგა 21₁

შა- 56
შაშე-ი 27
შდ- || შთ-: და-შდ-ა || და-შთ-ა 66
შე- 54, 56
შე-დრკ-ა 62₁
შენ- 24, 31₃, 38, 45
შე-ნა¹ 26₁, 37, 38, 41
შეშა 20
შე-: გა-შე-ებ-ა 20, 71
შეელ-ი 27
შეიდ-ი 19, 71
შვილ- 27, 59, 60
ში-ა 20
შიბ-ი 74₁
შინ-: ნუ გეშინინ 20

შინა 51, 54, 55
შიშუდილ 68, 69
შოვა 51, 54
შოვრის 52, 54₁, 55₁
შორის 52
შრ-: გან-შრ-ა 61, 62₁, 64, 65
შრება/აშრობს 67₃
შრეტ-/შრიტ- 65
შუა 20, 24, 31₃, 51
შუბლ-ი 31, 75₃
შუდ-: შო-ა-შთ-ო; შე-ა-შდევ-ეს 19, 68
შუ-ენ-: შუენ-ი-ს, შუენიერ-27
შუერ-: და-ვ-შუერ 63, 65
შუვა 51, 54

ჩალა 21₁
ჩ-ან-ს 63
ჩაქოლვა 52
ჩემ- 20, 41, 42, 45
ჩევეა 76₃
ჩეიჩეილ-ი 76
ჩუენ- 38, 41, 42, 76
ჩუე-ნა¹ 37₃, 38, 76
ჩუ-ენ-ებ-ა 63
ჩიკლ-ი 20, 42, 76

ცხოვარი 52
ცხრა 72
ცხუარი 52
ქაგარ- 21₃
ძალლ-ი 18, 29
ძვალ- 18
ძველ-ი 18
ძმა 18, 53

ფაბლ-ი 18
ფიალ- 56₃
ფინაშე 55₁
წუედ-/წუედ- 69
წყინდ- 65
წყრთა 18

ჭამა 20
კედვა 20
კერ- || კარ-:
და-ვ-კერ || და-ვ-კარ-ი 20, 55₃
კიპ-ი 21₃
კირ-: მ-კირ-დ-ებ-ა 21₁

ტიწვი || ტიპვი 21₁
ბლეჩ-/ ხლიჩ- 76
ხმება / ახმობს 67₁
ხუედ- / ხუედ- 69
ბუცეს-ი 18, 32₁

ჯაგარ.-ი 21₁
ჯედ- 75₁
ჯერ-: და-ი-ჯერ-ა 21₁
ჯვ- 27, 52₁
ჯინჭველ-ი 77
ჯობნ- 20

II. ზანური

აშ-ი || ანშ-ი 29
ბუცხა 21₁, 77
ბე-შა- 57
გო-შა- 57
და—დალეფე 60
დასვეს 53
დიშქა || დიშქა 20
დოლობინუ 64
დუმპკუ || დიმპკუ 77
ე- 57
ე-კა- 58₁
ე-შა- 57, 58₁
ე-შქა- 57, 58₁
ოითხუ 30
თუთა 31
თქვა-(6) 38
თქვან- 30, 31, 38
ონჭირ-ი 18
ქვინჩი 21₁
კოჩ-ი 18
ლეშქ-ი 19
გა 39
მე-კა- 58₁
მე-შა- 57, 58₁
მე-შქა- 57, 58₁
მზესკუ 27
მთუთ-ი 30
მოთა—მოთალეფე 60
მო-კა- 58₁
მჟორა 18
მსქვა 27
მსკვერ-ი || მსკვერ-ი 27

მსკიბუ || ფსკიბუ 74₁
მუნჩქ-ი || მუნჩქ-ი 76
მპკეშ-ი 60₁
მჯვეშ-ი || ნჯვეშ-ი 18
ნოკანჩხულე 77
ნოშქერ-ი 19₁
ნუსა—ნუსალეფე 60
ოერო 72
ოშ-ი 17
ოშქენონ-ი || ოშქენან-ი 54
ოშქურ-ი || უშქურ-ი 20, 24, 29
ჟი 18
(რ)ჯგინ- 20
ხი-(6) 26₁, 38, 39, 40
სქან- 24, 31₁, 36, 37, 38, 40, 45
სქედ-: ბოსქედინი 67₁
სქე-: მეგომსკუ 27
სქე-: ქოდოსკუ 27
სქირ-ი || სკირ-ი 27, 59, 60
სქედ- || სქიდ-: დოსქედუ 66, 67
სქურ- || სკირ-: მესქურუ; დოსქირინეს
61, 63, 64, 65, 66, 67
ტალ-: ქოდიტალეფან 67
ტუბ-: დოტუბუნ 64₁
ტუბუ 64₁
ტამაფთი 53
ჭამიყონეს 53
ქომალუ 53
ქორუ 64
შვ-: ოშუ, ოშვეს 17
შვაჯ-: მოიშვაჯამან 17
შველ- || შოლ-: შველარე; დოშოლადან 17

შონი-ი 17
 შქა-: შქა-ირ-ონ-ს 20
 შქა || შქა 20, 51, 54, 57
 შქვ-: ხე აშქვი 20:
 ნაშქუ. ქანაშქუ 71
 შქვიდ-: დოშქვიდუ 19, 68
 შქვით-ი || შქით-ი 19, 72
 შქვ სრ-: აშქვსრინუ 20
 ჩვირ-: ი ნ-ჩვირ-ს 69₃
 ჩჩქუ || ჩჩქუ 20, 42, 76
 ჩქ-: უ-ჩქ-ი-5 || უ-შქ-უ-5 20
 ჩქის- || შქიმ- 20, 41, 42, 45
 ჩქუ(6) || შქუ 33, 76
 ჩქუნ- || ძქუნ- 38, 41, 42, 64₂, 76
 ჩხ- ვოლ 72
 ჩხორო 72

ძგვ- 27, 52₄
 „წიპა“ 21₂
 წუტა || ჭუტა 21₂
 ჭირ- 21₁
 ჭკად-: ნოჭკადამან 20
 ჭკინ-დ-: დაჭკინდუ 65
 ჭკომე 20
 ჭკორ- || ჭკირ-: დოჭკორუ 20
 ჭუბურ-ი || ჭუბო-ი 18
 ჭუდ- || ხუნ- 75₃
 ხროცქ- || სროსქ- 76
 ჯგერ-: დიჯგერუ 21₁
 ჯოდორ-ი 18
 ჯუშა—ჯუშალეუე 18, 53, 60

III. მებრუღი

ბაშე-ი 29
 ბირცხა 21₂ 77
 ბეა 28
 ბაქვ-რ-აუ - გაპყოლიდუ 67₃
 გეჩირათუ - გიარბილითუ 67₃
 გოსქუაფა 71
 და—დალეფი 60
 დიშქა 20
 მ-კო- 58₁
 მბეკემ-ი 76
 ზესკვი 27
 თუთა 31
 თუნა-ი 30
 თქვა 38
 თქვან- 33, 31, 38
 თხითხუ 30
 ინჭირია 18
 ქალოშქი 22₁
 კინჩა 21₁
 ლერქე-ი 19
 შა 39
 მარძგვან-ი 27

ნი-კო- 58₁
 ნოთა—ნოთალეფი 60
 მუ-კო- 58₁
 ხუშა 53
 მუშუღი 64₁
 მუტურ-ი 64₁
 მუნჩქე-ი 64₁, 76
 ნაყვანირ-ი 77
 ნაჩალ-ი 21₁
 ნოსა || ნოსა—ნოსალეფი || ნოსალეფი 60
 ნოშქერ-ი || ნოშქვერ-ი 19₂
 ოსტუ 73
 ოშ-ი 17
 ოშქალ-ი || ოშქარ-ი 54
 პაპა—პაპალეფი 60
 უი 18
 რუო 52₁, 67₁, 72
 რჩქვანა 76₂
 რჯგინ- 20
 საპირი 39₁
 სი 26₁, 38, 39, 40
 სქან- 24, 31₃, 36, 37, 38, 40, 45
 სქა-სერი 53₂
 სქა-სტერი 53₄

სქვ-: მოსქუ(5) 27
სქვ-: ქოსქუ 27
სქვამ-ი 27
სქვერ-ი 27
სკნი 27, 59, 60
სქიბუ 74₁
სქიდ-: ქოლოსქიდუ 66, 67
სქილიდ-: ოსქილიდუანს 67₂
სქირ- 61, 63, 64, 65, 66, 67;
დოსქირუ 61; ოსქირუანს 61, 67₂
სქუა 59, 60, 67₁
სქუალუფი 60
სქუაფა 71
სქუაფირი 71

ტევ- || ტალ-: ქოდიტუ 67
ტიბ-: ოტიბუანს 67₂
ტობა 53

უშქურ-ი 20, 24, 29
უჩაშ-ი 18, 32₁

ღაბუა 21₁

შვ-: გემუ: შუ 17
შვ-ანდ- || სვ-ანჯ- || სვ-ანდ- 17
შიბუა 74₁
შოლ-: დიშოლუ 18
შონ-ი 17
შულადა 65
შურ/ლ-: დოშურდუ 65
შქ-: შქ-ირ-ენ-ს 20
შქა 20, 31₂, 51, 57
შქა-დლა 53
შქა-კითი 53
შქა-სერი 53
შქა-: გეიაშქუ 20, 71
შქვიდ-: დაშქვიდუ 19, 68
გოშქვიდუანქ: დიშქვიდუ 70
შქვით-ი 19, 72
შქვილ-: შქვილ-ან-ს 20
შქვილ-ი 21, 71

შქირიტ-: დოშქირიტუ 65
შქირტ-: დოშქირტუ 65
შქ-ურ-: დაშქურინუ 20
შქურ- || შქვირ- 69₂

ჩალა 21₁
ჩურ-: ჩურ-უნ-ს 69₂
ჩქ-: უ-ჩქ-უ-(5) 20
ჩქვა 73
ჩქი || ჩქგ 64₂, 76
ჩქიმ- || ჩქგმ- 20, 41, 42, 45
ჩქინ- || ჩქგ5- 41, 42, 64₂, 76
ჩქიჩქუ 20, 42, 76
ჩხოროა 72

ძაგვარ-ი 21₂
ძღუ- 27, 52₁

ჭიბი 21₂
კირ-: მოკირუ(5) 21₁
ქადუ/ღ 20, 60₁
კვირ-: დოკვირუ 20
კვიტკიტია 77
კკოლა 60₁
კკომუ 20
კუბურ-ი 18
კუემ-ი 60₁
კუითა || კუირთა 18
კუორ-: გო-კუორ-ი 64

ხოდ- || ხუნ- 75₂
ხომ-: გო-ხომ-ი 64;
ო-ხომ-უ-ან-ს 67₂
ხომილა 64
ხორტკ-/ხირტკ- 76

ჯგიჯგიტია 77
ჯვრ-: დიჯვრუ 21₁
ჯვეში 18
ჯიმა 18, 53, 60
ჯინალუფი 60
ჯოლორ-ი 18, 29

IV. სვანური

- აბემ—აბანდა 33₁
 აგენ—აგანდა 33₁
 ამარ-: ხუამარ—ხამარ—ამარ-ა;
 ხუამარ-ასგუ—ხამარ-ასგუ—ამარ-ა
 34
 ანგლოხ 52
 ან-ესგ-ი—ან-სგ-და 32
 არა 52₁, 67₁
 არ-ი: ხუარ-დ; ხარ-დ; არ-დ-ა;
 ხუარ-დ-ასგუ; ხარ-დ-ასგუ; არ-დ-ა
 34; ხუ-არი—ხუ-არი-დ 49
 აშირ 17
 ბანკუტი 18
 გეხალ 59
 გუ-ალატ—ნ-ალატ 47
 გუ-აყა—ნ-აყა 47, 49
 გუშუთა || გუიშუთა 41, 42, 45, 46, 48, 49, 76
 დ-: დ-უ-ესგ-ი—დ-უ-სგ-დს;
 ან-ისგ—ან-დ-ასგუ 32;
 ი-დ-ი—ი-დ-ესგ-ი 33
 დანშდუტი 30
 დედფანლ 52
 დეშდუტი 31
 დოშდუთლ 31
 დუთხელ 30
 ეშხუ 29
 ჟადა 39₁
 თეატინე || თუეთინე 30
 ითქ 30
 იმუჟა—უმუჟა 29₁
 იმუჟაჟი—უმუჟაჟი 29₁
 -ისა 51, 57, 66₁
 ისგ 51
 ისგა 20, 24, 31₁, 51, 52, 54, 57, 66₁
 ისგდნრობ 53
 ისგლადალ 51
 ისგლადელ 53
 ისგლეთ 51, 53
 ისგუ || ისგუტი 24, 31₁, 37, 40, 41 42, 45
 ისგუთ-ა 30, 31, 45
 ისგუ/უნეი 54
 ისგუ/უნეჟუ 54
 იშუტიდ 19, 72
 იშუთინე 17
 ქორულ || კოწულ || კოტულ 21₁
 ლასგარ 27
 ლასგუტირა 75₁
 ლაშგომ 32₁
 ლანჭისა 51
 ლეგდმერდე 31₁
 ლეგნერდე 31₁
 ლერსგუთენ 27
 ლიმსგა 59
 ლიმსგაჟი 59
 ლისგუტირე 75₁
 ლისედ 39₁, 66, 67, 70
 ლიშკადი 20
 ლიშთინე 17
 ლიციტრე 67, 70
 ლუშგუდ || ლუშგუტიდ 68
 ლუმსგე 58
 ლუმსგეჟე 58
 ლუკლისგა 51
 მალატ—მალატენ || მალატენდა 35₁
 მასგუა 27
 მაცხუჟარ 52
 მახუში 18
 მუტსგუთე 29
 ნეშგუთე 20, 42, 76
 მი 38
 მითქუტი 30
 მიჩქუტი 76
 მიე 18
 მიშუთ || მიშუტი 20, 41, 42, 45, 49
 მნუშა 17
 მუსგუთენ 27
 მუშგუტირი 73₁
 მუშუთან 17
 მგტბე 49
 მგუკიდ 20, 60₁
 ნაბდნიერი 31₁
 ნანბნიერი 31₁
 ნათთუთინი 30
 ნაა 31, 38, 42₁, 45, 46

65შე 17
ნესკა | ნესკა 51, 54
ნიშგუტეა 41, 42, 45, 46, 48, 49
აერსკან 76
აეშდ 30
შალე 18, 29
ეი 18

სგ- 27, 52₁
სგანა 31, 38, 42₁, 45
სგეა 58, 59, 60, 67₁
სგობ-ინ 32
სგუტე-ინ || სგებ-ინ 31, 32
სი 26₁, 39, 40, 41

ტეხ-: ტეხ-ნი—ა-ტახ;
ტიხ-ე—ა-ტიხ 62₁

უისგუ 20, 24, 29
უოშთხუ 72
უოხტიშდ 72
უსგუა 29, 30, 72
უსკუ 29
უშხუწარ 29
უშხუდ 29

უხულაასგა 51

ძალწკისა 39₁
ქორისა 39₁

შგომ-: იშგუტემ—იშგომდა 32₂
შგუდ-: ა-შგუიდ 19, 69;
ო-შგუდ 68, 69; ხტი-ი-შგუიდ-ი
—ხტი-ა-შგუიდ-ი 69

შგუიბ 73,
შდის 31
შდუგუტი 31
შუელ 18
ცხა 77
ცხეისა 39₁, 51

ჭანუ 18
კითხ 18
კეშხისგა 51

ხასკურელ—ხასკურალღნ || ხასკურალღნდა
35₁

ხახტე-წესგ-ი—ხახტე-წსგ-და 32
ხესგუიუ 27
ხოლ-წშგ-ი—ოთ-ღ-ე 32
ხოლ-წშგ-ი || ხოლ-ეშგ || ხოლ-წშ—
—ხოლ-წშგ-და 32
ხოლ ი || ხოლ-წშგ-ი 33
ხოშა 18, 32₁
ხუწ-წესგ || ხუწ-ისგ—ხუაჲ-ასგ-უ 32

ჟან-: ა-ჟნ ი—ა-ჟან-და 35₂

ჯიჯუტი 18
ჯუტინელ 18
ჯუმილ 18

ჭერსკნ 76
გმსგე 56, 59, 60, 67₁
გმსგოლ 58

შ ი ნ ა ბ რ ს ი

წინასიტყვაობა	5
Предисловие	9
Preface	13
I. ერთი გამონაკლისი შიშინა თანხმოვანთა შესატყვისობიდან . .	17
II. შიშინა თანხმონები და ქართველური პირისა და კუთვნილებითი ნაცვალსახელები	36
III. სქ/სგ კომპლექსიანი ფორმები ზანურსა და სვანურში	51
შემოკლებანი და პირობითი ნიშნები	79
სიტყვათა საძიებელი	81
